შესწავლა
იოანეს
სახარებისა



იესომ უთხრა მას: მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე, ჩემი მორწმუნე რომ მოკვდეს კიდეც, გაცოცხლდება.

იოანე 11:25

რატომ დაიწერა იოანეს სახარება?

„მოწაფეების წინაშე ბევრი სხვა ნიშანიც მოიმოქმედა იესომ, რაც ამ წიგნში არ დაწერილა. ეს კი დაიწერა, რათა იწამოთ, რომ იესო არის ქრისტე, ძე ღმერთისა, და რათა რწმენით ჰქონდეთ სიცოცხლე მისი სახელით“ – იოან. 20 : 30, 31.

ჯოანე თავის თავს უწოდებდა მოწაფეს, „რომელიც უყვარდა იესოს“. არ არის საჭირო ვიფიქროთ, რომ იესოს უყვარდა იოანე სხვა მოწაფეებზე მეტად, მაგრამ, შესაძლოა, იოანე უფრო მახვილად გრძნობდა იესოს სიყვარულს ყველა მათგანისადმი. იოანე ღრმად აფასებდა მის სიყვარულს და შეთვისებული ჰქონდა მსახურება და მიზანი ქრისტესი დედამიწაზე.

მრავალი წლის შემდგომ, მას მერე რაც დაწერილ იქნენ მათეს, მარკოზის და ლუკას სახარებები, დაიწყო გავრცელება ცრუ სწავლებამ, თითქოსდა იესო იყო უბრალოდ ადამიანი. ამიტომაც იოანემ დაწერა განსაკუთრებული წიგნი იმის საჩვენებლად, რომ იესო იყო ხორცში მოსული ღმერთი. მრავალი სასწაულებიდან, რომელიც მოიმოქმედა იესომ, იოანემ აღსანუსხად გულმოდგინედ გამოარჩია ისეთები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ იესო იყო სწორედ ის, რასაც თავის თავს უწოდებდა. იოანე ამ სასწაულებს უწოდებს „ნიშნებს“.

ამის გარდა იოანემ ახსნა, თუ რატომ სძულდათ იმ დროის რელიგიურ ლიდერებს ის და გადასცეს ის ჯვარზე გასაკრავად. ეს მოხდა იმიტომ, რომ იესომ თავისი თავი ღვთის სწორად გამოაცხადა! იოანე გვიჩვენებს, როგორ დაგეგმა იესომ ყოფილიყო „კრავი ღვთისა“, რომელმაც გამოისყიდა ადამიანთა ცოდვები.

იოანეს მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ მისი სახარების („ჯეთილი უწყების“) წამკითხველს ერწმუნა იესო ქრისტე და მიეღოთ საუკუნო სიცოცხლე.

მე ვლოცულობ იმაზე, რომ იოანეს სახარების შესწავლამ მიგიყვანოთ თქვენ იესო ქრისტეს რწმენამდე და თქვენ მიიღოთ ის, როგორც პირადი მხსნელი და უფალი. იესო არის სიცოცხლე და ის გთავაზობთ თქვენ გიწილადოთ თავისი სიცოცხლე თქვენ მარადიულად. რატომაც არ უნდა უთხრათ თქვენ მას ახლავე, რომ თქვენ უარს ამბობთ თქვენს წინანდელ ცხოვრებაზე და ღებულობთ მას? მადლობა გადაუხადეთ მას ახალი სიცოცხლისათვის, რომელსაც ის გაძლევთ თქვენ. იქონიეთ მასთან ურთიერთობა ყოველდღე. იცხოვრეთ ყოველი თქვენი დღე ისე, რომ ასიამოვნოთ მას და მოუყევით სხვებს დიდებულ იესოზე. მას ისინიც უყვარს!

ვ. რ. ბენსონი

© 2000 ვ. რ. ბენსონი

როგორ შევისწავლოთ ღვთის სიტყვა

1. ილოცეთ იმისათვის, რომ ღმერთი თქვენ დაგეხმაროთ. თქვენთვის აუცილებელია მისი დახმარება იმისათვის, რომ გაიგოთ ის, რასაც შეისწავლით ბიბლიაში. გამოიყენეთ ლოცვის სახით ფსალმუნი 118 : 18: „აღმიხილე თვალნი და ვჭვრეტდე საოცრებებს შენი სჯულისას.“

2. ყურადღებით, მშვიდ გარემოში წაიკითხეთ ნაწყვეტი წმიდა წერილიდან. გახაზეთ ის სიტყვები, რომლებმაც თქვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინეს. გახსოვდეთ, რომ ღმერთი გელაპარაკებათ თქვენ თავისი სიტყვიდან.

3. უპასუხეთ შეკითხვებს ბიბლიური ნაწყვეტის ტექსტის მიხედვით.

4. შეამოწმეთ თქვენი პასუხები იმ პასუხებთან, რომელიც მოცემულია წიგნის ბოლოს.

5. შეისწავლეთ მუხლები ზეპირად. წაიკითხეთ ხმამაღლა მუხლი და გაგზავნები მასზე რამოდენიმეჯერ, სანამ თქვენ არ შეძლებთ მოჰყვეთ ეს მუხლი ისე, რომ არ ჩაიხედოთ ტექსტში. (თუ გსურთ, დაწერეთ მუხლი და გაგზავნები მასზე პატარა ბარათზე, მაშინ თქვენ შეძლებთ იქონიოთ ეს მუხლი სულ თან). ყოველდღე რამოდენიმეჯერ წარმოთქვით ხმამაღლა მუხლი და გაგზავნები მასზე, მაშინ თქვენ ადვილად დაგამახსოვრდებათ ის, მოუყევით მუხლი თქვენს მეგობარს, რომელიც შეძლებს შეამოწმოს გააკეთეთ თუ არა შეცდომები, ან ჩაიწერეთ მუხლი მახსოვრობით, ტექსტში ჩაუხედავად, ხოლო შემდეგ შეადარეთ დაწერილი ორიგინალს. მაშინაც კი, თუ კარგად იცით მუხლი გაიმეორეთ ის ერთხელ კვირაში შვიდი კვირის განმავლობაში,

ხოლო შემდეგ ერთხელ თვეში. თუ თქვენ დააგროვეთ თქვენს გულში „უხრწნელი სიმდიდრე“, მაშინ თქვენი სიტყვები და ქცევები შეიცვლებიან. ამავე სახით აიღეთ ზეპირად შესწავლისათვის სხვა მუხლიც.

6. **იფიქრეთ ღვთის სიტყვებზე, რომელიც თქვენ წაიკითხეთ, შეისწავლეთ და დაიზეპირეთ.** ღმერთმა განსაკუთრებული აღთქმა მისცა იმათ, ვინც ფიქრობს მის სიტყვებზე დღე და ღამე:

„ნუ გაქრება რჯულის ეს წიგნი შენი ბაგეებიდან, დღითა და ღამით ფიქრობდე მასზე, რომ ყველაფერი შეასრულო რაც აქ წერია. რადგან მაშინ წაგემართება გზა და მაშინ გექნება წარმატება“ – იესო ნავეს ძე 1 : 8

„არამედ უფლის სჯულშია მისი მისწრაფება და მის სჯულზე ფიქრობს იგი დღედაღამ. და იქნება იგი წყლის ნაკადებთან დარგული ხის მსგავსი, რომელიც თავის დროზე იძლევა ნაყოფს და რომლის ფოთოლიც არ ჭკნება. და ყოველივეში, რასაც იქმს წარმატებულია“ – ფს. 1 : 2, 3

7. გამოიყენეთ პრაქტიკაში ის, რაზეც ლაპარაკობს ღმერთი. იაკობის 1 : 22 გვეუბნება ჩვენ: „იყავით სიტყვის შემსრულებელნი და არა მხოლოდ მომსმენნი თავის მოსატყუებლად“. იესო იმ ადამიანს, რომელიც ისმენს მის სიტყვებს, მაგრამ არ ასრულებს მათ, ამსგავსებს იმ ადამიანს, რომელიც აშენებს თავის სახლს ქვიშაზე. როცა ამოვარდა ქარი, წვიმა და წყალდიდობა, სახლი, რომელიც აგებული იყო ქვიშაზე, დაინგრა. მაგრამ კაცი თუ ქალი, ბიჭი თუ გოგონა, რომელიც ისმენს იესოს სიტყვებს და ემორჩილება მათ, მსგავსი არიან ბრძენკაცისა, რომელიც სახლს კლდეზე აშენებს. წვიმების, ქარების და წყალდიდობის პერიოდში, მისი სახლი დგას მტკიცედ, იმიტომ რომ ის აღმართულია კლდეზე. მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ იმას ვაკეთებთ, რასაც ღმერთი გვეუბნება, ჩვენ შეგვიძლია გავიზარდოთ სულიერად და უკეთ ვცნობდეთ ღმერთს. ზუსტად ჩაიწერეთ, რისი გაკეთება გსურთ და გააკეთეთ ეს. ღმერთი იქნება თქვენთან და ის დაგეხმარებათ თქვენ.

8. გაუზიარეთ სხვებს ღმერთის სიტყვა. შესაძლოა, თქვენ გინდათ მოუყვეთ შესწავლილის შესახებ თქვენი ოჯახის წევრებს. მეორე რჯულის 6 : 7-ში ნათქვამია: „ჩააგონებდე შენს შვილებს და უთხრობდე სახლში ჯდომისას, გზაზე სიარულისას, დაწოლისას და ადგომისას.“

ისტორია 1. იესო ქრისტეს დიდებული წარდგინება



იოანე 1 : 1–18

1 დასაწყისში იყო სიტყვა; და
სიტყვა იყო ღმერთთან; და სიტყვა
იყო ღმერთი. 2 ის იყო დასაწყისში
ღმერთთან. 3 ყოველივე შექმნილია
მის მიერ; და მის გარეშე არაფერი
შექმნილა, რაც კი შექმნილა. 4 მას-
ში იყო სიცოცხლე და სიცოცხლე
იყო ადამიანთა სინათლე. 5 და სი-
ნათლე სიბნელეში ანათებს და სიბ-
ნელემ ვერ მოიცვა იგი

6 იყო კაცი წარმოგზავნილი
ღმერთისაგან. სახელი მისი იოანე.
7 იგი მოვიდა დასამოწმებლად, რათა
დაემოწმებინა სინათლის შესახებ, რომ
ყველას ერწმუნა მისი მეშვეობით. 8
იგი არ იყო სინათლე, არამედ (მოვი-
და), რათა დაემოწმებინა სინათლის
შესახებ. 9 იყო სინათლე ჭეშმარი-
ტი, რომელიც გაუნათებს ქვეყნიერე-
ბაზე მომსვლელ ყოველ ადამიანს.
10 იყო ქვეყნიერებაზე და ქვეყნიერ-
ება მის მიერ შეიქმნა, და ქვეყნიერ-
ებამ ვერ შეიცნო იგი. 11 თავი-
სიანებთან მოვიდა, და თავისიანებმა
არ მიიღეს იგი. 12 ხოლო ყველას,
ვინც მიიღო იგი, მისი სახელის მორ-
წმუნეს, მისცა ძალაუფლება
გამხდარიყვნენ ღმერთის შვილები, 13
რომლებიც არც სისხლისაგან, არც
ხორცის ნდომისაგან, არც მამაკაცის
ნდომისაგან, არამედ ღმერთისაგან იშ-
ნენ. 14 და სიტყვა გახდა ხორცი
და დამკვიდრდა ჩვენს შორის მად-
ლითა და ჭეშმარიტებით აღსავსე;
და ჩვენ ვიხილეთ მისი დიდება,
როგორც მამისაგან მხოლოდშობი-
ლის დიდება.

15 იოანე მოწმობს მის შესახებ,
და ღაღადით ამბობს: ეს იყო ის,
რომლის შესახებაც ვთქვი: ჩემს შემდ-
ეგ მომავალი ჩემზე უპირატესი გახ-
და, ვინაიდან ჩემზე უწინ იყო. 16 და
მისი სისავსიდან მივიღეთ ყველამ,
და მადლი მადლისა წილ. 17 ვინაიდ-
ან სჯული მოცემულია მოსეს მიერ,
ხოლო მადლი და ჭეშმარიტება იესო
ქრისტეს მიერ იქმნა. 18 ღმერთი
არასდროს არავის არ უნახავს. მხ-
ოლოდშობილმა ძემ, მამის წიაღში
მყოფმა, მან ამცნო.

შეასრულეთ დავალება

ა) დაწერეთ ყოველი კითხვის პასუხი. თუ თქვენ არ შეგიძლიათ უპასუხოთ რომელიმე კითხვას, წაიკითხეთ ბიბლიის ტექსტი კიდევ ერთხელ.

1. ვინ იყო „სიტყვა“? ———————————— (მუხლი 1)

2. სად იყო „სიტყვა“? ———————————— (1)

3. რა იყო „სიტყვაში“? ———————————— (4)

4. სად ანათებს სინათლე? ———————————— (5)

5. ვინ წარმოგზავნა ღმერთმა, რომ მოეტანა მოწმობა სინათლეზე? ამ ადამიანის სახელია ———————————— (6)

(ეს ადამიანი იყო იოანე ნათლისმცემელი და არა სახარების ავტორი)

6. ვინ არ მიიღო იესო? ის ———————————— (11)

(ხალხმა, ისრაელმა, ღმერთისაგან რჩეულმა ადამიანებმა არ მიიღეს ქრისტე).

7. რა ძალაუფლება მისცა იესომ მათ, ვინც მიიღო იგი? ძალაუფლება გამხდარიყვნენ ———————————— (12)

8. ისინი ვინც იშვნენ ღმერთისაგან, იშვნენ „არც ———————————— ნდომისაგან, არამედ ————————————“ (13)

(როცა ადამიანი ღმერთის შვილი ხდება, ეს სასწაულია, რომელსაც თავად ღმერთი მოიმოქმედებს. ეს არ ხდება ქრისტიანი მშობლებისაგან ბავშვის დაბადებისას; ეს არ ხდება უბრალოდ იმიტომ, რომ თქვენ ეს გინდათ რომ მოხდეს; ეს არ ხდება იმიტომ, რომ ვიღაც სხვას სურს, რომ თქვენ იშვათ ზეციდან. ხელახალი შობა – ეს ღმერთის საქმეა).

9. რად იქცა „სიტყვა“? ———————————— (14)

10. სად მკვიდრობდა „სიტყვა“? ———————————— (14)

11. რა ორ რაღაცას ვღებულობთ ჩვენ, როცა მივიღებთ ქრისტეს? „და მისი ———————————— მივიღეთ ყველამ, და ———————————— წილ“ (ერთი კურთხევა მოსდევს მეორეს) (16) ვინაიდან არავის არასოდეს უნახავს ღმერთი, ვინ უნდა მოვლინებულიყო, რომ ემცნო ჩვენთვის როგორია ღმერთი? მხოლოდშობილი ———————————— (18)

(ვინაიდან იესო ღმერთია, მას ერთდროულად შეეძლო ყოფილიყო დედამიწაზეც და მამასთანაც, სადაც ის მუდამ იმყოფება. შეადარეთ მე-18 მუხლი 1-ელ მუხლს).

ბ) ამოიწერეთ და შეისწავლეთ ზეპირად მუხლი იოანე 1 : 12.

იესო ღმერთია. ის მოვიდა ადამიანის სახით

მანამ სანამ ჩვენ მივიღებთ იესოს და ვირწმუნებთ მას, ჩვენ უნდა ვიცოდეთ ვინ არის ის. მე–18 მუხლში ლაპარაკია იმაზე, რომ ის მოვიდა იმისათვის, რომ გვამცნოს ღმერთი, იმიტომ რომ არავინ არასოდეს არ ყოფილა იმ მდგომარეობაში ღმერთთან სიახლოვისა, რომ ეხილა იგი. ამისათვის ღმერთის დიდება ძალზე მკვეთრია. ის ძალზე წმიდაა.

ადამიანი ცოდვილია და ამიტომაც ის ცხოვრობს სულიერ სიბნელეში. სიბნელე – ეს ის ქვეყნიერებაა, რომელიც ცდილობს ღმერთის იგნორირება მოახდინოს და იცხოვროს მის გარეშე. მაგრამ მე–5 მუხლში ჩვენ ვხედავთ, რომ სიბნელემ ვერ მოიცვა სინათლე.

ბიბლია ამბობს: „**და სინათლე სიბნელეში ანათებს და სიბნელემ ვერ მოიცვა იგი.**“ (იოან. 1 : 5). არის რა ღმერთი, იესოს ეწოდება „**სინათლე ჭეშმარიტი**“ (მუხლი 9). „**ჭეშმარიტი სინათლის**“ წყალობით ადამიანს შეუძლია დაინახოს თავისი თავი ისეთად, როგორიც არის სინამდვილეში: ცოდვილი. მაგრამ, ასევე „**ჭეშმარიტი სინათლის**“ წყალობით, მას შეუძლია დაინახოს *სინამდვილეში როგორია ღმერთი.* ამის გარდა, ადამიანი შეძლებს დაინახოს, როგორი უნდა იყოს ის სინამდვილეში.

რა მშვენიერია, რომ სინათლე ჭეშმარიტი (იესო) ანათებს ჩვენს ბნელ სამყაროში, რომ გვიჩვენოს ჩვენ ღმერთი! როგორც ერთმა პატარა გოგონამ დაწერა: „იესო ყველაზე მშვენიერი ფოტოსურათია, რომელიც ოდესმე გაუკეთებია ღმერთს!“ იესო – ღმერთის სურათია. ნებისმიერს შეეძლო დაენახა, მოესმინა ან შეხებოდა მას.

იესო ცხოვრობდა ადამიანებს შორის. სიტყვა „დამკვიდრება“, რომელიც გამოყენებულია მე–14 მუხლში, სიტყვასიტყვით ნიშნავს „დროებით ცხოვრებას“. იესო *„დროებით ცხოვრობდა“* ჩვენს შორის. დროებითი საცხოვრებელი ძველ აღთქმაში იყო კარავ-ტაძარი, რომელიც ღმერთმა განუსაზღვრა ისრაელ ხალხს, რომელიც ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა თავისი ისტორიის გარიჟრაჟზე. კარავ-ტაძარი (ხოლო მოგვიანებით ტაძარი იერუსალიმში) იყო ადგილი, რომელშიც უფალი ღმერთი ცხოვრობდა მის მიერ რჩეულ ხალხს შორის. მოგვიანებით, როდესაც ისრაელმა შესცოდა, ღმერთის დიდებამ დატოვა ტაძარი. მაგრამ ახლა, იესოს პიროვნებაში, ღმერთი დაუბრუნდა თავის ხალხს „სავანეში“! დამეთანხმებით რა ცუდია, რომ მრავალმა ადამიანმა არ იცნო იგი? მაგრამ ყველამ, რომელსაც მართლა სწამდა ღმერთი, დაინახეს იესოში, როცა ის მოვიდა, ღმერთის დიდება (მუხლი 14).

იესო – ღმერთის სიტყვა

ბიბლია ამბობს: „**ლამპარია ჩემი ფეხისათვის სიტყვა შენი და სინათლე – ჩემი ბილიკისათვის**“ (ფს. 118 : 105). არსებობს იესოს სხვა სახელიც „ღმერთის სიტყვა“. (შეადარეთ 1–ლი და მე–14 მუხლები). ბიბლია – ეს *ღმერთის დაწერილი სიტყვაა;* ხოლო იესო – ეს მისი *ცოცხალი სიტყვაა,* იმიტომ, რომ ღმერთი თავის თავზე გველაპარაკება იესოსაგან.

„**ღმერთი, ძველთაგან მრავალჯერ და მრავალი სახით მამებთან მოლაპარაკე წინასწარმეტყველების მიერ, ამ უკანასკნელ დღეებში გველაპარაკა ძის მიერ.**“ (ებრ. 1 : 1, 2).

იესო – ღმერთის სიცოცხლე

დაინტერესებულხართ კი თქვენ ოდესმე, *რატომ* ვხდებით ჩვენ ღმერთის შვილები, როცა ვღებულობთ იესოს ჩვენს გულში? იმიტომ რომ „**მასში იყო სიცოცხლე**“ (მუხლი 4).

თავდაპირველად ჩვენ ვხედავთ, რომ იესომ შექმნა ყოველივე ცოცხალი (მუხლები 3 და 10). „ . . . **ყველაფერი მის მიერ და მისთვის არის შექმნილი. და იგი არის ყოველივეზე წინ და ყოველივე მისით დგას**“ (კოლ. 1 : 16, 17). იესო როგორც ღმერთი გვევლინება მთელი სიცოცხლის წყაროდ. ამის გარდა ის ასაზრდოებს ყოველივე ცოცხალს. „ . . . **თვითონ აძლევს ყველას სიცოცხლეს, სუნთქვას და ყოველივეს; . . . ვინაიდან მისით ვცოცხლობთ, ვმოძრაობთ და ვარსებობთ**“ (საქ. 17 : 25, 28).

ისევე, როგორც ადამიანი გახდა ცოცხალი მშვინვა, როცა შექმნის დროს ღმერთმა შთაბერა სახეში სიცოცხლის სუნთქვა, აგრეთვე იესოს მიეცა ძალაუფლება ყოველგვარ სხეულზე, რომ მისცეს სამუდამო (სულიერი) სიცოცხლე რაც შეიძლება მეტ რაოდენობას მასთან მიმსვლელებისა (იოან. 17 : 2). „**ვისაც ძე (ღმერთისა) ჰყავს, აქვს სიცოცხლე; ვისაც ძე ღმერთისა არა ჰყავს, სიცოცხლე არა აქვს**“ (1 იოან. 5 : 12).

მიიღეთ კი თქვენ ახალი სიცოცხლე – სულიერი სიცოცხლე – როცა მიიღეთ იესო და როცა მთლიანად მიენდეთ მას? თუ კი, მაშინ თქვენ უფლის შვილები ხართ, ღმერთისაგან შობილნი, და ფლობთ მის საუკუნო სიცოცხლეს. თუ თქვენ დაიარებით მის სინათლეში და მაქსიმალურად განიცდით თქვენში მის სიცოცხლეს, თქვენ გექნებათ ერთი კურთხევა მეორეს მიყოლებით (მუხლი 16). თუ თქვენ ჯერ არ მიგიღიათ ის, რატომ ახლავე არ სთხოვთ მას მოვიდეს და მოგცეთ თქვენ ახალი სიცოცხლე – მისი საკუთარი მარადიული სიცოცხლე?

თქვენ ხომ უკვე გამოეხმაურეთ თქვენს კარებზე კაკუნს? სწორედ ახლა იესო დგას თქვენს გვერდით და აკაკუნებს თქვენი გულის კარებზე. ის გპირდებათ: „ . . . **თუ ვინმე მოისმენს ჩემს ხმას და გააღებს კარს, შევალ მასთან.**“ (გამოცხ. 3 : 20).

ისტორია 2. იოანე ნათლისმცემელი განამზადებს გზას იესოსათვის

იოანე 1 : 19–34

19 და, აი, მოწმობა იოანესი, როდესაც იუდეველებმა გაუგზავნეს იერუსალიმიდან მღვდელნი და ლევიტნი, რომ ეკითხათ მისთვის: ვინ ხარ შენ? 20 მან აღიარა და არ უარყო, და აღიარა: მე არ ვარ ქრისტე. 21 და ჰკითხეს მას: მაშ რა? ილია ხარ? მან თქვა: არ ვარ. წინასწარმეტყველი ხარ? მან უპასუხა: არა. 22 მაშინ უთხრეს მას: ვინ ხარ, რომ პასუხი გავცეთ ჩვენს წარმომგზავნელთ: რას იტყვი შენს შესახებ? 23 მან თქვა: მე ვარ ხმა მღაღადებლისა უდაბნოში: მოუსწორეთ გზა უფალს, როგორც თქვა ესაია წინასწარმეტყველმა. 24 წარმოგზავნილები კი ფარისეველთაგან იყვნენ. 25 მათ ჰკითხეს და უთხრეს მას: მაშ, რატომღა ნათლავ, თუ არც ქრისტე ხარ, არც ილია, არც წინასწარმეტყველი? 26 მიუგო იოანემ პასუხად: მე ვნათლავ წყალში; მაგრამ თქვენ შორის დგას, ვისაც არ იცნობთ. 27 ვინც ჩემს შემდეგ მოდის, (რომელიც ჩემზე წინადაა) რომლის სანდლის თასმის გახსნის ღირსიც არა ვარ. 28 ეს მოხდა ბეთანიაში იორდანეს გაღმა, სადაც იოანე ნათლავდა.

29 მეორე დღეს იხილა მან მისკენ მომავალი იესო და თქვა: აი, ღმერთის კრავი, რომელიც იღებს ქვეყნიერების ცოდვას. 30 ეს არის რომლის შესახებაც ვთქვი: ჩემს შემდეგ მოდის კაცი, რომელიც ჩემზე უპირატესი გახდა, ვინაიდან ჩემზე უწინ იყო. 31 მე არ ვიცნობდი მას, მაგრამ იმიტომ მოვედი წყალში სანათლავად, რომ ის გამოეცხადოს ისრაელს. 32 მოწმობდა იოანე და ამბობდა: მე ვიხილე ციდან მტრედივით გარდმომავალი სული და დარჩა

მასზე. 33 მე არ ვიცნობდი მას, მაგრამ, ვინც წარმომგზავნა წყალში სანათლავად, მან მითხრა: რომელზეც დაინახო სული გარდმომავალი და მასზე დარჩენილი, ის არის სულიწმიდით ნათლისმცემელი.

34 მე დავინახე და დავამოწმე, რომ ეს არის ძე ღმერთისა.



შეასრულეთ დავალება

შეავსეთ სწორად გამოტოვებული სიტყვები

1. იოანე ნათლისმცემელმა თქვა, რომ ის ———————————— მღაღადებლისა ———————————— (23).

2. იოანე ნათლისმცემელი ახდენს ესაია წინასწარმეტყველის ციტირებას და ამბობს: „მოუსწორეთ ———————————— უფალს“ (23).

3. იოანემ თქვა, რომ თუმცა იესო მოდის მის ———————————— მასზე ———————— გახდა (27, 30).

(ეს ნიშნავს, რომ თუმცა იოანე ნათლისმცემელი მოვიდა რომ განემზადებინა გზა იესოსათვის, იესო მასზე მნიშვნელოვანია. იოანემ თქვა, რომ ის მისი ფეხსაცმლის თასმის გახსნის ღირსიც კი არ არის. იოანემ იცოდა, რაოდენ დიდია იესო).

4. როცა იოანემ მიუთითა ხალხს იესოზე, მან უწოდა მას ———————————— იმიტომ, რომ იესო იღებს თავის თავზე ———————————— (29).

5. იოანე მოვიდა, რომ მონათლოს ადამიანები წყალში, რომ იესომ შეძლოს გამოეცხადოს ———————————— (31).

6. იოანემ იცოდა, რომ იესო ღმერთის ძეა (ღმერთი, რომელიც დაიბადა როგორც ადამიანი), იმიტომ, რომ ღმერთის სული გარდმოევლინა ზეციდან როგორც ———————— და დარჩა იესოზე (32). ამის გარდა ეს ნიშნავს, რომ იესო მონათლავს ———————— (33).

იესოსათვის გზის მომზადება

400 წლის განმავლობაში ღმერთის რჩეულ ერს ისრაელს არ ჰყავდა წინასწარმეტყველი, რომელიც აუწყებდა მას ღმერთის ნებას. ისრაელიანებს ჰქონდათ ძველი აღთქმა, რომელიც ამცნობდა მათ ღმერთის მოთხოვნებსა და აღთქმებს. მათ იცოდნენ, რომ დადგება დღე, როცა მესია, განმათავისუფლებელი, ცხებული ღმერთისა, მოვა, რომ მართოს ისრაელი. ესაიამ თქვა, რომ ის იშვება ქალწულისაგან (ეს. 7 : 14) და აგვიწერა ის როგორც „ემანუელი" (ეს. 7 : 14), რაც ნიშნავს „ჩვენთან არს ღმერთი". მიქამ იწინასწარმეტყველა, რომ ის დაიბადებოდა ბეთლემში და იქნება ისრაელის მმართველი (მიქ. 5 : 2).

როგორ ფიქრობთ, იყვნენ კი ადამიანები, რომლებიც უსმენდნენ იოანე ნათლისმცემელს, რომელიც ქადაგებდა და მოუწოდებდა მათ მომზადებულიყვნენ უფლის მოსვლისათვის, გაოგნებულნი და გახარებულნი მოსმენილით? როგორ შეეძლოთ მათ მომზადებულიყვნენ ამისათვის? მათე ამბობს, რომ იოანე ნათლისმცემელი ქადაგებდა: „**მოინანიეთ, რამეთუ მოახლოებულია სასუფეველი ცათა**" (მათ. 3 : 2). ბევრ ადამიანს, რომელიც „აღიარებდა თავის ცოდვებს" ნათლავდა იოანე მდინარე იორდანეში. თქვენ ხედავთ, რომ სანამ გულები იქნება მზად მიიღოს იესო, მათ ზურგი უნდა აქციონ თავიანთ ცოდვებს (მოინანიონ). მხოლოდ მაშინ, როცა მე და თქვენ ვართ მზად უარი უთხრათ ჩვენს ცოდვებს: არასწორ დამოკიდებულებას, აზრებს და მოქმედებებს ღმერთისა და ხალხის წინააღმდეგ, ჩვენ მზად ვართ ვაღიაროთ იესო როგორც გზა ღმერთისაკენ და მივიღოთ ის, როგორც მეფე და უფალი. იოანეს წყლით ნათლობის საშუალებით უნდა ეჩვენებინა, როგორ ჩამოირეცხება ცოდვები წყლით. იესოს უნდა მოენათლა სულიწმიდით, რომ გავეწმინდეთ ცოდვებისაგან ცეცხლით (მათ. 3 : 11, 12) და მოგვცეს ჩვენ ახალი, გამართლებული ცხოვრება (ქრისტეს საკუთარი სიცოცხლე ჩვენში).

აღიარეთ კი თქვენი საკუთარი ცოდვები ღმერთის წინაშე?

იესო — ღვთის კრავი

ისრაელმა ერმა იცოდა, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა კრავს ისრაელიანების ღმერთთან დამოკიდებულებაში. მრავალი საუკუნის წინათ, როცა ისრაელის შვილები მონები იყვნენ ეგვიპტეში, ღმერთი შრომობდა ფარაონის გულზე, რომ მას გაენთავისუფლებინა ისინი. ღმერთმა ფარაონზე 10 სასჯელი მოავლინა, რომ აეძულებინა ფარაონი ნება დაერთო დიდძალი

ერისათვის, რომელიც შესაძლებელია 2 მილიონამდე კაცს ითვლიდა, წასულიყვნენ ეგვიპტიდან. ბოლო და ყველაზე საშინელი სასჯელი მდგომარეობდა იმაში, რომ ღმერთი აპირებდა ღამით გაევლო მთელ ეგვიპტის მიწაზე და მოეკვდინებინა იმ ღამით ყველა ეგვიპტელი პირმშო.

თუმცა არსებობდა ამისაგან თავის დაღწევის საშუალებაც. ყოველი ოჯახი, რომელიც დაემორჩილებოდა ღმერთის მცნებებს, ცოცხალი გადარჩებოდა. ღმერთმა ბრძანა დაეკლათ უნაკლო ბატკანი და წაესვათ მისი სისხლი ორივე წირთხლსა და კარისთავს, როცა ღმერთი დაინახავდა სისხლს წასმულს კარისთავზე, ის გვერდს ჩაუვლიდა და სასიკვდილო წყლული არ მიეკარებოდა ჩვილს. რა საოცარი გეგმაა! ამ დღიდან მოყოლებული ისრაელიანებს ყოველწლიურად უნდა აღენიშნათ პასექის დღესასწაული იმ დროის მოსახსენიებლად, როცა ღმერთის სასამართლომ „გვერდი აუარა“ მათ, იმიტომ რომ მათ ბატკნის სისხლი სცხეს თავიანთ კარებებს (ამ მოვლენების შესახებ საუბარია გამოსვლის 12 : 1–42).

რა ზუსტი უნდა ყოფილიყო ადამიანებისათვის იესოს პირველი გაცნობა, როგორც „ღვთის კრავისა„! ის უნდა მოსულიყო და გამხდარიყო სამსხვერპლო ბატკანი, სრულყოფილი, ნაკლისა და ცოდვის გარეშე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი დაღვრილი სისხლის ცხება თქვენი გულის კარებზე და ღმერთის სასამართლოს ჩვენი ცოდვისათვის შეძლებოდა „გვერდის ავლა“ ჩვენთვის! ებრაელების მიმართ წერილის 9 : 22-ში ლაპარაკია: „ . . . **სისხლის დაღვრის გარეშე არ ხდება მიტევება**“. ლევიანთა წიგნის 17 : 11-ში დაწერილია: „. . . **რადგან სისხლია, რომელიც წმენდს მშვინვას**“. საუკუნეების განმავლობაში დაკლული ბატკნები მიუთითებდნენ იესოზე, რომელიც უნდა მოსულიყო, როგორც „ღვთის კრავი“, რომ დაღვარა თავისი სისხლი, და ყველა ისინი, რომლებმაც მიიღეს ის, როგორც მხსნელი, შეეძლოთ სცხონ მისი სისხლი თავისი გულის კარს, „**ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც ჩემს სიტყვებს ისმენს და ჩემი წარმომგზავნელი სწამს, მას აქვს საუკუნო სიცოცხლე და სასამართლოზე არ მიდის, მაგრამ სიკვდილიდან სიცოცხლეში გადავიდა**“ (იოან. 5 : 24).

ესაია 53 : 7 მიუთითებს, რომ **„კრავივით დასაკლავად მიიყვანეს“**. იესო მოვიდა, რომ ქვეყნიერების ცოდვებისათვის მომკვდარიყო. რატომ არ გადავუხადოთ მას მადლობა ახლავე მთელი ხმით იმისათვის, რომ ის ღმერთის კრავია. ვისი სისხლი დაიღვარა თქვენთვის და ჩამორეცხა თქვენი ცოდვები? როცა ღმერთი ხედავს მხოლოდ ქრისტეს მიერ აღსრულებულ მსხვერპლშეწირვას, რომელმაც აიღო თავის თავზე ჩვენი ცოდვები და დაისაჯა ჩვენს გამო. დიდება ღმერთს!

იქნებით კი თქვენ თავისუფალნი
ცოდვის ტვირთისაგან?
ძალა სისხლშია, სისხლში.
დაამარცხეთ კი თქვენ ბოროტება?
სისხლში საკვირველი ძალაა.

გამოსყიდვა ნიშნავს ღმერთის მხარეზე ყოფნას, რამეთუ იესოს სისხლი გვწმენდს ჩვენ ცოდვებისაგან.

ისტორია 3. იესოს ცნობა

იოანე 1 : 35–49

35 მეორე დღეს კვლავ იდგა
იოანე და ორი მისი მოწაფეთაგანი.
36 და მომავალი იესოს დანახვისას
თქვა: აი, ღმერთის კრავი. 37 და
ორმა მოწაფემ გაიგონა მისი სიტყ-
ვა და გაჰყვა იესოს. 38 იესო მო-
ბრუნდა, დაინახა ისინი რომ მიჰყვე-
ბიან, და ეუბნება მათ: რას ეძებთ?
ხოლო მათ უპასუხეს: რაბი, — რომ-
ლის თარგმანი ნიშნავს: მოძღვარო,
— სად იმყოფები? 39 ეუბნება მათ:
მოდით და ნახავთ, წავიდნენ და ნახ-
ეს, სად იმყოფებოდა, ის დღე მასთან
დაჰყვეს. იქნებოდა დაახლოებით მე-
ათე საათი. 40 ერთი იმ ორთაგანი,
რომელმაც იოანესაგან მოისმინა და
გაჰყვა მას, იყო ანდრია, ძმა სიმონ -
პეტრესი. 41 მან პირველმა იპოვა
თავისი ძმა სიმონი და უთხრა: ჩვენ
ვიპოვეთ მესია, რომლის თარგმანი
ნიშნავს: ქრისტე. 42 მიიყვანა იგი

იესოსთან. შეხედა მას იესომ და უთხრა: შენ ხარ სიმონი, იონეს ძე; ამიერიდან შენ გერქმევა კეფა, რომლის თარგმანი ნიშნავს: კლდე.

43 მეორე დღეს მოისურვა გალილეას წასვლა, იპოვა ფილიპე და უთხრა იესომ: გამომყევი. 44 ხოლო ფილიპე იყო ბეთსაიდიდან, ანდრიას და პეტრეს ქალაქიდან. 45 ფილიპემ იპოვა ნათანაელი და უთხრა: ჩვენ ვიპოვეთ ის, ვის შესახებ წერდა მოსე სჯულში და წინასწარმეტყველნი: იესო, იოსების ძე, ნაზარეთიდან. 46 უთხრა მას ნათანაელმა: განა ნაზარეთიდან რაიმე სიკეთე შეიძლება იყოს? ფილიპემ უთხრა: მოდი და ნახე. 47 იესომ რომ დაინახა მისკენ მომავალი ნათანაელი, მის შესახებ თქვა: აი, ჭეშმარიტი ისრაელი, რომელშიც არ არის მზაკვრობა. 48 ნათანაელი ეუბნება: საიდან მცნობ? იესომ მიუგო პასუხად: ვიდრე ფილიპე დაგიძახებდა, როცა ლეღვის ქვეშ იყავი, დაგინახე. 49 ნათანაელმა უპასუხა მას: რაბი, შენ ხარ ძე ღმერთისა, შენ ხარ ისრაელის მეფე.

მიდით, და ნახავთ

იონე ნათლისმცემლის ორ მოწაფეს, გაიგონეს რა, რომ იონემ თქვა იესოზე: „აი, ღმერთის კრავი“, ძალიან სურდათ გაეგოთ მასზე მეტი. მათ გადაწყვიტეს გაერკვიათ სად ცხოვრობს ის და მაშინ მან უთხრა მათ „მოდით და ნახეთ“. შეგიძლიათ თქვენ წარმოიდგინოთ რა საოცარი საუბარი ჰქონდათ მათ იესოსთან! მათ უნდა შეეტყოთ იესოზე ბევრი რამ, რადგან ამის შემდგომ სულ მალე ერთ-ერთმა მათგანმა, ანდრიამ, უთხრა თავის ძმას პეტრეს, რომ მათ ნახეს მესია!

სიტყვა „მესია“ ნიშნავს „ცხებულს“, ე. ი. ადამიანი, რომელიც წარმოგზავნილია ღმერთისაგან როგორც წინასწარმეტყველი, მღვდელი, მეფე ანუ მმართველი ისრაელისა. ძველი აღთქმის ბევრი წინასწარმეტყველი ლაპარაკობდა განსაკუთრებულ ადამიანზე, რომელიც უნდა მოსულიყო. მასზე მოსეც კი წერდა. ღმერთმა უთხრა მოსეს: „**შენ რომ ხარ, ისეთ წინასწარმეტყველს დავუდგენ მოძმეთა წრიდან, ბაგეზე დავუდებ ჩემს სიტყვებს და ის გამოგიცხადებთ ყველაფერს, რასაც მე ვუბრძანებ**“ (რჯლ. 18 : 18). მოგვიანებით იესომ თქვა: „**როგორც მამამ მასწავლა ისე**

ვლაპარაკობ“ (იოან. 8 : 28). როგორ იყვნენ აღელვებული ეს ადამიანები!

გინდათ თქვენ შეიტყოთ იესოზე? გინდათ თქვენ იცოდეთ მასზე უფრო მეტი? გაინტერესებთ თქვენ ვინ არის იესო? და დღესაც გეუბნებით თქვენ: „მოდით, და ნახავთ“. გამოცხადება მოდის შესწავლის შედეგად. იესომ თქვა: „**ეძიეთ და იპოვით**“ (მათ. 7 : 7). თუ თქვენ მიხვალთ იესოსთან, თქვენ ამას დაინახავთ! თუ თქვენ დარჩებით მასთან და ნებას დართავთ მას გელაპარაკოთ თქვენ თავისი სიტყვით, ის გიჩვენებთ თქვენ ვინ არის სინამდვილეში და თქვენ გეცოდინებათ ის! „**ჩავუდგამ მათ გულს, რათა მცნობდნენ, რომ უფალი ვარ. ჩემი ერი იქნებიან და მე მათი ღმერთი ვიქნები, რადგან მთელი გულით მოიქცევიან ჩემკენ**“ (იერ. 24 : 7).

მოწმობა იესოზე

როცა ადამიანი მოდის იესოსთან და ხედავს თუ ვინ არის ის, მას უნდა რომ მასზე მოუყვეს სხვებს! მას სურს სხვებს უთხრას ის, რაც თვითონ იცის იესოზე, რომ მისმა მეგობრებმაც შეძლონ „მოსვლა და დანახვა“. თუ თქვენ იცნობთ იესოს და სწავლობთ მისგან, უზიარებთ კი თქვენ ვინმეს კეთილ უწყებას?

ქვემოთ ჩამოწერეთ რას წარმოადგენს თქვენთვის იესო:

სთხოვეთ ღმერთს დღესვე მოგცეთ თქვენ საშუალება გაუზიაროთ ვინმეს თქვენი დამოწმება, რომ ამ ადამიანმაც შეძლოს „მისვლა და ნახვა“.

ისტორია 4. იესოს ქორწილზე სიხარული მოაქვს

იოანე 2 : 1–11

1 მესამე დღეს ქორწილი იყო
გალილეას კანაში, და იესოს დედაც
იქ იყო. 2 იესო და მისი მოწაფეე-
ბიც იყვნენ მოწვეულნი ქორწილზე.
3 და როცა ღვინო შემოაკლდათ,
იესოს დედა ეუბნება მას: ღვინო აღარა
აქვთ. 4 იესო ეუბნება მას: რა მე და
შენ, დედაკაცო? ჩემი ჟამი ჯერ არ
მოსულა. 5 დედამისმა უთხრა მსახ-
ურებს: გააკეთეთ ყველაფერი, რასაც
ის გეტყვით. 6 იქ იყო ექვსი ქვის
სარწყული, იუდეველთა განწმენდის
ჩვეულების თანახმად, თითოში ორი
ან სამი ზომა ეტეოდა. 7 უთხრა
მათ იესომ: აავსეთ წყლით ეს სარ-
წყულები. და მათ აავსეს პირთამდე.
8 და უთხრა მათ: ახლა ამოიღეთ
და მიართვით თამადას! და მიართვეს.
9 როდესაც თამადამ გემო გაუსინ-
ჯა ღვინოდ ქცეულ წყალს, — და
მან არ იცოდა საიდან იყო ეს, იცოდ-
ნენ მხოლოდ მსახურებმა, რომლებ-
მაც ამოიღეს წყალი, — მაშინ თა-
მადამ დაუძახა ნეფეს 10 და უთხრა
მას: ყოველი ადამიანი პირველად კარგ
ღვინოს დგამს, ხოლო როცა დათვ-
რებიან, მაშინ მდარეს. შენ კი აქამდე
ინახავდი კარგ ღვინოს. 11 ასე დაი-
წყო იესომ სასწაულები გალილეას
კანაში და გამოავლინა თავისი დიდე-
ბა. და ირწმუნეს მისი მისმა მოწაფეე-
ბმა.

1. იესოს დედამ უთხრა მსახურებს: „_____
_____“ (მუხლი 5)

2. როდესაც იესომ უბრძანა მსახურებს აევსოთ სარწყულები, მათ აავსეს ისინი „_____
_____“ (7).

სიხარულის გასაღები მორჩილებაში

სავსებით შესაძლებელია, რომ იესოს დედას ადრე არასოდეს ენახა, როგორ მოიმოქმედებდა იესო სასწაულებს. თუმცაღა, მას არ ეპარებოდა ეჭვი, რომ ის აუცილებლად რაიმეს გააკეთებდა, რომ აღმოეჩინა დახმარება. ახლა ჩვენ ვიცით, რომ ღვინო, რომელიც ჩამოარიგეს ქორწილზე, არ იყო ისეთი, რომლისაგანაც ხალხი თვრება. ის არც ისეთ ღვინოს გავდა, რომელსაც ჩვენს დროს აწარმოებენ. ეს გახლდათ უგემრიელესი ყურძნის წვენი. საკმაოდ იქნებოდა შეშფოთების მიზეზი, როცა ღვინო გამოილია!

იქნებ თქვენ ქრისტიანი ხართ. რა „გამოგელიათ“ თქვენ? არ გეყოთ თქვენ მოთმინება დღის დასრულებამდე? თუ თქვენს გულში არ არის ახლა სიხარული და სიყვარული? იესო ხედავს თქვენს საჭიროებას, რაშიც არ უნდა მდგომარეობდეს ის. მას უნდა აკურთხოს თქვენი ცხოვრება სასწაულით! მას არ სურს, რომ თქვენ განიცდიდეთ შეშფოთებას თქვენს ქრისტიანულ ცხოვრებაში, როცა არ გაგაჩნიათ საკმარისი სიხარული, მშვიდობა და სიყვარული მთელი დღის განმავლობაში. ის შეგვპირდა: „**ყოველი, ვისაც სწამს იგი, არ შერცხვება**“ (რომ. 9 : 33). *თუმცაღა არის საიდუმლო, რომლის შესახებაც თქვენ უნდა იცოდეთ!* კურთხევის გასაღები მორჩილებაა. „**გააკეთეთ ყველაფერი, რასაც ის გეტყვით.**“ როცა ჩვენ ვემორჩილებით, იესოს შეუძლია მოიმოქმედოს სასწაული. ჩვენი მორჩილება უჩვენებს, რომ ჩვენ მართლაც გვწამს მისი.

თუ ვინმემ გაწყენინათ თქვენ, აპატიეთ კი თქვენ მას? (მათ. 6 : 14, 15) აგროვებთ კი თქვენ საუნჯეს ზეცაში? (მათ. 6 : 20). იქნებ თქვენ ფიქრობთ, რომ არ შეგიძლიათ შესაწირავი გაიღოთ ღმერთის საქმისათვის? მაგრამ იესომ იცის თქვენი საჭიროებები. ერწმუნეთ მას, დაემორჩილეთ მას: „**აბა, გამომცადეთ ამით, ამბობს ცაბაოთ უფალი, თუ არ გაგიხსნათ ცის საქანელნი და არ გადმოგიცალოთ კურთხევა აუწყველად**“ (მალ. 3 : 10).

„**არამედ აღივსენით სულით**“ — გეუბნებათ თქვენ დღეს ღმერთი (ეფ. 5 : 18). არც ერთ ქრისტიანს არ ძალუძს ჰქონდეს სიხარულით აღსავსე ცხოვრების მოლოდინი, თუ ის ნებას არ რთავს ღმერთს აღავსოს ის ყოველდღიურად სულით.

შესაძლებელია, რომ თქვენ არ ხართ ქრისტიანი. შესაძლებელია თქვენ მოგბეზრდათ კიდეც სიცოცხლე. თქვენც შეგიძლიათ დაემორჩილოთ იესოს

მცნებებს. მიდით მასთან და მიიღეთ მისი სიცოცხლე — სრულად და მთლიანად. მან თქვა: **„მე იმისათვის მოვედი, რომ სიცოცხლე გექნეთ და უხვად გექნეთ“** (იოან. 10 : 10).

მსახურებმა მისი ბრძანება სრულად შეასრულეს. მათ არ შეავსეს ჭურჭელი ნახევრად ან თითქმის პირთამდე. მათ შეავსეს ის „პირთამდე“. მთელი გულით ღმერთისადმი მორჩილებას მოაქვს სიხარული და კურთხევა. **„ყველაფერი, რასაც აკეთებთ, გააკეთეთ სულით, როგორც ღმერთისათვის და არა კაცთათვის. იცოდეთ, რომ მემკვიდრეობას მიიღებთ უფლისაგან საზღაურად, ვინაიდან უფალ ქრისტეს ემსახურებით“** (კოლ. 3 : 23, 24). არის კი რაიმე, რაც თქვენ იესომ გითხრათ, რომ თქვენ ეს მისადმი მორჩილებით უნდა გააკეთოთ? რატომ არ უნდა შეასრულოთ ის დღესვე?

როცა მოწაფეებმა დაინახეს სასწაულები, მათი რწმენა გაიზარდა — „მათ ირწმუნეს მისი“. როცა თქვენ დაემორჩილებით ღმერთის სიტყვას და დაინახავთ ღმერთის საქმეებს, თქვენი რწმენაც გაიზრდება. რწმენა წაგავს კუნთებს. ის მტკიცდება, როცა მისით *სარგებლობენ,* როცა მას *ავარჯიშებენ,* მოდით ავირჩიოთ ჩვენთვის ყოველდღიური სიარული რწმენით. **„მართალი იცოცხლებს რწმენით“** (რომ. 1 : 17).

რწმენა = ვტოვებ რა ყველაფერს, მე ვიმედოვნებ მასზე (იესოზე)

ისტორია 5. იესო წმენდს ტაძარს

იოანე 2 : 13–22

13 და ახლოვდებოდა იუდეველთა პასექი და იესო ავიდა იერუსალიმს. 14 და ნახა ტაძარში ხარების, ცხვრების და მტრედების გამყიდველები და ისხდნენ ფულის გადამცვლელები. 15 გააკეთა საბლის შოლტი და გამორეკა ტაძრიდან ყველა, აგრეთვე ხარები და ცხვრები, ფულის გადამცვლელებს ფული დაუბნია და მაგიდები გადაუყირავა. 16 მტრედების გამყიდველებს უთხრა: გაიყვანეთ ესენი აქედან და მამაჩემის სახლს ნუ გახდით სავაჭრო სახლად. 17 მის მოწაფეებს გაახსენდათ, რომ დაწერი-

ლია: შენი სახლის შური შემჭამს მე.

18 იუდეველებმა უთხრეს პასუხად: რა ნიშანს გვიჩვენებ, — ვინადან ამას აკეთებ? 19 უპასუხა იესომ და უთხრა მათ: დაანგრიეთ ეს ტაძარი და მე სამ დღეში აღვადგენ მას. 20 იუდეველებმა უთხრეს: ეს ტაძარი ორმოცდაექვს წელიწადს შენდებოდა და შენ სამ დღეში აღადგენ მას? 21 ის კი თავისი სხეულის ტაძარზე ლაპარაკობდა. 22 და როცა ის მკვდრეთით აღდგა, მისმა მოწაფეებმა გაიხსენეს, რომ ამას ამბობდა და ირწმუნეს წერილი და სიტყვა, რომელიც იესომ თქვა.

რის შესახებ იცოდა იესომ

გახსოვთ, რას ნიშნავს სიტყვა „პასექი“? ჩვენ ვისაუბრეთ ამის შესახებ მე-10 გვერდზე.

იესო მოვიდა იერუსალიმში, რომ ეზეიმა პასექი. ის, რაც მან იხილა ტაძარში, განაცვიფრა ის! ტაძარი არ ჰგავდა ადგილს, სადაც თაყვანს სცემდნენ ღმერთს ან სწორად ემსახურებოდნენ მას. ტაძარი წააგავდა ბაზარს! ღმერთის თანდასწრება არც კი იხსენიებოდა. იესო ძალზე განრისხებული იყო.

მართალია, ადამიანებისათვის აუცილებელი იყო შეეძინათ ცხოველები, რომ მსხვერპლად შეეწირათ ისინი ღმერთისათვის. მაგრამ სინამდვილეში მოვაჭრენი ატყუებდნენ ხალხს, სთხოვდნენ რა მათ ძალიან დიდ საფასურს. ეს კიდევ ცოტაა, ისინი ცხოველებს პირდაპირ ტაძარში ჰყიდდნენ! რა გასაკვირია, რომ იესომ ყველანი ტაძრიდან გამოყარა. მარკოზის 11 : 17-ში დაწერილია, რომ მან თქვა: **„განა არ არის დაწერილი: ჩემი სახლი სამლოცველო სახლად იწოდება ყველა ხალხისათვის? თქვენ კი ავაზაკთა ბუნაგად აქციეთ.“**

იესომ ებრაელ ლიდერებს უთხრა, რომ მისი ძალაუფლება ტაძრის განწმენდისა დამტკიცებული იქნება, როცა ისინი დაანგრევენ ტაძარს, ხოლო ის, იესო, აღადგენს მას სამ დღეში! მსმენელნი გაოგნებულნი იყვნენ, იმიტომ რომ ვერ მიხვდნენ, რომ ის საკუთარ სხეულზე ლაპარაკობდა, იესომ იცოდა, რომ ებრაელი ლიდერები ჯვარს აცვამენ მას. მაგრამ, ამის გარდა, მან იცოდა, რომ სამი დღის შემდეგ მას მერე, რაც ჯვარს აცვამდნენ, ის აღდგება თავის სხეულში მკვდრეთით.

იესოს სხეული ღმერთის ტაძარი იყო

მრავალი წლით ადრე სოლომონმა ააშენა შესანიშნავი ტაძარი, „ღმერთის დიდებით აღსავსე“. მაგრამ, ვინაიდან ისრაელი ხალხი ემსახურებოდა ცრუ ღმერთებს, ღმერთის დიდებამ დატოვა ტაძარი და ის დანგრეულ იქნა. მოგვიანებით ტაძარი აღდგენილ იქნა მათ მიერ, ვისაც კვლავ ღმერთთან დაბრუნება სურდა. იმ დროს ღმერთმა თქვა: **„შევარყევ ყველა ხალხს, და აღსრულდება ყოველი ხალხის საწადელი: დიდებით ავავსებ ამ ხალხს, ამბობს ცაბაოთ უფალი“** (ანგია 2 : 7). და, აი, იესო მოვიდა, რომ გაწმინდოს ტაძარი! აქ, ტაძარში, მან განაცხადა, რომ მისი სხეული ღმერთის ტაძარია.

„ვინაიდან მასშია დამკვიდრებული სხეულებრივად ღვთაების მთელი სისავსე“ (კოლ. 2 : 9).

„ . . . **ღმერთი გამოჩნდა ხორცში** . . .“ (1 ტიმ. 3 : 16).

„აი, ქალწული დაორსულდება, გაუჩნდება ძე და დაარქმევენ მას სახელად ემანუელს, რაც თარგმნით ნიშნავს: ღმერთი ჩვენთანაა“ (მათ. 1 : 23).

„რაც ვერავინ შეიცნო წუთისოფლის მთავართაგან, ვინაიდან, რომ შეეცნოთ, ჯვარს არ აცვამდნენ დიდების უფალს“ (1 კორ. 2 : 8). გახსოვთ როგორ დაიწყო იესომ თავისი დიდების გამოვლენა მეოთხე ისტორიაში? (იოან. 2 : 11) ებრაელმა ლიდერებმა არ იცოდნენ, რომ დიდების უფალი იყო მათ შორის იესოს სახით და მას ჰქონდა მთელი ძალაუფლება, რომ გაეწმინდა თავისი ტაძარი!

სად მდებარეობს ღმერთის ტაძარი დღეს?





„ნუთუ არ იცით, რომ ღმერთის ტაძარი ხართ და ღმერთის სული ცოცხლობს თქვენში?“ (1 კორ. 3 : 16).

იესო ცხოვრობს ყოველ ადამიანში, რომელმაც სინამდვილეში მიიღო ის

თავის გულში სულიწმიდის მეშვეობით! *ჩვენი სხეულები მისი ტაძარია!* რა შიშის მომგვრელი აზრია! **„ანდა ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეულები ტაძარია თქვენში სულიწმიდისა, რომელიც ღმერთისაგან გაქვთ და რომ თქვენს თავს არ ეკუთვნით? ვინაიდან ფასით ხართ ნაყიდნი. ამიტომ ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით (და თქვენი სულებით, რომლებიც ღმერთისა არიან)"** (1 კორ. 6 : 19, 20).

რა მნიშვნელოვანია ჩვენთვის ვიცხოვროთ წმინდა ცხოვრებით! ჩვენ არასოდეს არ უნდა შევცოდოთ ჩვენი სხეულებით, იმიტომ, რომ თუ ჩვენ მივიღეთ ქრისტე ჩვენი სხეულებით, ე. ი. ჩვენ შევუერთდით მას და უნდა ვიყოთ მისი ერთგული. ღმერთს აქვს ძალაუფლება განწმინდოს თავისი ტაძარი. მას აქვს ძალაუფლება განწმინდოს ჩვენი ცხოვრების ის მხარეები, რომლებიც მისთვის მოსაწონი არაა. მოდით, ყოველთვის გადავცეთ თავები მის განწმენდას. ის გვწმედს ჩვენ თავისი სიტყვებით.

„რით შეინახოს ყმაწვილმა სიწმინდე თავისი გზისა? დაიცვას შენი სიტყვისამებრ" (ფს. 118 : 9).

„და თუ ვაღიარებთ ჩვენ ცოდვებს, მაშინ ის, ერთგული და მართალი, მოგვიტევებს ცოდვებს და გაგვწმენდს" (1 იოან. 1 : 9).

„ხოლო თუ სინათლეში დავდივართ, როგორც ის არის სინათლეში, მაშინ მოზიარეობა გვაქვს ერთმანეთთან და მისი ძის იესო ქრისტეს სისხლი გვწმენდს ყოველგვარი ცოდვისაგან" (1 იოან. 1 : 7).

ღმერთი არა მარტო თავის ტაძრად აქცევს ყოველ ცალკეულ ქრისტიანს, არამედ ყველა ქრისტიანს ერთად ეწოდება „ქრისტეს სხეული". **„ასევე ჩვენ მრავალნი ერთ სხეულს შევადგენთ ქრისტეში, ხოლო ყველა ჩვენგანი ასოები ვართ ერთიმეორისათვის"** (რომ. 12 : 5). **„და ის არის ეკლესიის სხეულის თავი"** (კოლ. 1 : 18).

„აღშენებულნი მოციქულთა და წინასწარმეტყველთა საძირკველზე, სადაც თვითონ ქრისტე იესო — ქვაკუთხედია, რომელზეც მთელი შენაწევრებული შენობა წამოიმართება უფალში წმინდა ტაძრად, რომელზეც შენდებით თქვენც, რათა იყოთ ღმერთის სამკვიდრებელი სულში" (ეფეს. 2 : 20–22). როგორი ძვირფასია ყოველი ადამიანი, რომელშიც ღმერთი ცხოვრობს! ჩვენ დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ იმაში, რომ ვეპყრობით სხვა ქრისტიანებს სინაზითა და სიყვარულით. როგორც ვეპყრობით ჩვენ ერთმანეთს, ასევე სინამდვილეში ჩვენ ვეპყრობით ქრისტეს.

მოდით მოციქულ პავლესთან ერთად ვთქვათ: **„როგორც ყოველთვის,**

ისე ახლაც განდიდდება ქრისტე ჩემს სხეულში — სიცოცხლით იქნება თუ სიკვდილით“ (ფილ. 1 : 20).

მოდით, დავრწმუნდეთ იმაში, რომ ჩვენი სხეულები წარმოადგენენ ლოცვის ადგილს, რომელშიც ჩვენ ყოველდღიურად ვესაუბრებით ღმერთს და ვიცით მისი თანდასწრების შესახებ. არასოდეს არ მისცეთ ნება თქვენს სხეულს, რომ იქცეს „ავაზაკთა ბუნაგად“, რომელშიც ცხოვრებისეული ზრუნვა და სიამოვნებანი ახშობენ ღმერთის დიდებას.

ისტორია 6. იესო უყვება მთავარს, როგორ იშვას ზეციდან

იოანე 3 : 1–8, 14–21, 36

1 ფარისევლებს შორის იყო ერთი კაცი, სახელად ნიკოდემოსი, იუდეველთა მთავარი. 2 იგი ღამით მოვიდა მასთან და უთხრა: რაბი, ჩვენ ვიცით, რომ შენ ხარ მოძღვარი, ღმერთისაგან მოსული, ვინაიდან არავის ძალუძს ისეთი სასწაულების მოხდენა, როგორსაც შენ ახდენ, თუ მასთან ღმერთი არ არის. 3 იესომ მიუგო მას პასუხად: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ. თუ ვინმე მაღლიდან არ იშობა, ვერ შეძლებს ღმერთის სასუფევლის ხილვას. 4 ნიკოდემოსი ეუბნება მას: როგორ შეუძლია კაცს იშვას, როცა ის მოხუცია? ნუთუ შეძლებს თავისი დედის მუცელში შევიდეს და იშვას? 5 იესომ უპასუხა: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: თუ ვინმე წყლისა და სულისაგან არ იშვება, ვერ შეძლებს ღმერთის სასუფეველში შესვლას. 6 ხორცისაგან შობილი ხორცია და სულისაგან შობილი სულია. 7 ნუ გაგიკვირდება, მე რომ გითხარი შენ: თქვენ მაღლიდან უნდა იშვათ. 8 ქარი ქრის, სადაც მოისურვებს; მისი ხმა გესმის, მაგრამ არ იცი, საიდან მოდის და სად მიდის. ასეა ყოველი, რომელიც სულისაგან არის შობილი!

14 და როგორც მოსემ აღამაღლა გველი უდაბნოში, ასევე უნდა ამაღლდეს ძე კაცისა. 15 რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე.

16 რამეთუ ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყნიერება, რომ მისცა თავისი

მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე. 17 რამეთუ არ წარმოგზავნა ღმერთმა თავისი ძე ქვეყნიერებაზე, რომ გაასამართლოს ქვეყნიერება; არამედ, რომ ქვეყნიერება გადარჩეს მის მიერ. 18 ვისაც ის სწამს არ გასამართლდება, ხოლო ვისაც არ სწამს, უკვე მსჯავრდადებულია, რადგან არ ირწმუნა ღმერთის მხოლოდშობილი ძის სახელი. 19 სასამართლო კი ის არის, რომ სინათლე მოვიდა ქვეყნიერებაზე და ადამიანებმა სინათლეზე მეტად შეიყვარეს სიბნელე, ვინაიდან ბოროტი იყო მათი საქმენი. 20 ვინაიდან ყველას, ვინც ბოროტებას სჩადის, სძულს სინათლე და არ მიდის სინათლესთან, რომ არ იქნეს მხილებული მისი საქმენი. 21 ხოლო ჭეშმარიტების მქმნელი სინათლისაკენ მიდის, რათა ცხადი გახდეს მისი საქმენი, ღმერთში რომ არიან ქმნილი.

36 ვისაც ძე სწამს, საუკუნო სიცოცხლე აქვს, ხოლო ურჩი ძისა ვერ იხილავს სიცოცხლეს, არამედ ღმერთის რისხვა დარჩება მასზე.

შეასრულეთ დავალება

შეავსეთ გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ტექსტის გამოყენებით.

1. ნიკოდემოსი იყო იუდეველთა ———————————— (მუხლი. 1). ის მოვიდა იესოსთან ———————————— (2)

(იესოს აინტერესებდა ყოველი ადამიანი – ღარიბი თუ მდიდარი, განათლებული თუ უწიგნური)

2. ნიკოდემოსს ეგონა, რომ იესო იყო ————————, რომელიც ღმერთისაგან მოვიდა (2).

3. იესომ უპასუხა მას, რომ იმისთვისაც კი, რომ იხილო სასუფეველი ცათა, ადამიანი უნდა ———————————— (3).

4. ადამიანს არ შეუძლია შევიდეს ცათა სასუფეველში, სანამ არ იშვება ———————— და ———————————— (5).

(ნიკოდემოსისათვის წყალი ნიშნავდა განწმენდას. მეორე ისტორიაში ჩვენ ვხედავთ, რომ იოანე ნათლავდა წყლით, როცა ადამიანები აღიარებდნენ თავის ცოდვებს და ზურგს აქცევდნენ მათ (ინანიებდნენ). იესო მოვიდა, რომ მონათლოს ადამიანი სულიწმიდით და მისცეს მათ ახალი სიცოცხლე. რომ შევიდეთ ცათა სასუფეველში, ჩვენ ნებაყოფლობით უნდა ვაქციოთ ზურგი ჩვენს ცოდვებს და ვიყოთ მზად მივიღოთ ჩვენს გულებში სულიწმიდა.

5. ხორცისაგან შობილი არის ———————————— (6).

(„ხორცი“ ნიშნავს არა მარტო ჩვენს ფიზიკურ სხეულებს, არამედ

ადამიანურ სურვილებს, რომლებიც მიმართულია საკუთარი თავის სიამოვნებისაკენ (რომ. 8 : 8, 9)

6. სულისაგან შობილი არის ———————————— 6).

(როცა ჩვენ ვიშვებით ჩვენი მიწიერი სხეულებით, როცა ჩვენ ვღებულობთ სულს ღმერთისაგან, ჩვენ გვაქვს ცოცხალი სული, რომელსაც ძალუძს იცოდეს ღმერთისაგან მონიჭებული (1 კორ. 2 : 12, 14).

7. ძე კაცისა (იესო) უნდა ყოფილიყო ამაღლებული (ჯვარცმული), როგორც ——————————, რომელიც ამაღლებულ იქნა უდაბნოში (14).

8. იესო მოვიდა იმისათვის, რომ ღმერთმა ———————————— ქვეყნიერება. ყოველი, ვისაც სწამს იესოსი არ ————————————, მაგრამ აქვს საუკუნო ———————————— (16).

9. ღმერთს არ გამოუგზავნია თავისი ძე ქვეყნიერებაზე, რომ ———————————— ქვეყნიერება (თუმცა ერთხელაც ის გაასამართლებს ქვეყნიერებას); მან წარმოაგზავნა თავისი ძე ——————————— ——————— ქვეყნიერება (17).

10. ადამიანი, რომელსაც სწამს იესო არ ———————————— ადამიანი გასამართლდება მხოლოდ მაშინ, თუ მას არ ——————— იესო (18).

11. სინათლე მოვიდა ქვეყნიერებაზე, მაგრამ ადამიანებმა უფრო მეტად შეიყვარეს ——————————— ვიდრე ————————————, იმიტომ, რომ მათი საქმეები ———————————— იყო. იესო ეძახის ამას „————————————“ (სასამართლო ნიშნავს სამუდამო დადანაშაულებას და ღმერთისაგან დაშორებას) (19).

12. ———————————— მქმნელი მიდის სინათლისაკენ (21)

(ის ადამიანი კი არ მიდის სინათლისაკენ, ვინც სიკეთეს აკეთებს. „**არ არის სიკეთის მქმნელი, არ არის არც ერთი**“ (რომ. 3 : 12). ადამიანი, რომელიც ჭეშმარიტებას იქმს, ეს ის ადამიანია, რომელიც გულწრფელად აღიარებს თავის ცოდვებს და ღებულობს ღმერთისაგან განწმენდას. „**თუ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს, მაშინ ის, ერთგული და მართალი, მოგვიტევებს ცოდვებს და გაგვწმენდს ყოველგვარი უმართლობისაგან.**“ (1 იოან. 1 : 9).

ბ. შემოხაზეთ შემდეგი მუხლები მე-6 ისტორიიდან (ან ამოიწერეთ ისინი ბარათებზე) და შეისწავლეთ ზეპირად.

იოანე 3 : 16 და იოანე 3 : 36

რას ნიშნავს ზეციდან შობა

იშვა ზეციდან ნიშნავს დაიბადო ხელახლა, დაიწყო ცხოვრება თავიდან, გქონდეს სხვა საწყისი. ბუნებრივი დაბადებისას ადამიანის ოჯახში ჩნდება ახალი წევრი. ხოლო სულიერი შობისას ახალი წევრი ჩნდება ღმერთის ოჯახში. სული მოქმედებს ჩვენში და ჩვენ ვხედავთ გარეგნულ ცვლილებებს. მაგალითად, ქურდი აღარ იპარავს. ეს ქარის ქროლვის მსგავსია. ჩვენ არ შეგვიძლია ვხედავდეთ ქარს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვხედავდეთ მისი მოქმედების რეზულტატს.

ადამიანი, რომლის სულიც არ არის შობილი ღმერთისაგან, — სულიერად „მკვდარია" (ეფეს. 2 : 1, 5). ცოდვებისაგან განწმენდა თავდაპირველად მოდის ქრისტეს სიკვდილთან და ჩვენი ძველი ცხოვრების წესის სიკვდილთან. შემდგომ სული აღგვადგენს ჩვენ ახალი სიცოცხლით — აღმდგარი ქრისტეს სიცოცხლით. ესეც და ისიც აუცილებელია, რომ შევიდეთ ღმერთის სასუფეველში. ახალი შობა ხდება, როცა სულიწმიდა თვით ქრისტეს სული) სინამდვილეში შემოდის ჩვენს სხეულებში და რჩება მათში. „**ხოლო ვისაც ქრისტეს სული არა აქვს, ის მისი არ არის**" (რომ. 8 : 9).

ჩვენ ვხდებით ქრისტესეული ბუნების თანამონაწილენი (2 პეტ. 1 : 4): ახალი დამოკიდებულება ცხოვრებასთან, ახალი ძალაუფლება ჩვენს ნებისყოფაზე, ახალი გონება წმინდა წერილების გასაგებად.

ჰგავხართ თქვენ ნიკოდემოსს? შესაძლებელია, თქვენ ყოველთვის იყავით რელიგიური ადამიანი, ან ადამიანი, რომელიც ყველა კანონს ემორჩილება. შესაძლოა, რომ თქვენ ლიდერიც ხართ. მაგრამ იყავით თქვენ ოდესმე შობილი ზეციდან სულიწმიდით, ისე რომ თქვენ ახლა ახალი ქმნილება ხართ? „**მაშასადამე, ის, ვინც ქრისტეშია, ის ახალი ქმნილებაა; ძველმა განვლო და ახლა ყოველივე ახალია**" (2 კორ. 5 : 17). თუ თქვენ არა ხართ შობილი ზეციდან, რატომ არ უნდა მიხვიდეთ იესოსთან ახლავე, როგორც ეს ნიკოდემოსმა გააკეთა? სთხოვეთ იესოს შემოვიდეს თქვენს ცხოვრებაში, რომ თქვენ გქონდეთ ახალი სიცოცხლე და რომ თქვენ ღმერთის ოჯახის ნაწილი გახდეთ. „**ვისაც ძე ჰყავს, აქვს სიცოცხლე; ვისაც ძე ღმერთისა არა ჰყავს, სიცოცხლე არა აქვს**" (1 იოან. 5 : 12).

მოსე უდაბნოში

დიდი ხნით ადრე, როცა ისრაელის შვილები, რომლებსაც მოსე ხელმძღვანელობდა, ცხოვრობდნენ უდაბნოში, ისინი წუწუნებდნენ და ლაპარაკობდნენ

ღმერთისა და მოსეს წინააღმდეგ. ისინი ჩიოდნენ იმ გზაზე, რომელიც ღმერთმა მისცა მას. მაშინ ღმერთმა შეასია მათ გველები, რომლებიც ჰკბენდნენ ადამიანებს. ბევრი მოკვდა, ხოლო ცოცხლად დარჩენილები მოვიდნენ მოსესთან და აღიარეს თავიანთი ცოდვები. ისინი სთხოვდნენ მოსეს ელოცა ღმერთის წინაშე, რომ მას მოეშორებინა გველები მათგან. ღმერთმა უპასუხა მათ ლოცვას, თუმცა არ მოუშორებია გველები, არამედ დაავალა მოსეს გაეკეთებინა სპილენძის გველი და აღემართა ის ძელზე. ნებისმიერი, რომელიც შეხედავდა სპილენძის გველს, მაშინაც კი თუ ის მომაკვდინებლად შხამიანი გველისაგან იყო დაკბენილი, ცოცხალი რჩებოდა. (ამ ისტორიის წაკითხვა შეიძლება რიცხვთა წიგნში 21 : 4–9).

ცოდვა მომაკვდინებლად შხამიანი გველის ნაკბენს ჰგავს. ჩვენც დავიხოცებით, თუ არ მივმართავთ იესოს, რომელიც მსხვერპლი გახდა ჩვენი გულისათვის (თუმცა თავად მას არასოდეს შეუცოდავს). ბევრი დაიღუპა უდაბნოში. მხოლოდ ვინც გველს შეხედა, ის განიკურნა. იესომ გააფრთხილა ნიკოდემოსი, რომ ისიც მოკვდებოდა, თუ არ მიმართავს იესოს, რომ მიიღოს ახალი სიცოცხლე.

როგორც ადამიანები, რომლებმაც შეხედეს „მკვდარ“ გველს და დარჩნენ ცოცხლები, ჩვენც უნდა შევხედოთ იმას, ვინც თავის თავზე აიღო ქვეყნიერების ცოდვა და იყო ჯვარცმული (იოან. 12 : 32, 33). შეხედეთ და იცოცხლეთ! ადამიანებს არ სჭირდებოდათ გაეგოთ „როგორ“ იკურნებოდნენ ისინი, როცა სპილენძის გველს უყურებდნენ. ყველაფერი, რაც მოეთხოვებოდათ იყო ის, რომ ყოფილიყვნენ მორჩილნი რწმენით. და ეს მათ შველოდა!

შეხედე და იცოცხლე, ძმაო ჩემო, იცოცხლე!
მიმართე იესოს ახლავე და იცხოვრე;
ასე ამბობს მისი სიტყვა, ალილუია!
ყველაფერი, რაც შენ უნდა გააკეთო – „შეხედე და იცოცხლე“.

სინათლესთან მისვლისას

როცა ჩვენ მივდივართ ქრისტესთან, ჩვენი ცოდვა ცხადი ხდება, იმიტომ რომ იესო არის ჭეშმარიტი სინათლე (იოან. 1 : 5-9). სიბნელე ფარავს ჭეშმარიტებას, მაგრამ სინათლე უჩვენებს ყველაფერს ისე, როგორც არის სინამდვილეში.

ის, ვინც გადაწყვეტს არ მივიდეს ღმერთის სინათლესთან, ირჩევს თავისთვის საკუთარი ცოდვების შენარჩუნებას და არ აძლევს ღმერთს საშუალებას შესცვალოს ის. ცოდვილი უკვე ადგას გზას. მას ესაჭიროება ქრისტე, რომ თავი დაალწიოს ჯოჯოხეთს. ისინი, ვისაც არ ჰყავთ იესო, დღეს უფლის რისხვის ქვეშ იმყოფებიან (მუხლი 36), ხოლო მათთვის, ვინც მიიღო ქრისტე იწყება ისეთივე ცხოვრება, რომელიც მას ექნება ზეცაში — მარადიული სიცოცხლე ღმერთისა. „**და აი, ამბავი, რომელიც მოვისმინე მისგან და გაუწყებთ თქვენ: ღმერთი არის სინათლე და არ არის მასში არავითარი სიბნელე. თუ ვამბობთ, რომ მოზიარეობა გვაქვს მასთან, ხოლო ბნელში დავდივართ, მაშინ ვტყუით და არ ვიქცევით ჭეშმარიტების მიხედვით. ხოლო თუ სინათლეში დავდივართ, როგორც ის არის სინათლეში, მაშინ მოზიარეობა გვაქვს ერთმანეთთან და მისი ძის, იესო ქრისტეს, სისხლი გვწმენდს ყოველგვარი ცოდვისაგან**“ (1 იოან. 1 : 5—7).

როცა ადამიანს სურს წმინდა იყოს, ის მზად არის გაამხილოს თავისი ცოდვები და მიიღოს პატიება. ამგვარად, ქრისტესთან მოსვლა გვევლინება სიკვდილ—სიცოცხლის საკითხად. თქვენი ბედისწერა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ექცევით თქვენ ქრისტეს. თქვენი დანიშვნა დამოკიდებულია იმაზე, როგორ ექცევით თქვენ სინათლეს. მიხვალთ კი თქვენ სინათლესთან თუ დაემალებით მას?



ისტორია 7. იესო გვთავაზობს ცოცხალ წყალს

იოანე 4 : 5–42

5 ამრიგად მოვიდა სამარიტელთა
ქალაქში, სიქარი რომ ეწოდება, იმ
მიწის ნაკვეთის მახლობლად, რომელ-
იც იაკობმა გადასცა თავის ძეს იოსე-
ბს. 6 იქ იყო იაკობის წყარო. იესო,
გზით მოქანცული, წყაროსთან დაჯ-
და, დაახლოებით მეექვსე საათი იყო.
7 სამარიიდან მოვიდა დედაკაცი
წყლის ამოსაღებად. იესო ეუბნება
მას: შემასვი წყალი. 8 რადგან მისი
მოწაფენი ქალაქში წავიდნენ, რომ
საჭმელი ეყიდათ. 9 სამარიტელი
დედაკაცი ეუბნება მას: როგორ, შენ,
იუდეველი, ჩემგან, სამარიტელი დე-
დაკაცისაგან ითხოვ სმას? რადგან
იუდეველებს არა აქვთ ურთიერთობა
სამარიტელებთან. 10 იესომ პასუხ-
ად მიუგო: შენ რომ იცოდე ღვთიუ-
რი ნიჭი და ის, თუ ვინ გეუბნება
შემასვი წყალიო, მაშინ შენ თვითონ
სთხოვდი მას და იგი მოგცემდა
ცოცხალ წყალს. 11 დედაკაცმა
უთხრა მას: ბატონო, არც ასავსები
ჭურჭელი გაქვს და ეს ჭაც ღრმაა.
საიდან გაქვს ცოცხალი წყალი? 12
ნუთუ შენ მეტი ხარ ჩვენ მამა ია-
კობზე, რომელმაც ეს ჭა გვიბოძა, და
თვითონაც აქედან სვამდა, მისი ძენ-
იც და მისი საქონელიც? 13 იესომ
უთხრა მას პასუხად: ყველას, ამ
წყლის მსმელს კვლავ მოსწყურ-
დება. ხოლო ვინც დალევს წყლიდ-
ან, რომელსაც მე მივცემ მას, საუკუნ-
ოდ არ მოსწყურდება, არამედ წყალი,
რომელსაც მე მივცემ მას, მასში
გადაიქცევა წყლის წყაროდ, რომელიც
საუკუნო სიცოცხლედ იდინებს.

15 დედაკაცმა უთხრა: ბატონო,
მომეცი ის წყალი, რომ აღარ მომწ-
ყურდეს და აღარც წყლის ამოსაღე-
ბად მოვიდე აქ. 16 იესო ეუბნება მას:
წადი, მოუხმე შენს ქმარს და მოდი
აქ. 17 დედაკაცმა უთხრა პასუხად:
მე არ მყავს ქმარი. იესომ უთხრა:
მართალი სთქვი: მე არ მყავს ქმარი.
18 რადგან ხუთი ქმარი გყავდა და
ის, ვინც ახლა გყავს, არაა შენი
ქმარი, ეს ჭეშმარიტად თქვი. 19
დედაკაცმა უთხრა: ბატონო, ვხედავ
რომ წინასწარმეტყველი ხარ. 20
ჩვენი მამები იმ მთაზე სცემდნენ
თაყვანს, თქვენ კი ამბობთ, რომ
იერუსალიმშია ადგილი, სადაც უნდა
სცემდნენ თაყვანს. 21 იესომ უთხრა:
დედაკაცო, გჯეროდეს ჩემი, დგება
ჟამი, როცა არც ამ მთაზე, არც იე-
რუსალიმში თაყვანს აღარ სცემთ

მამას. 22 თქვენ არ იცით, რას სცემთ
თაყვანს; ჩვენ კი ვიცით რას ვცემთ
თაყვანს, რადგან ხსნა იუდეველების-
განაა, 23 მაგრამ დგება ჟამი და
ახლა არის, როდესაც ჭეშმარიტი
თაყვანისმცემლები თაყვანს სცემენ
მამას სულით და ჭეშმარიტებით,
რადგან მამაც ასეთ თაყვანისმცემ-
ლებს ეძებს თავისთვის. 24 ღმერთი
არის სული, და მისი თაყვანისმ-
ცემელნი, თაყვანს უნდა სცემდნენ
სულით და ჭეშმარიტებით. 25
დედაკაცმა უთხრა: ვიცი, რომ მოდ-
ის მესია, რომელსაც ეწოდება ქრის-
ტე, ის რომ მოვა, ყველაფერს გაგვი-
ცხადებს. 26 უთხრა მას იესომ: ეს
მე ვარ, რომელიც გელაპარაკება შენ.
27 ამ დროს მოვიდნენ მისი მოწა-
ფეები და გაუკვირდათ, რომ იგი
დედაკაცთან საუბრობდა, მაგრამ არც
ერთს არ უთქვამს, რას ეძიებო ან
რაზე საუბრობ მასთანო. 28 მაშინ
დედაკაცმა დატოვა თავისი სარწყ-
ული, წავიდა ქალაქში და უთხრა
ადამიანებს: 29 წადით, ნახეთ ადამი-
ანი, რომელმაც ყველაფერი მითხრა,
რაც მიქნია. იგი ხომ არაა ქრისტე?
30 ისინი გამოვიდნენ ქალაქიდან და
წავიდნენ მასთან.

31 ამასობაში მოწაფეებმა სთხ-
ოვეს მას და უთხრეს: რაბი, ჭამე! 32
ხოლო მან უთხრა მათ: მე საჭმელი
მაქვს, რომელიც თქვენ არ იცით. 33
ამიტომ მოწაფეებმა ერთმანეთს
გადაულაპარაკეს: ნუთუ მას საჭმელი
მოუტანა ვინმემ? 34 იესო ეუბნება
მათ: ჩემი საჭმელია ვქნა ჩემი წა-
რმომგზავნელის ნება და დავასრუ-
ლო მისი საქმე. 35 განა თქვენ არ
ამბობთ, რომ კიდევ ოთხი თვე, და
დადგება მკა? აი, მე გეუბნებით თქვენ:
გაახილეთ თვალები და შეხედეთ
ყანებს, როგორ გადათეთრებულან სამ-
კალად. 36 მომკელი ღებულობს თავ-
ის საზღაურს და მოაგროვებს ნაყ-
ოფს საუკუნო სიცოცხლისათვის, ისე,
რომ მთესველი და მომკელი ერთად
გაიხარებენ. 37 რადგან ამაშია სიტ-
ყვა ჭეშმარიტი: ერთი თესავს და
სხვა მკის. 38 მე თქვენ გაგგზავნეთ
იმის მოსამკელად, რაზედაც არ
გიშრომიათ. სხვებმა იშრომეს, თქვენ
კი მათ შრომაში შეხვედით. 39 ბევ-
რმა, იმ ქალაქში მცხოვრებმა,
სამარიტელმა ირწმუნა იგი იმ
დედაკაცის სიტყვით, რომელიც ამოწ-
მებდა: ყველაფერი მითხრა, რაც მიქ-
ნია. 40 და ამიტომ, როდესაც მოვ-
იდნენ მასთან სამარიტელები, სთხ-
ოვეს მას, მათთან დარჩენილიყო, და

იგი ორ დღეს დარჩა იქ. 41 და კიდევ მრავალმა ირწმუნა მისი სიტყვის გამო. 42 და უთხრეს იმ დედაკაცს: უკვე გვწამს არა შენი ნათქვამის გამო, არამედ თვითონვე მოვისმინეთ და ვიცით, რომ ჭეშმარიტად იგია ქვეყნიერების მხსნელი.

შეასრულეთ დავალება

ა) უპასუხეთ კითხვებს ტექსტის მიხედვით.

1. იესოს რომელი გრძნობა გვიჩვენებს ჩვენ, რომ ის იყო ნამდვილი ადამიანი? (მუხლი 6) _____

2. რა უთხრა იესომ სამარიტელ დედაკაცს? (7) _____

3. რატომ იყო სამარიტელი დედაკაცი გაოგნებული, რომ იესომ მას მიმართა? (9) _____

4. რას მისცემდა იესო ამ ქალს, მას რომ სცოდნოდა რა ეთხოვა მისთვის? (10)

_____

5. რაში მდგომარეობდა განსხვავება ჭის წყლის სმასა და იმ წყლის სმას შორის, რომელსაც მისცემდა იესო? (13, 14) _____

_____

6. რა იცოდა იესომ ამ დედაკაცზე? (18) _____

_____

7. როცა იესომ მიუთითა დედაკაცს მის ცოდვაზე, რაზე გააბა მან საუბარი? (20). მან დაიწყო ლაპარაკი ადგილზე, სადაც ხალხს უნდა

_____

(სამარიტელები თაყვანს სცემდნენ ღმერთებს თავიანთ ტაძარში მთა გერაზიმზე. მათ სჯეროდათ ძველი აღთქმის მხოლოდ ხუთი წიგნისა. მოგწონთ თუ არა თქვენ განსაჯოთ „რელიგია“, იმის მაგივრად, რომ დაამყაროთ სწორი ურთიერთობები ღმერთთან?)

8. როგორ სცემენ თაყვანს მამას ჭეშმარიტი თაყვანისმცემლები? (23)

_____

(იმისათვის, რომ ჭეშმარიტად სცე თაყვანი ღმერთს, ჩვენ უნდა ვიშვათ სულისაგან).

9. როცა ქალი მიხვდა, ვინ არის სინამდვილეში იესო, რა გააკეთა მან? (28, 29) _____

10. რა ანაყრებდა იესოს საჭმლის მსგავსად? (34) _____

_____

11. რას ფიქრობდნენ სამარიტელები იმის შესახებ, თუ ვინ იყო იესო? (42) _____

1ბ) შეისწავლეთ ზეპირად მუხლი იოანე 4 : 24.

როგორ იზრდება რწმენა

დამეთანხმებით, რომ საინტერესოა ყურადღება ადევნო იმას, როგორ სულ უფრო კარგად და კარგად ცნობდა სამარიტელი ქალი იესოს და სულ უფრო მეტად სჯეროდა მისი იმისდა მიხედვით, როგორ ელაპარაკებოდა უფალი მას? **იხილეთ მუხლი 9.** თავდაპირველად ის ხედავს მასში ებრაელს, რომელიც კეთილად ესაუბრება მას. **იხილეთ მუხლი 11.** მისი პატივისცემა იესოსადმი იზრდება და ის უწოდებს მას: „ბატონო". **იხილეთ მუხლი 19.** იესომ იცის მასზე იმდენად ბევრი, რომ ახლა ის ფიქრობს, ვითომ ის წინასწარმეტყველია. **იხილეთ მუხლი 29.** მას სჯერა ის, რომ იესო არის ქრისტე, შეპირებული მესია.

რაც უფრო მეტ საშუალებას ვაძლევთ იესოს გველაპარაკოს ჩვენ ბიბლიიდან, მით უფრო იზრდება ჩვენი რწმენა მისდამი! **„ამრიგად, რწმენა მოსმენისაგან, ხოლო მოსმენა – ქრისტეს სიტყვისაგან"** (რომ. 10 : 17).

რა არის ცოცხალი წყალი?

სამარიტელი ქალი ფიქრობდა, რომ იქნებოდა სასწაული, მას რომ არ დასჭირვებოდა სათლის ჩაშვება იაკობის ჭაში, წყალში, რომელიც იმყოფებოდა 27 მეტრის სიღრმეზე. მაგრამ იესო ლაპარაკობდა არა ფიზიკურ წყალზე. იესო ამბობდა, რომ შეუძლია დააკმაყოფილოს მისი სულიერი სიცარიელის წყურვილი ცოდვილი სიამოვნებებისაკენ. *ცოცხალი წყალი,* რომელზეც ის ლაპარაკობდა – ეს საუკუნო სიცოცხლის ნიჭია – მისი საკუთარი სიცოცხლე. მჩქეფარე წყარო – ეს *აღმავსებელი* სიხარული და მშვიდობაა, როდესაც ჩვენ ვფლობთ, როცა ვივსებით სულიწმიდით!

ქალს ესაჭიროებოდა წყალი, თუმცაღა თავდაპირველად იესოსათვის აუცილებელი იყო შეხებოდა მის ცნობიერებას. მას უნდა ელიარებინა თავისი ცოდვა და მზად უნდა ყოფილიყო უარი ეთქვა მისთვის მანამ, სანამ მიიღებდა იესოსგან ცოცხალ წყალს.

როგორ გვასწავლის ეს ისტორია ღმერთისათვის შრომას

1. ყოველი ადამიანისთვის გადასარჩენად საჭიროა კეთილი უწყების მოსმენა და რწმენა ქრისტესი. ჩვენ არავის არ უნდა ვექცეოდეთ ცუდად ან მიუღებელი სახით, როგორც განდგომილს. იესო ასე არ იქცეოდა.

2. ქვეყნიერების სულიერი „ველები“ მომწიფდნენ და მზად არიან მოსავლის აღებისათვის. ჩვენ უნდა ვეძებოთ და დავინახოთ, რაოდენ ბევრი ადამიანი ჩვენს გარშემო განიცდის შიმშილს ჭეშმარიტებისას და მზად არიან მიიღონ ის.

3. ვიღაცას შეუძლია თესოს (ელაპარაკოს სხვებს იესოზე, დაარიგოს ლიტერატურა, ასწავლოს ღმერთის სიტყვა). სხვას შეუძლია მოიმკას მოსავალი (ღრმად გააცნოს ადამიანს ქრისტე). ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ერთისათვისაც და მეორისათვისაც. ისიც, ვინც თესავს და ისიც, ვინც იმკის, შეუძლია იქონიონ სიხარული.

4. ღმერთის ნების აღსრულება და თქვენი ყოველდღიური საქმიანობის დასრულება მოგიტანენ თქვენ უფრო მეტ სიამოვნებას, ვიდრე სხვები.

5. თუმცა მეგობრებისათვის იესოზე *მოყოლა* ძალზე მნიშვნელოვანია, ჩვენ ამის გარდა უნდა *მოვიყვანოთ ისინი მასთან, რომ მათ გაიცნონ ის თავად.*

ისტორია 8. იესო კურნავს აზნაურის ძეს

იოანე 4 : 46–53

46 ასე რომ, იესო კვლავ მოვიდა
გალილეას კანაში, სადაც წყალი ღვ-
ინოდ აქცია. და იყო ერთი აზნაური,
რომელსაც ძე ჰყავდა ავად კაპერ-
ნაუმში. 47 როგორც კი გაიგო, იესო
მოსულა იუდეიდან გალილეაში, მოვ-
იდა მასთან და შეევედრა, წაჰყოლო-
და განეკურნა მისი ძე, რადგან მომ-
აკვდავი იყო. 48 იესომ უთხრა მას:
არ ირწმუნებთ, თუ ნიშნებსა და
სასწაულებს არ იხილავთ. 49
აზნაურმა უთხრა: უფალო, წამოდი,
სანამ ჩემი შვილი არ მომკვდარა.
50 იესომ უთხრა: წადი, შენი ძე
ცოცხალია. იმ კაცმა ირწმუნა იესოს
ნათქვამი სიტყვა და წავიდა. 51
როდესაც ჩამოდიოდა, მისი მსახუ-
რები შეხვდნენ მას და უთხრეს, რომ
მისი ბიჭი ცოცხალი იყო. 52 მან
ჰკითხა: თუ რომელ საათზე გაუარა
სიცხემ. 53 ამით მისმა მამამ გაიგო,
რომ ამ საათს იყო, როცა იესომ
უთხრა: შენი ძე ცოცხალია. და
ირწმუნა მან და მთელმა მისმა სახ-
ლეულობამ.

ღმერთის სიტყვის ძალაუფლება

როცა ღმერთი რაიმეზე ლაპარაკობს, ეს ხდება! ღმერთი, რომელმაც შექმნა მსოფლიო, ზეცა და ყველაფერი ცოცხალი თავისი სიტყვით, ეუბნება ახლა აზნაურს: „წადი, შენი ვაჟი ჯანმრთელადაა“. ასეც აღმოჩნდა.

იესომ თქვა, ყველაფერი, რასაც ბიბლია ჰპირდება, აღსრულდება (მათ. 5 : 18). გწამთ თქვენ ღმერთის სიტყვისა? იქცევით კი თქვენ თქვენი რწმენის შესაბამისად, ისე როგორც მოიქცა ეს აზნაური?

ჩვენი სიტყვებიც შეიცავენ ძალაუფლებას, *თუ ჩვენს გულებში ცხოვ-
რობს ქრისტე.* მარკოზის 11 : 22, 23-ში იესომ უთხრა თავის მოწაფეებს: **„გქონდეთ ღმერთის რწმენა. ჭეშმარიტად გეტყვით, რომ თუ ვინმე ეტყვის ამ მთას: აიწიე და ზღვაში ჩავარდიო, – და თავის გულში არ**

შეეჭვდება, არამედ ირწმუნებს, რომ მისი სიტყვებისამებრ მოხდება, ექნება მას." თუ სიტყვები, რომლებსაც ჩვენ წარმოვთქვამთ, განმტკიცებულნი არიან ღმერთისადმი რწმენით, ისინი ფლობენ ძლევამოსილებას. როგორ სიტყვებს ლაპარაკობთ თქვენ? ამბობთ კი თქვენ გამამხნევებელ, სანუგეშო, რწმენის და სიყვარულის სიტყვებს?

რას გვეუბნება ჩვენ ეს ისტორია ლოცვაზე?

გვპასუხობს იესო ჩვენს თხოვნებზე დღეს? ებრაელთა 13 : 8-ში ლაპარაკია იმაზე, რომ იესო ქრისტე „**გუშინ და დღეს და უკუნითი უკუნისამდე იგივეა**". ჩვენ ვიცით, რომ უნდა მივიდეთ მასთან ჩვენი თხოვნებით. ის ამბობს, რომ **ჩემთან მოსულს არ გავაძევებ გარეთ**" (იოან. 6 : 37). ის ამბობს: **ითხოვეთ და მოგეცემათ; ეძებეთ და იპოვით; დააკაკუნეთ და გაგელებათ თქვენ**" (მათ. 7 : 7).

ამის გარდა, ჩვენ უნდა მივიდეთ მასთან რწმენით, რომ ის გვიპასუხებს ჩვენ: „**ხოლო რწმენის გარეშე შეუძლებელია ღმერთისად სათნო ყოფა, ვინაიდან ვინც ღმერთთან მიდის, უნდა სწამდეს რომ იგი არის და მის მაძიებელს უზღავს**" (ებრ. 11 : 6).

ჩვენ კმაყოფილნი უნდა ვიყოთ პასუხით, რომელსაც ჩვენ იესო გვაძლევს. აზნაური სთხოვდა იესოს მასთან სახლში მისულიყო, მაგრამ იესომ ეს არ გააკეთა. ამის მაგივრად მან თქვა: „წადი, შენი ვაჟი ცოცხალია". მან შეიძლება თქვენს თხოვნას რამდენადმე განსხვავებული საშუალებით უპასუხოს, ვიდრე თქვენ მოელით, მაგრამ ის ყოველთვის გააკეთებს ისე, როგორც უკეთესი იქნება თქვენთვის და ეს ყოველთვის იქნება მისი სიტყვის შესაბამისი.

რწმენას ყოველთვის არ მოაქვს *თავისუფლება* (შეისწავლეთ ებრ. 11 : 35–39), თუმცა ყოველთვის უჩვენებს *გზას* და მოაქვს მშვიდობა. „**არაფერზე არ იზრუნოთ, მხოლოდ ლოცვასა და ვედრებაში მადლიერებით აუწყეთ თქვენი სურვილი ღმერთს, და ღმერთის მშვიდობა, რომელიც ყოველგვარ გონებას აღემატება, დაიცავს თქვენს გულებს და თქვენს ფიქრებს ქრისტე იესოში**" (ფილ. 4 : 6, 7).

თუ თქვენ გწამთ ღმერთი, ღმერთი წარმატებულად მოქმედებს და თქვენი რწმენა მტკიცდება. *თქვენი ოჯახის* რწმენაც დაიწყებს განმტკიცებას, სწორედ ისე, როგორც მტკიცდებოდა აზნაურის *მთელი სახლეულობის* რწმენა.

ისტორია 9. იესო კურნავს დავრდომილს



იოანე 5 : 1–9, 14–18

1 ამის შემდეგ იუდეველთა დღესა-
სწაული იყო და იესო იერუსალიმს
ავიდა. 2 იერუსალიმში ცხვრის
ჭიშკართან არის აუზი, რომელსაც
ებრაულად ბეთ-ხასდა ჰქვია, და ხუთი
დერეფანი აქვს. 3 მათში იწვა ძალ-
იან ბევრი ავადმყოფი, ბრმა, ხეიბარი
და ჩამომხმარი, რომლებიც წყლის
შერხევას ელოდნენ. 4 რადგან ან-
გელოზი უფლისა ჩამოდიოდა დრო
და დრო აუზში და აღელვებდა
წყალს. ხოლო მას შემდეგ, რაც
წყალი აღელდებოდა, ვინც პირველი
ჩავიდოდა, განიკურნებოდა, რა
სნეულებითაც არ უნდა ყოფილიყო
შეპყრობილი. 5 აქ იყო კაცი,
ოცდათვრამეტი წლის ტანჯული
თავისი ავადმყოფობით. 6 იესომ
იხილა რა მწოლიარე და შეიტყო,
რომ უკვე დიდი ხანია დავრდომი-
ლია, უთხრა: გსურს განიკურნო? 7
ავადმყოფმა უპასუხა: ბატონო, კაცი
არა მყავს, რომელიც წყლის შერხე-
ვისას ჩამიშვებს აუზში. სანამ მე
მოვალ, ჩემზე წინ სხვა ჩადის. 8
იესომ უთხრა: ადექი, აიღე შენი სარე-
ცელი და იარე. 9 იგი მაშინვე გაჯან-
საღდა. აიღო თავისი სარეცელი და
გაიარა. იმ დღეს შაბათი იყო.

14 ამის შემდეგ იესო ტაძარში
შეხვდა მას და უთხრა: აი, შენ
გაჯანსაღდი, ნულარ შესცოდავ, რათა
რაიმე უარესი არ დაგემართოს. 15
ის კაცი წავიდა და იუდეველებს
უთხრა, რომ იესოა მისი განმკურნა-
ვი. 16 იუდეველებმა დევნა დაუწყეს
იესოს იმის გამო, რომ შაბათს ასეთი
რამ გააკეთა. 17 მან კი მიუგო მათ:
მამაჩემი აქამდე აკეთებს და მეც
ვაკეთებ. 18 ამიტომ იუდეველებმა
უფრო მეტად დაიწყეს ძებნა მის
მოსაკლავად იმის გამო, რომ არა
მარტო დაარღვია შაბათი, არამედ
ღმერთს საკუთარ მამას უწოდებდა
და თავის თავს ღმერთს უტოლებ-
და.

შეასრულე დავალება

შეავსეთ გამოტოვებული ადგილები წინადადებაში

1. ავადმყოფი იმყოფებოდა ბედ-ხაზდას აუზთან. ის ავადმყოფობდა და დავრდომილი იყო ———————————— წლის განმავლობაში (მუხლი 5)

2. იესომ მისცა ძალზე მნიშვნელოვანი შეკითხვა: „გინდა ———————————————“? (6).

3. იესომ უბრძანა გაეკეთებინა ის, რაც შეუძლებლად სჩანდა. მან უთხრა: „————————— ,

აიღე შენი სარეცელი და ————————————“ (8).

4. მოგვიანებით, როცა იესომ დაინახა ის ტაძარში, მან უთხრა: „აი, შენ გაჯანსაღდი; ——————————————————— რათა რაიმე უარესი არ დაგემართოს“ (14).

5. იუდეველები ეძებდნენ რომ მოეკლათ იესო ორი უმთავრესი მიზეზის გამო: (ა) იმისათვის, რომ ის არღვევდა ———————————— (18) (განკურნა ადამიანი კვირის იმ დღეს, როცა ებრაელებისათვის არ შეიძლება არანაირი სამუშაოს შესრულება), (ბ) და იმისათვის, რომ ის მამას უწოდებდა ღმერთს, ხდიდა რა თავის თავს ——————— (18).

საჭიროებთ კი თქვენ განკურნებას?

შესაძლოა, თქვენ საჭიროებთ გაჯანსაღებას და თქვენი სხეულის, გონების და გრძნობის განმტკიცებას. შესაძლოა, თქვენ გაქვთ მავნე ჩვევა, რომელიც არ გაძლევთ საშუალებას ემსახუროთ ღმერთს ისე, როგორც თქვენ გსურთ. შესაძლოა, წყენა და გაბოროტება გღრღნიან თქვენ შინაგანში.

იესო ხედავს თქვენს საჭიროებას და გეუბნებათ: **„გინდა იყო ჯანმრთელი?“** თქვენ, შესაძლოა, თქვენი დაავადების გამართლებაც გაქვთ. შეიძლება თქვენ ერთადერთი ქრისტიანი ხართ ოჯახში ან სკოლაში. შეიძლება თქვენ თვლით, რომ ყველა გარემოება თქვენს ცხოვრებაში სწორედ თქვენს წინააღმდეგაა მიმართული. თუმცაღა ეს არ არის პრობლემა იესოსათვის. მას შეუძლია განგკურნოთ თქვენ *დაუყოვნებლივ*! მაგრამ, მან შეიძლება გიბრძანოთ თქვენ იმის გაკეთება, რაც შეუძლებლად მოგეჩვენებათ, ისევე, როგორც მან უბრძანა ადამიანს, რომელსაც სიარული არ შეეძლო, ადგომა და სარეცელის წაღებაც კი! რაც არ უნდა იყოს, როცა თქვენ იწყებთ ღმერთის სიტყვებისადმი მორჩილებას, იესო გაძლევთ თქვენ აუცილებელ ძალებს და გკურნავთ თქვენ! ხოლო ამის შემდეგ მას შეუძლია მიგიყვანოთ გამარჯვებულ ცხოვრებამდე.

ისტორია 10. ორი აღდგომა

იოანე 5 : 24–29

24 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად
გეუბნებით თქვენ: ვინც ჩემს სიტყვებს
ისმენს და ჩემი წარმომგზავნელი სწამს,
მას აქვს საუკუნო სიცოცხლე და
სასამართლოზე არ მიდის, მაგრამ
სიკვდილიდან სიცოცხლეში გადავ-
იდა. 25 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად
გეუბნებით თქვენ: მოდის ჟამი და ახლა
არის, როცა მკვდრები მოისმენენ ღმერთ-
ის ძის ხმას და მსმენელნი გაცოცხ-
ლდებიან. 26 რადგან, როგორც მამას
აქვს სიცოცხლე თავისში, ასევე ძეს
მისცა, ჰქონდეს სიცოცხლე თავისში.
27 სამართლის წარმოებაშიც
უფლებამოსილება მისცა მას, რადგან
ძე კაცისაა იგი. 28 ნუ გაიკვირვებთ
ამას, რადგან მოდის ჟამი, როდესაც
ყველანი, ვინც სამარხებში არიან, მის
ხმას მოისმენენ. 29 და კეთილის მოქმ-
ედნი სიცოცხლის აღდგომისათვის
გამოვლენ, სავის მქმნელნი კი — სამ-
სჯავროს აღდგომისათვის.

რაზე გმართებთ დაფიქრება

დამეთანხმებით, ალბათ, რომ დიდებულია, როცა ჩვენ გვესმის იესოს კაკუნი ჩვენი გულის კარებზე და ვენდობით მას. საშუალებას ვაძლევთ რა შემოვიდეს ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენ გვიჩნდება დარწმუნება, რომ გვაქვს საუკუნო სიცოცხლე! ახლა ჩვენ ვიცით, რომ არასოდეს ვიქნებით მსჯავრდადებულნი. ჩვენ ვიცით, რომ უკვე სიკვდილიდან სიცოცხლეში გადავედით. საინტერესოა, როგორ არის ეს შესაძლებელი? ეს შესაძლებელია იმიტომ, რომ იესოს აქვს *სიცოცხლე თავის თავში* (მუხლი 26). *ისინი, ვინც ქრისტეს გარეშე არიან, ვერ აამებენ ღმერთს* (რომ. 8 : 8). ამიტომაც, როცა ისინი აღდგებიან მკვდრეთით, მათ მოელის მხოლოდ გასამართლება და სამუდამო განშორება ღმერთისაგან.

შეასურელეთ დავალება

შეისწავლეთ ზეპირად იოანეს 5 : 24, როგორც იმის გარანტია, რომ ეს შეგახსენებთ გადარჩენის ჭეშმარიტ მნიშვნელობას. სანამ თქვენ გესმით უფლის სიტყვა და გწამთ მისი (თქვენი მორჩილება მისდამი ლაპარაკობს იმაზე, რომ თქვენ მისი გწამთ), სატანა ვერ შეძლებს დათესოს ეჭვი თქვენს გონებაში. ღმერთს სურს, რომ თქვენ იცოდეთ, რომ თქვენ ეკუთვნით მას. თუ რაიმე ჩადგება თქვენსა და ღმერთს შორის, ღმერთი გარკვევით მიგითითებთ თქვენ ამაზე, რომ თქვენ შეძლოთ აღიაროთ და უარყოთ ის. ღმერთი აღადგენს. სატანა ადანაშაულებს.

ისტორია 11. იესო – პური სიცოცხლისა
იოანე 6 : 5–14, 35, 47–51, 53–56, 63

5 იესომ გაიხედა და დაინახა,
რომ უამრავი ხალხი მოდიოდა მას-
თან. ფილიპეს უთხრა: სად ვიყი-
დოთ პურები, მათ რომ ჭამონ? 6
ამას გამოსაცდელად ეუბნებოდა, თვ-
ითონ კი იცოდა, რას გააკეთებდა. 7
ფილიპემ უპასუხა: ორასი დინარის
პური არ ეყოფათ, რომ თითოეულ
მათგანს ცოტაოდენი მაინც შეხვდეს.
8 მისმა ერთ-ერთმა მოწაფემ, ანდრი-
ამ, სიმონ-პეტრეს ძმამ, უთხრა მას: 9
აქ არის ერთი ბიჭი, რომელსაც ხუთი
ქერის პური და ორი თევზი აქვს,
მაგრამ რა არის ეს ამდენისათვის?
10 იესომ უთხრა: უთხარით ხალხს
დასხდნენ. ხოლო იმ ადგილზე დიდ-
ძალი ხალხი იყო. რიცხვით დაახ-
ლოებით ხუთი ათასი კაცი დაჯდა.
11 იესომ აიღო პურები და მადლის
შემწირველმა ჩამოურიგა მოწაფეებს,
მოწაფეებმა კი იქ მსხდომებს, ასევე
თევზიც, ვისაც რამდენი უნდოდა. 12
როცა გაძღნენ თავის მოწაფეებს
უთხრა: მოაგროვეთ მონარჩენი
ნატეხები, რომ არაფერი არ დაიკარ-
გოს. 13 მოაგროვეს და აავსეს
თორმეტი გოდორი იმ ხუთი ქერის
პურის ნატეხებით, რომლებიც ჭამის
შემდეგ დარჩა. 14 მაშინ იესოს მიერ
მოხდენილი სასწაულის მხილველ-
მა ხალხმა თქვა: ესაა ჭეშმარიტად
წინასწარმეტყველი, რომელიც ქვეყ-
ნიერებაზე უნდა მოსულიყო.

35 იესომ უთხრა მათ: მე ვარ
პური სიცოცხლისა. ჩემთან მომსვლე-
ლს არ მოშივდება და ჩემს მორწ-
მუნეს არასოდეს არ მოსწყურდება.

47 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად
გეუბნებით თქვენ: ვისაც ჩემი სწამს,
მას საუკუნო სიცოცხლე აქვს. 48
მე ვარ პური სიცოცხლისა. 49 თქვენ-
მა მამებმა ჭამეს მანანა უდაბნოში
და დაიხოცნენ. 50 ეს არის პური
ჩამომავალი ზეციდან, რათა მისი
მჭამელი არ მოკვდეს. 51 მე ცოცხ-
ალი პური ვარ, ზეციდან ჩამოსული.
ამ პურის მჭამელი საუკუნოდ იც-
ოცხლებს. პური, რომელსაც გავცემ,
ხორცია ჩემი, რომელსაც მივცემ ქვეყ-
ნიერების სიცოცხლისათვის.

53 იესომ უთხრა: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ არ ჭამთ ძე კაცისას ხორცს და არ სვამთ მის სისხლს, არ გაქვთ სიცოცხლე თქვენში. 54 ჩემი ხორცის მჭამელს და ჩემი სისხლის მსმელს საუკუნო სიცოცხლე აქვს. და მე მას აღვადგენ უკანასკნელ დღეს. 55 რადგან ჩემი ხორცი საჭმელია ნამდვილი და ჩემი სისხლი სასმელია ნამდვილი. 56 ჩემი ხორცის მჭამელი ჩემში რჩება, და მე კი — მასში.

63 სული აცოცხლებს, ხორცი კი ყოვლად უსარგებლოა, სიტყვები, რომლებიც გითხარით სულია და სიცოცხლე.

შეასრულეთ დავალება

შეისწავლეთ ზეპირად შემდეგი მუხლები: **იოანე 6 : 35 და 6 : 63**

რას გვასწავლის ჩვენ ეს ისტორია

1. იესო ზრუნავს ჩვენს საჭიროებებზე. მან გაითვალისწინა, როგორ მოგვამარაგოს ჩვენ აუცილებელი რამით, მაგრამ მას სურს გამოსცადოს ჩვენი რწმენა მასში. მას სურს, რომ ჩვენ ვეძებოთ ის და ვიყოთ მასზე *დამოკიდებული* ყოველ ჩვენ საჭიროებაში.

2. იესოც კი მადლობდა იმ *მცირედისათვის*, რაც მას ჰქონდა. ღმერთი გვეუბნება ჩვენ: „**მადლიერნი იყავით ყველაფრისათვის, ვინაიდან ასეთია თქვენზე ღმერთის ნება ქრისტე იესოში**“ (1 თეს. 5 : 18).

3. იესოს შეუძლია გადაწყვიტოს პრობლემები და უპასუხოს ყოველ საჭიროებას *სიუხვით:* „**ხოლო მას, ვისაც ჩვენში მოქმედი ძალით შეუძლია განუზომლად მეტის გაკეთება, ვიდრე ვთხოვთ ან ვფიქრობთ**“ (ეფეს. 3 : 20).

4. ღმერთს არ მოსწონს, როცა ჩვენ დაუდევრად ვიხარჯებით. მას სურს, რომ ჩვენ გამოვიყენოთ ყველაფერი, რასაც ის გვაძლევს ჩვენ, „რომ არაფერი არ დაიკარგოს“.

მას სურს, რომ ჩვენ ბრძნულად გავანაწილოთ ჩვენი *დრო*: „**გამოისყიდეთ დრო, ვინაიდან ბოროტნი არიან დღენი. მაშ, ნუ იქნებით უგუნურნი, არამედ შეიცანით, რა არის ღმერთის ნება**“ (ეფეს. 5 : 16, 17).

მას სურს, რომ ჩვენ ბრძნულად ვექცეოდეთ ჩვენს *შესაძლებლობებსა და ნიჭებს*: „**უთხრა მას მისმა ბატონმა: კარგი, კეთილო და ერთგულო მონავ! მცირედზე ერთგული იყავი, ბევრზე დაგაყენებ. შედი შენი**

ბატონის სიხარულში“ (მათ. 25 : 21).

იესოს სურს, რომ ჩვენ ბრძნულად ვხარჯოთ ჩვენი *ფული*: „**ნუ მოაგროვებთ თქვენთვის საუნჯეებს დედამიწაზე, სადაც ჩრჩილი და ჟანგი სპობენ, და სადაც ქურდები თხრიან და იპარავენ. ხოლო მოაგროვეთ თქვენთვის საუნჯენი ზეცაში, სადაც არც ჩრჩილი და ჟანგი სპობენ და სადაც არც ქურდები იპარავენ. ვინაიდან სადაც შენი საუნჯეა, შენი გულიც იქვე იქნება**“ (მათ. 6 : 19–21).

5. იესოსაგან საკვების მიღების შემდეგ, მოწაფეებმა გაუნაწილეს ის მშიერთ. ყოველდღე, როცა ჩვენ ვღებულობთ სულიერ საკვებს იესოსაგან, ჩვენ გვიჩნდება ის, რაც შეგვიძლია გავუნაწილოთ ადამიანებს გარშემო, რომლებიც საჭიროებენ „პურს სიცოცხლისას“.

ორი სახის პური

მშიერი ადამიანების დიდი ხროვა მოხარული იყო საკვების მიღებისადმი. ადამიანებს უნდოდათ, რომ იესო მათი მეფე ყოფილიყო და მათ აღარასოდეს არ შეეწუხებინათ თავი მუშაობით, რომ ეარსებათ! მაგრამ იესომ შეახსენა მათ ის, რაც მათ წინაპრებს მოუვიდათ მრავალი წლის წინათ. ისრაელის შვილები მოდიოდნენ ეგვიპტიდან იმ მიწაზე, რომელიც ღმერთმა აღუთქვა. უდაბნოში ხალხს მოშივდა. მაშინ ღმერთი ყოველდღე უგზავნიდა მათ პურს ზეციდან, რომ გამოეკვება ისინი! ეს იყო უდიდესი სასწაული! (გამოს. 16 : 4–35). ადამიანებმა ზუსტად არც იცოდნენ რას წარმოადგენდა მათთვის უცნობი საკვები, ამიტომ ისინი უწოდებდნენ მას „მანას“, რაც ნიშნავს *„რა არის ეს?“*

მოგვიანებით ღმერთმა აუხსნა ხალხს, თუ რად გააკეთა ეს. მოსემ თქვა: „**გახსოვდეთ მთელი ის გზა, რომლითაც მოჰყავდი ეს ორმოცი წელი უფალს, შენს ღმერთს, უდაბნოში, რომ მოეთვინიერებინე, გამოეცადე, რომ სცოდნოდა რა გიდევს გულში, დაიცავდი თუ არა მის მცნებებს. გათვინიერებდა, გამშევდა და გაჭმევდა მანანას, რომელიც არ იცოდი არც შენ და არც შენმა მამა-პაპამ, რათა მიმხვდარიყავი, მხოლოდ პურით არ ცოცხლობს კაცი, არამედ უფლის პირიდან გამომავალი ყოველი სიტყვით ცოცხლობს კაცი**“ (რჯლ. 8 : 2, 3).

და თუმცა უგზავნიდა ღმერთი ზეციურ მანანას ხალხს ასეთი საოცარი სახით მრავალი წლის განმავლობაში, მანანა პური იყო მხოლოდ მათი ფიზიკური სხეულებისათვის. ადამიანები სჭამდნენ მანანას, ბერდებოდნენ და კვდებოდნენ. და ახლაც, როცა იესომ გამოკვება მრავალი, პური, რომელიც

მათ შეჭამეს განკუთვნილი იყო მხოლოდ მათი ფიზიკური სხეულისათვის. იესომ უთხრა ადამიანებს, რომ ის თავად პურის სხვა სახეობაა, რომლის შეჭმაც შესაძლებელია! ის იყო *ცოცხალი პური* მათი სულისათვის (მშვინვისათვის)! ის ჩამოვიდა ზეციდან მანანის მსგავსად, რომელიც ციდან ცვიოდა. ის მოვიდა, რომ მისცეს თავისი სიცოცხლე ქვეყნიერებისათვის. ყოველი ვინც „ჭამს", ანუ ღებულობს თავის ცხოვრებაში იესოს, არასოდეს არ მოკვდება.

როგორ შეგვიძლია ჩვენ „ვჭამოთ" ეს პური სიცოცხლისა, რომელიც არის იესო? როგორ შეგვიძლია შევსვათ მისი სისხლი? ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ქრისტესეული მსხვერპლი ჯვარზე ჩვენი ხსნისათვის. ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ იესო, როგორც ღვთის კრავი, ვისი სისხლიც გვწმენდს ყოველგვარი ცოდვისაგან. ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ მისი სიცოცხლის მომნიჭებელი სული ჩვენს გულებში. ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ მისი მაცოცხლებელი სიტყვები, შევისწავლოთ და დავემორჩილოთ მათ. ჩვენ გვესაჭიროება ყოველდღიურად აღვსება მისით, ისევე, როგორც ჩვენ ყოველდღიურად გვესაჭიროება საკვები ჩვენი ფიზიკური სხეულის დასანაყრებლად.

სულიერი გაგებით თქვენ შეგიძლიათ ჭამოთ იესოს სხეული და დალიოთ მისი სისხლი ყოველდღიურად.

1. ყოველდღიურად იარეთ უფლის დიდების სინათლეში. თუ თქვენ სცოდავთ, აღიარეთ თქვენი ცოდვა ღმერთის წინაშე. იესოს სისხლი გაგწმენდთ თქვენ და შეძლებთ განაგრძოთ მასთან კეთილი ურთიერთობა (1 იოან. 1 : 7, 9).

2. ყოველდღე შესთხოვეთ იესოს აღგავსოთ თქვენ სულიწმიდით: ყოველ საქმეში, რომელსაც თქვენ აკეთებთ, იყავით დამოკიდებულნი სულიწმიდის

ძალაუფლებაზე, რომელიც იმყოფება თქვენში. ყოველდღიურად მიიღეთ ბიბლიიდან მითითებები მისგან. ღმერთის სიტყვა ჩვენთვის სიცოცხლეა. ყოველდღიურად გაატარეთ დრო განმარტოებით ღმერთთან, როცა თქვენ შეგიძლიათ ელაპარაკოთ მას ხმით, ხოლო შემდეგ დღის განმავლობაში გააგრძელეთ ფიქრი მასზე. ესაუბრეთ მას ყველაფერი გონებაში. თქვენ აღმოაჩენთ, რომ სულ უფრო და უფრო ემსგავსებით იესოს.

ღმერთს აქვს საოცარი აღთქმა თქვენთვის, თუ თქვენ ასრულებთ შემდეგს: **„როცა უფლის მოშიშნი ლაპარაკობენ ერთმანეთში, ყურს უგდებს უფალი, ესმის და იწერება მის წინაშე სამახსოვრო წიგნი უფლის მოშიშთათვის და მისი სახელის მომხსენიებელთათვის. ჩემი იქნებიან ისინი, ამბობს უფალი, იმ დღისთვის, როცა უნჯად გავამზადებ მათ და შევიბრალებ, როგორც კაცი შეიბრალებს თავის შვილს, რომელიც მას მორჩილებს“** (მალ. 3 : 16, 17).

ღმერთის სიტყვები – საკვებია ჩვენი სულებისათვის

მრავალი წლის წინათ იობმა თქვა: **„მისი ბაგეების მცნებათაგან არ გადამიხვევია; უბეში დავიუნჯე მისი პირის სიტყვები“** (იობ. 23 : 12).

იერემიამ განაცხადა: **„ნაპოვნია შენი სიტყვები და მე ვჭამე ისინი; შვება და გულის სიხარული იყო ჩემთვის შენი სიტყვა, რადგან შენი სახელით ვიწოდები, უფალო, ცაბაოთ ღმერთო“** (იერ. 15 : 16).

მეფსალმუნემ თქვა: **„რარიგ ატკბობენ ჩემს სასას შენი სიტყვები – თაფლზე ტკბილია ჩემი პირისათვის“** (ფს. 118 : 103).

პეტრე ირწმუნებოდა: **„როგორც ახალშობილმა ყრმებმა, ინატრეთ სულიერი სუფთა რძე, რათა მით გაიზარდოთ გადასარჩენად, თუ იგემეთ, რომ კეთილია უფალი“** (1 პეტ. 2 : 2, 3).

მოდით, ყოველდღიურად „ვიკვებოთ“ ღმერთის სიტყვით!

ისტორია 12. იესო დადის წყალზე



იოანე 6 : 16–21

16 როდესაც მოსაღამოვდა, მისი
მოწაფეები ზღვაზე ჩავიდნენ. 17 ავ-
იდნენ ნავზე და გაემართნენ ზღვის
მეორე ნაპირზე, კაპერნაუმისაკენ.
ჩამობნელდა და იესო ჯერაც არ
მოსულიყო მათთან. 18 ძლიერი ქარი
ამოვარდა, ზღვა აღელდა. 19 ოცდა-
ხუთი თუ ოცდაათი სტადიონი რომ
გასცურეს, იხილეს იესო ზღვაზე
მოდიოდა და უახლოვდებოდა ნავს
და შეეშინდათ. 20 მან კი უთხრა
მათ: მე ვარ, ნუ გეშინიათ. 21 მათ
უნდოდათ ნავზე აეყვანათ იგი, და
ნავი მაშინვე აღმოჩნდა მიწასთან, სად-
აც მიდიოდნენ.

რაზე გმართებთ დაფიქრება

მოცული ხართ თქვენ ახლა ღელვით? ხომ არ შემოგიბრუნდათ თქვენ ცხოვრება თავისი ბნელი მხარით და გეჩვენებათ, რომ იესო შორსაა თქვენგან? არ ცდილობთ თქვენ და თქვენს გარშემო მყოფი ხალხი მთელი თავისი სუსტი ძალით ებრძოლოთ შტორმს, რომ მიაღწიოთ საწინააღმდეგო მხარეს? თუ ეს ყველაფერი ასეა, იცოდეთ, *ის ყველაფერს ხედავს.* ის მოდის თქვენთან ყველაზე მძიმე მომენტში. ნუ შეგეშინდებათ. სიხარულით გაანდეთ იესოს თქვენი პრობლემა ან სიტუაცია. გადაეცით თავი მისი კონტროლის ქვეშ. ის დააწყნარებს აბობოქრებულ წყლებს და სრული უსაფრთხოებით წაგიყვანთ საწინააღმდეგო ნაპირისაკენ. „**წყვდიადის ველზეც რომ ვიარო, ბოროტისა არ მეშინია; რამეთუ შენ ხარ ჩემთან; მანუგეშებენ შენი კვერთხი და შენი საყრდენი**“ (ფს. 22 : 4).

ისტორია 13. იესო ლაპარაკობს თავისუფლებაზე

იოანე 8 : 31–37, 42, 47

31 მაშინ იესომ უთხრა იმ
იუდეველებს, რომლებმაც იგი ირწ-
მუნეს: თუ ჩემს სიტყვაში დარჩებით,
ჭეშმარიტად ჩემი მოწაფეები ხართ.
32 და შეიცნობთ ჭეშმარიტებას და
ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ. 33

მას უპასუხეს: ჩვენ აბრაამის თესლი ვართ და არასოდეს ვყოფილვართ არავის მონები. როგორღა ამბობ, თავისუფლები გახდებითო? 34 იესომ უპასუხა: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ყველა ცოდვის ჩამდენი ცოდვის მონაა. 35 მაგრამ მონა არ რჩება სახლში საუკუნოდ: ძე რჩება საუკუნოდ. 36 ამიტომ, თუ ძე გაგათავისუფლებთ, ნამდვილად თავისუფლები იქნებით. 37 ვიცი, რომ აბრაამის თესლი ხართ; მაგრამ ჩემს მოკვლას ეძიებთ, რადგან ჩემი სიტყვა ვერ თავსდება თქვენში. 42 იესომ უთხრა: ღმერთი რომ მამა იყოს თქვენი, მაშინ გეყვარებოდით, რადგან მე გამოვედი და მოვედი ღმერთისაგან, ვინაიდან მე ჩემით კი არ მოვსულვარ, არამედ მან წარმომგზავნა. 47 ვინც ღმერთისგანაა, ისმენს ღმერთის სიტყვებს; თქვენ იმიტომ არ ისმენთ, რომ ღმერთისაგან არ ხართ.

იოანე 7 : 17

17 ვისაც სურს ქმნას მისი ნება, იგი შეიტყობს ამ მოძღვრების შესახებ, ღმერთისაგანაა თუ ჩემით ვლაპარაკობ.

შეასრულეთ დავალება

შეავსეთ გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში:

1. თუ ჩემს სიტყვებში _____ უთხრა იესომ, — ჭეშმარიტად ჩემი მოწაფეები ხართ (მუხლი 8 : 31).

2. _____ გაგათავისუფლებთ თქვენ (8:32).

3. ყველა ცოდვის ჩამდენი, არის ცოდვის _____ (34).

4. ამიტომ თუ _____ გაგათავისუფლებთ თქვენ (ცოდვისაგან), ნამდვილად თავისუფლები იქნებით (8:36).

5. იესომ უთხრა მათ: ღმერთი რომ მამა იყოს თქვენი, მაშინ _____ მე (8 : 42).

6. ვინც _____, ისმენს ღმერთის სიტყვებს (8 : 47).

7. ვისაც სურს ქმნას მისი _____, ის _____ ამ მოძღვრების შესახებ, ღმერთისგანაა თუ არა (7 : 17).

ისტორია 14. იესო – ქვეყნიერების სინათლე

იოანე 8 : 12

12 იესო კვლავ ეუბნებოდა და უთხრა მათ: მე სინათლე ვარ ქვეყნიერებისა, ვინც წამომყვება, სიბნელეში არ ივლის, არამედ სიცოცხლის სინათლე ექნება მას.

იოანე 9 : 1–9; 13–25, 33–38

1 მიდიოდა და დაინახა კაცი, დაბადებიდან ბრმა. 2 მისმა მოწაფეებმა ჰკითხეს: რაბი, ვინ შესცოდა მან თუ მისმა მშობლებმა, ბრმა რომ დაიბადა? 3 იესომ უპასუხა: არც მას შეუცოდავს და არც მის მშობლებს, არამედ, რათა ღმერთის საქმენი გამოვლინდეს მასზე. 4 ჩვენ უნდა ვაკეთოთ საქმენი იმისა, ვინც მე წარმომგზავნა, სანამ დღე არის; მოდის ღამე, როცა ველარავინ შესძლებს კეთებას. 5 სანამ ქვეყნიერებაზე ვარ, ქვეყნიერების სინათლე ვარ. 6 ეს რომ თქვა, მიწაზე დააფურთხა, ფურთხიდან ტალახი გააკეთა და თვალებზე ტალახი წაუსვა ბრმას. 7 უთხრა: წადი და დაიბანე შელოახის აუზში, რაც ნიშნავს წარმოგზავნილს, წავიდა, დაიბანა და მოვიდა მხედველი.

8 მშობლებმა და მათ, ვისაც ადრე უნახავს, რომ მათხოვარი იყო თქვეს: ეს ის არაა, რომ იჯდა და მათხოვრობდა? 9 ერთნი ამბობდნენ: ეს ისაა, სხვებმა თქვეს: არა, მაგრამ მისი მსგავსია. მან კი თქვა: ეს მე ვარ.

13 მიიყვანეს ფარისევლებთან ის კაცი, წინათ რომ ბრმა იყო. 14 შაბათი იყო ის დღე, იესომ რომ ტალახი გააკეთა და თვალები აუხილა. 15 ფარისევლებმაც ჰკითხეს ასევე, თუ როგორ აეხილა თვალები. უთხრა მათ: ტალახი დამადო თვალებზე, დავიბანე და ვხედავ. 16 მაშინ ზოგმა ფარისეველმა თქვა: ეს კაცი არაა ღმერთისაგან, რაკი შაბათს არ იცავს. სხვებმა კი თქვეს: როგორ შეძლებს ცოდვილი კაცი ასეთი სასწაულების მოხდენას? და იყო მათ შორის განხეთქილება. 17 კვლავ ეუბნებიან ბრმას: შენ რას იტყვი მის შესახებ, რაკი თვალები აგიხილა? მან თქვა: წინასწარმეტყველია იგი. 18 არ დაიჯერეს იუდეველებმა მასზე, რომ ბრმა იყო და თვალები აეხილა, სანამ თვალახელილის მშობლებს არ დაუძახეს. 19 მათ ჰკითხეს: ესაა თქვენი ძე, რომლის შესახებ ამბობთ, რომ ბრმა დაიბადა? ახლა როგორღა ხედავს? 20 მშობლებმა უთხრეს

პასუხად: ვიცით, რომ იგი ჩვენი შვილია და ბრმა დაიბადა. 21 მაგრამ ახლა როგორ ხედავს, არ ვიცით, ან ვინ აუხილა თვალები არ ვიცით; თვითონ ხომ ასაკოვანია, მას ჰკითხეთ და თვითონ იტყვის თავის თავზე. 22 ასე უთხრეს მისმა მშობლებმა, რადგან ეშინოდათ იუდეველებისა; ვინაიდან იუდეველებმა პირი შეკრეს უკვე: სინაგოგიდან მოეკვეთათ ის, ვინც მას ქრისტედ აღიარებდა. 23 ამიტომ უთხრეს მშობლებმა: ასაკოვანია, მას ჰკითხეთ. 24 ამიტომ მეორედ დაუძახეს იმ კაცს, ყოფილ ბრმას და უთხრეს: მიეცი დიდება ღმერთს, ჩვენ ვიცით, რომ ეს კაცი ცოდვილია. 25 მან უპასუხა: არ ვიცი, ის კაცი ცოდვილია თუ არა. ერთი რამ ვიცი: ბრმა ვიყავი და ახლა კი ვხედავ. 33 ეს რომ ღმერთისაგან არ ყოფილიყო, ვერაფერს გააკეთებდა. 34 უთხრეს მას პასუხად: შენ მთლიანად ცოდვებში დაიბადე და ჩვენ გვასწავლი? და გარეთ გააძევეს იგი. 35 იესომ მოისმინა, რომ გარეთ გააძევეს იგი. ნახა იგი, უთხრა: შენ გწამს ძე კაცისა? 36 მან უთხრა პასუხად: ვინაა იგი, უფალო, რომ ვიწამო? 37 იესომ უთხრა: შენ გინახავს იგი და შენ გელაპარაკება, ისაა. 38 მან კი უთხრა: მე მწამს, უფალო, და თაყვანი სცა მას. 39 და უთხრა იესომ: განსასჯელად მოვედი ამ წუთისოფელში, რათა ვერმხედველმა დაინახოს, მხედველნი კი დაბრმავდნენ.

ვინ თქვა ეს?

1. ვინ თქვა: „მოდის ღამე, როცა ველარავინ შეძლებს გაკეთებას“ _____ (მუხლი 4).

2. ვინ თქვა: „ეს ის არაა, რომ იჯდა და მათხოვრობდა?“ _____ (8).

3. ვინ თქვა: „ეს კაცი არაა ღმერთისაგან“ _____ (16).

(ფარისევლები იყვნენ რელიგიური იუდეური სექტა. ისინი მკაცრად იცავდნენ მოსეს კანონების შესრულებას და ტრადიციებს).

4. ვინ თქვა: „თვითონ ხომ ასაკოვანია, მას ჰკითხეთ . . . რადგან ეშინოდათ იუდეველებისა“ _____ (21–23).

(სინაგოგიდან მოკვეთა ძალიან სერიოზული რამ იყო. სინაგოგიდან მოკვეთილს ექცეოდნენ, როგორც კეთროვანს. არავის შეეძლო გაეზიარებინა ასეთ ადამიანთან ტრაპეზი ან ჰქონოდათ მასთან საქმიანი ურთიერთობა).

5. ვინ თქვა: „ეს რომ ღმერთისაგან არ ყოფილიყო, ვერაფერს გააკეთებდა“ ——————————————————— (33).

6. ვინ თქვა: „შენ გწამს ძე კაცისა?“ ——————————————— (35).

7. ვინ თქვა: „მე მწამს, უფალო“ ——————————————— (38).

იესოს მოაქვს სინათლე

როცა იესომ ბრმად დაბადებულს თვალები აუხილა, მან მის ცხოვრებაში სინათლე შემოიტანა. მაგრამ იესოს უნდოდა ეჩვენებინა, რომ სინამდვილეში ის მოვიდა, რომ აეხილა სულიერი თვალები ყველა ადამიანისათვის, რომლებიც სიბნელეში იმყოფებოდნენ.

მრავალი წლის წინ ღმერთი ჰპირდებოდა თავისი წინასწარმეტყველებიდან, რომ ერთხელაც მოვა ის, ვინც მოიტანს სინათლეს. ღმერთმა აღწერა იესო: **„მე უფალმა წრფელად მოგიწოდე და ხელი ჩაგჭიდე და შეგინახე და დაგადგინე აღთქმად ერისათვის, სინათლედ ხალხებისათვის, რომ ბრმებს თვალები აეხილოთ, რომ საპყრობილედან გამოვიდნენ ტყვეები და დილეგიდან – ბნელში მსხდომარენი“** (ეს. 42 : 6, 7). ესაიამ დაინახა იესოს დღე: **„ხალხმა, ბნელში მოარულმა, იხილა ნათელი დიდი, წყვდიადის ქვეყანაში მცხოვრებლებს ნათელი გამოუბრწყინდა“** (ეს. 9 : 2).

როცა იესომ განაცხადა, რომ ის სინათლეა ქვეყნიერებისათვის, იუდეველები მიხვდნენ, რომ მან თავისი თავი ღმერთად გამოაცხადა, რამეთუ ღმერთი არის სინათლე: **„უფალი ჩემი შუქი არის და ხსნაა ჩემი“** ნათქვამია ფს. 26 : 1-ში. „ . . . **თუმცა ბნელში ვზივარ, უფალია ჩემი ნათელი“** (მიქ. 7 : 8). დავითმა, როცა ღმერთსა მადლობდა, თქვა: **„რადგან, უფალო ჩემო, ლამპარი ხარ! უფალი ბნელს მინათებს“** (2 მეფ. 22 : 29).

თუ ჩვენ ვიცნობთ იესოს, ჩვენ ვიცნობთ ღმერთს. იესომ თქვა: **„მე რომ მიცნობდეთ, მამაჩემიც გეცნობებათ. ამიერიდან იცნობთ მას და გინახავთ იგი“** (იოან. 14 : 7) **„ვინაიდან, ღმერთმა, რომელმაც თქვა: გამოიბრწყინოს შუქმა სიბნელიდან, მან გაანათა ჩვენს გულებში, რათა გაგვიშუქოს ღმერთის დიდების შემეცნებით იესო ქრისტეს სახეში“** (2 კორ. 4 : 6). მიიღეთ ეს სინათლე?

სიარული სინათლეში

ისინი, ვინც მიჰყვებიან იესოს, უკვე აღარ დადიან სიბნელეში; ისინი დაიარებიან სინათლეში. „**ვინაიდან ოდესღაც სიბნელე იყავით, ახლა კი სინათლე ხართ უფალში იარეთ სინათლის შვილებისამებრ**“ (ეფეს. 5 : 8).

„**მართალთა გზა დილის ნათელივითაა უფროდაუფრო ნათდება დღის დადგომამდე**“ (იგავ. 4 : 18).

ღმერთის სიტყვა სინათლეა. „**ლამპარია ჩემი ფეხისთვის სიტყვა შენი და სინათლე – ჩემი ბილიკისათვის**“ (ფს. 118 : 105). ყოველდღიურად, როცა ჩვენ მივმართავთ ღმერთის სიტყვას, ჩვენ უნდა ვუსმინოთ რას გვეუბნება ის და დავემორჩილოთ მას. ეს ნიშნავს სწორედ „სინათლეში სიარულს“. მოიქცე ისე, როგორც ღმერთი ამბობს, ნიშნავს იარო სინათლეში. გახსოვთ თქვენ იესოს მცნება იმაზე, რომ უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი? აი, რატომ ლაპარაკობს ღმერთის სიტყვა: „**ის კი, ვისაც თავისი ძმა სძულს, ბნელში იმყოფება, და ბნელში დადის და არ იცის საით მიდის, ვინაიდან სიბნელემ დაუბრმავა თვალები**“ (1 იოან. 2 : 11).

ყველაზე სწრაფი საშუალება დაბრმავებისა არის ის, რომ გამუდმებით იარო სიბნელეში. როცა ჯორებს იყენებენ მაღაროებში მიწისქვეშ სამუშაოდ, აუცილებელია კვირაში ერთხელ მათი ამოყვანა სინათლეზე მთელი დღით. თუ ისინი გამუდმებით მიწის ქვეშ გვეყოლება, ძალიან მალე ისინი სრულიად ბრმები იქნებიან. ასევე ჩვენც: ჩვენ გამუდმებით უნდა დავიარებოდეთ სინათლეში, რამეთუ სხვაგვარად ჩვენი სულიერი თვალები შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს სატანამ და მას შეუძლია დააბნელოს ჩვენი გონება და გული.

ჩვენ – სინათლე ქვეყნიერებაზე

„**ყველაფერი გააკეთეთ უდრტვინველად და დაუეჭვებლად. რათა იყოთ უბიწონი და სუფთანი, ღმერთის უმანკო შვილები ჭირვეულ და უკულმართ თაობას შორის, რომელშიც თქვენ ანათებთ, როგორც მნათობები სამყაროში**“ (ფილ. 2 : 14, 15). ღმერთმა *ამოგვირჩია* ჩვენ „**რათა აუწყოთ სათნოებანი სიბნელიდან თავისი საკვირველი სინათლისაკენ თქვენი მომწოდებლისა**“ (1 პეტ. 2 : 9). არის *თქვენი* ცხოვრება ნათელი თქვენს გარშემო მყოფი ადამიანებისათვის? თუ არა, მაშინ მოციქული ასევე დაჟინებით გეუბნებათ თქვენ: „**ამიტომ მოვიშოროთ სიბნელის საქმეები და შევიმოსოთ სინათლის საჭურვლით**“ (რომ. 13 : 12).

ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ჩვენი უფლის დაბრუნებისათვის. მხოლოდ თუ ჩვენ ვფხიზლობთ და დავდივართ სინათლეში, ჩვენ ვიქნებით მზად ამისათვის: **„ვინაიდან თქვენ ყველანი სინათლის ძენი ხართ და დღის ძენი; არც ღამის ვართ ჩვენ და არც სიბნელისა. ამიტომ ნუ დავიძინებთ, როგორც სხვები, არამედ გვეღვიძოს და ვიფხიზლოთ“** (1 თეს. 5 : 5, 6).

ახალ ცასა და ახალ დედამიწაზე საუბრისას, იესომ თქვა, რომ ახალ იერუსალიმს არ **„სჭირდება არც მზე, არც მთვარე, რომ ანათებდნენ მასში, რამეთუ ღმერთის დიდებამ გაანათა იგი და მისი ლამპარი კრავია“** (გამოც. 21 : 23). რა დიდებულია, რომ იესო იქნება მუდამ ჩვენთვის სინათლე!

ვიმუშაოთ, სანამ არის სინათლე!

იესოს დაბრუნებამდე ჩვენ უნდა ვიმუშაოთ, სანამ არის სინათლე ჩვენს ბნელ სამყაროში. ერთხელაც ეს დედამიწა გაქრება (მათ. 5 : 18). ისინი, ვინც არ მოვიდნენ სინათლესთან, იქნებიან გადაყრილნი გარესკნელის სიბნელეში (მათ. 22 : 13). მოდით ვიმუშაოთ **„მათი თვალების ასახელად და წყვდიადთან სინათლისაკენ, და სატანის ძალაუფლებიდან ღმერთისაკენ მოსაქცევად, რომ ჩემდამი რწმენით მიიღონ ცოდვების მიტევება“** (საქ. 26 : 18).

ერთხელ იუდეველებმა ჰკითხეს იესოს: **„როგორ უნდა მოვიქცეთ რომ ღმერთის საქმენი აღვასრულოთ?“** იესომ უპასუხა მათ: **„ესაა საქმე ღმერთისა, რომ ირწმუნოთ იგი, ვინც მან წარმოგზავნა“** (იოან. 8 : 24).

უწინარეს ყოვლისა, ჩვენ დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ ჩვენ თავად მივედით სინათლესთან, რომ მივიღოთ ახალი სიცოცხლე. შემდეგ ჩვენ უნდა ვიშრომოთ იესოსთან ერთად, რომ *მოვიყვანოთ სინათლესთან სხვები*: **„აკეთეთ არა ხრწნადი საჭმლისათვის, არამედ საჭმლისათვის, რომელიც რჩება საუკუნო სიცოცხლისათვის; რომელსაც ძე კაცისა მოგცემთ თქვენ“** (იოან. 6 : 27).

გახსოვთ ბრმად დაბადებული ჩვენს ისტორიაში? ის გაბედულად ლაპარაკობდა იმაზე, რაც იესომ *გაუკეთა მას.* თუმცა ის განდევნილი იყო სულიერად ბრმების მიერ, იესო მივიდა მასთან, რომ გამოეცხადებინა თავისი თავი მისთვის. ის გააკეთებს ამას თქვენთვისაც!

იოანე 10 : 1–16, 27–33

1 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად
გეუბნებით თქვენ, ვინც კარიდან არ
შედის ცხვრის ეზოში და სხვა გზით
შეაღწევს, ქურდი და ავაზაკია იგი.
2 და ვინც კარიდან შედის, ცხვრის
მწყემსია იგი. 3 მეკარე ულებს მას,
ცხვარი უსმენს მის ხმას. იგი
სახელით მიმართავს თავის ცხვარს
და გამოჰყავს ისინი. 4 როცა თავი-
სებს გამოუშვებს, იმათ წინ მიდის
და ცხვარი მისდევს მას, რადგან
ცნობს მის ხმას. 5 უცხოს არ გაჰყვე-
ბა, გაექცევა, რადგან უცხოთა ხმას
არ იცნობს. 6 ეს იგავი უთხრა მათ
იესომ, მათ კი ვერ გაიგეს, რა იყო ის,
რაც მათ უთხრა. 7 იესომ კვლავ
უთხრა მათ: ჭეშმარიტად, ჭეშმარი-
ტად გეუბნებით თქვენ: მე ვარ ცხვრის
კარი. 8 ყველა, ჩემზე წინ ვინც მოვ-
იდა, ქურდები და ავაზაკები არიან,
მაგრამ ცხვარმა არ უსმინა მათ. 9
მე ვარ კარი: ვინც შედის ჩემით,
გადარჩება და შევა და გამოვა და
საძოვარს იპოვის. 10 ქურდი მხ-
ოლოდ იმისათვის მოდის, რომ მოი-
პაროს, მოკლას და მოსპოს. მე
იმისათვის მოვედი, რომ სიცოცხლე
ექნეთ და უხვად ექნეთ. 11 მე ვარ
მწყემსი კეთილი. მწყემსი კეთილი
თავის სიცოცხლეს დასდებს ცხვრი-
სათვის. 12 დაქირავებული კი, მწ-
ყემსი რომ არაა და არც ცხვარია
მისი საკუთარი, მოსული მგლის
დანახვისას სტოვებს ცხვარს და გარ-
ბის. მგელი კი იტაცებს მათ და
ფანტავს. 13 დაქირავებული კი გარ-
ბის, რადგან დაქირავებულია იგი და
არ ზრუნავს ცხვარზე. 14 მე ვარ
მწყემსი კეთილი, მე ვიცნობ ჩემსას
და ჩემი მიცნობს მე, 15 როგორც
მამა მიცნობს მე და მე ვიცნობ მა-
მას. ჩემს სიცოცხლეს ვდებ ცხვრი-
სათვის. 16 მე სხვა ცხვარიც მყავს;
არა ამ ფარეხიდან. მე ისინიც უნდა
მოვიყვანო. ისინი მოისმენენ ჩემს ხმას
და გახდება ერთი ფარა და ერთი
მწყემსი.

27 ჩემი ცხვრები ჩემს ხმას ისმენ-
ენ; და მე ვიცნობ მათ; და ისინი მე
მომყვებიან. 28 მე მათ საუკუნო სი-
ცოცხლეს ვაძლევ, და არ დაიღუპე-

ბიან საუკუნოდ და ჩემი ხელიდან ვერავინ წამგლეჯს. 29 მამაჩემი, რომელმაც მომცა (ისინი), ყველაზე დიდია, და ვერავინ შეძლებს (მათ) წაგლეჯას მამაჩემის ხელიდან. 30 მე და მამა ერთი ვართ. 31 მაშინ კვლავ დაავლეს იუდეველებმა ქვას ხელი, რათა ჩაექოლათ იგი. 32 იესომ მათ უპასუხა: ბევრი კარგი საქმე გიჩვენეთ მამისაგან, რომელი ამ საქმეთაგანისათვის მქოლავთ? 33 იუდეველებმა უპასუხეს: კარგი საქმისათვის კი არ გქოლავთ, არამედ ღვთისგმობისათვის და იმისათვის, რომ კაცი ხარ და ღმერთად ხდი შენს თავს.

გაკვეთილები, რომლებიც ამ ისტორიიდან გამოვიტანეთ

1. *იესო გადარჩენის ერთადერთი გზაა.* მხოლოდ მისი ხმის მოსმენით და მასზე გაყოლით, ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ მისი ცხვრები. ის გეძახით თქვენ სახელებით. ის მიგიძღვებათ თქვენ, ის გაძლევთ თქვენ საძოვარს, მან გასწირა თქვენთვის სიცოცხლე. **„ყველანი ცხვრებივით დავეხეტებოდით, თითოეული ჩვენ-ჩვენ გზას ვადექით, უფალმა კი მას შეჰყარა ყოველი ჩვენგანის უკეთურება“** (ეს. 53 : 6). დატოვებთ თქვენ საკუთარ გზას, რომ გაჰყვეთ მის ნაკვალევს?

2. *იესო ერთადერთი ჭეშმარიტი მწყემსია.* **„უწყოდეთ, რომ უფალია ღმერთი. მან შეგვქმნა ჩვენ და მისთვის ვართ ჩვენ ხალხი მისი და ცხვარი, სამწყსო მისი“** (ფს. 99 : 3).

3. *თუ ჩვენ მისი ცხვრები ვართ, ის გვიცნობს ჩვენ და ჩვენ ვიცნობთ მას.* **„მაგრამ მე მცნობ, უფალო. მხედავ და გამოცდილი გყავს ჩემი გული“** (იერ. 12 : 3). აღიარეთ თქვენ იესო საკუთარ მწყემსად? თუ კი, მაშინ თქვენ გაჰყვებით მხოლოდ მას და სხვას არავის. *გიცნობთ კი მწყემსი თქვენ?* როცა გამოჩნდება მთავარი მწყემსი, მრავალი ეტყვის მას: **„უფალო, უფალო! განა შენი სახელით არ ვწინასწარმეტყველებდით? განა შენი სახელით არ ვდევნიდით ეშმაკებს და განა შენი სახელით არ ვახდენდით მრავალ სასწაულს?“ „და მაშინ,** — ამბობს იესო, — **მე განვუცხადებ მათ: მე არასოდეს არ გიცნობდით თქვენ, გამშორდით, მოქმედნო უსჯულოებისა“** (მათ. 7 : 22, 23). ჩვენ არ შეგვიძლია, ერთდროულად მწყემსსაც ვეკუთვნოდეთ და საკუთარი გზებითაც ვიაროთ. ვერც ერთი ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია სიწმინდე, ვერ იხილავს უფალს (ებრ. 12 : 14).

4. *როცა ჩვენ ვეკუთვნით იესოს, ჩვენ გვაქვს საუკუნო გადარჩენა.*

არავის შეუძლია გამოგვტაცოს ჩვენ მისი ხელიდან. ეს აღთქმა მიეცათ მხოლოდ მათ, ვინც მიჰყვება უდიდეს მწყემსს ცხვრის ფარისა, უფალ იესო ქრისტეს.

5. *ის, ვინც მიჰყვება იესოს, გაექცევა დაჭირავებულს.* სატანა ჰგავს ქურდს, რომელსაც სურს მოიპაროს, მოკლას და გაანადგუროს.

6. *იესო ამბობს თავის თავზე, რომ ის ღმერთია.* როცა იესომ თქვა, რომ ის კეთილი მწყემსია, და რომ ის და მამა ერთნი არიან, იუდეველები მიხვდნენ, რომ თავისი თავი ღმერთის ტოლად გახადა. ისინი რომ ღმერთს გაჰყოლოდნენ, მაშინ, იესოსაც სცნობდნენ როგორც მწყემსს. ესაია წინასწარმეტყველებდა: „**აჰა, მოვა, უფალი ღმერთი . . . როგორც მწყემსი, დამწყემსავს ის თავის ფარას, თავისი მკლავით მოუყრის თავს კრავებს და თავისი უბით წაიყვანს, და დედაცხვარს წინ გაუძღვება**“ (ეს. 40 : 10, 11).

მწყემსის ფსალმუნი

ფსალმუნი 22

1. უფალი ჩემი მწყემსია, არაფერი არ მომაკლდება. 2 ხასხასა მოლზე განმასვენებს და წყნარ წყლებზე წამიძღვება მე. 3 სულს დამიწყნარებს, სიმართლის კვალზე დამაყენებს თავისი სახელის გულისათვის. 4 წყვდიადის ველზეც რომ ვიარო, ბოროტისა არ მეშინია; რამეთუ შენ ხარ ჩემთან; მანუგეშებენ შენი კვერთხი და შენი საყრდენი. 5 მოაწყე ტაბლა ჩემს წინაშე ჩემს მტერთა თვალწინ, ზეთი სცხე ჩემს თავს; სავსეა თასი ჩემი პირთამდე. 6 ასე სიკეთე და წყალობა დამდევს კვალდაკვალ მთელი სიცოცხლის

მანძილზე და დავმკვიდრდები უფლის სახლში დღეთა მრავალთა.

ისტორია 16. იესო – აღდგომა და სიცოცხლე
იოანე 11 : 1–7, 17–46

1 იყო ავად ვინმე ბეთანიელი
ლაზარე, მარიამის და მისი დის
მართას სოფლიდან. 2 ეს ის მარი-
ამი იყო, უფალს რომ ნელსაცხებე-
ლი სცხო და ფეხები თავისივე
თმებით შეუმშრალა, მისი ძმა ლაზა-
რე იყო ავად. 3 მისმა დებმა გაუგ-
ზავნეს და შეუთვალეს: უფალო, აი,
ის, ვინც გიყვარს ავადაა. 4 იესომ
მოისმინა და უთხრა: ეს ავადმყო-
ფობა სასიკვდილოდ არაა, არამედ
ღმერთის სადიდებლადაა, რათა მის-
ით განდიდდეს ძე ღმერთისა.

5 იესოს უყვარდა მართა, მისი
და და ლაზარე. 6 როდესაც გაიგო,
რომ ავად იყო, ორი დღე დაჰყო იმ
ადგილზე, სადაც იმყოფებოდა. 7 ამის
შემდეგ ეუბნება მოწაფეებს: წავიდეთ
კვლავ იუდეაში.

17 იესო მივიდა და ნახა, რომ ის
უკვე ოთხი დღეა სამარხშია. 18
ბეთანია ახლოს იყო იერუსალიმი-
დან, თხუთმეტი სტადიონის მანძილზე.
19 და ბევრი იუდეველთაგანი მივი-
და მართასთან და მარიამთან, რომ
ენუგეშებინათ ისინი ძმის გამო. 20
გაიგო რა მართამ იესო მოდისო,
შეეგება მას. მარიამი კი შინ იჯდა.
21 მაშინ მართამ უთხრა იესოს: უფა-
ლო, აქ რომ ყოფილიყავი, ჩემი ძმა
არ მოკვდებოდა. 22 მაგრამ ახლაც
ვიცი: რასაც სთხოვ ღმერთს, ღმერ-
თი მოგცემს. 23 იესო ეუბნება მას:
აღდგება შენი ძმა. 24 მართამ უპა-
სუხა: ვიცი რომ აღდგება აღდგომი-
სას უკანასკნელ დღეს. 25 იესომ
უთხრა მას: მე ვარ აღდგომა და
სიცოცხლე, ჩემი მორწმუნე რომ
მოკვდეს კიდეც, გაცოცხლდება. 26
და ყოველი ცოცხალი და ჩემი მო-
რწმუნე არ მოკვდება საუკუნოდ.
გწამს ეს? 27 მან უთხრა: დიახ,
უფალო, მე მწამს, რომ შენ ქრისტე
ხარ, ძე ღმერთისა, რომელიც ქვეყ-
ნიერებაზე მოდის. 28 ეს რომ თქვა,
წავიდა და თავის და მარიამს საიდ-
უმლოდ მოუხმო და უთხრა: მოძღვარ-
ია აქ და შენ გიხმობს. 29 როგორც
კი გაიგონა სასწრაფოდ წამოდგა.
მივიდა მასთან. 30 იესო ჯერ სოფელ-
ში არ შესულიყო, იგი იმავე ადგ-
ილზე იდგა, სადაც მართა შეეგება.
31 ხოლო იუდეველებმა, მასთან რომ
იყვნენ სახლში და მას ანუგეშე-
ბდნენ, დაინახეს რა, რომ მარიამი
უცებ ადგა და გავიდა, უკან გაჰყ-

ვნენ. ეგონათ, რომ სამარხს მიდის, იქ
სატირლად. 32 მარიამი მივიდა იმ
ადგილას, სადაც იესო იყო და, რა
იხილა იგი, დაეცა მის ფეხებთან და
უთხრა: უფალო, აქ რომ ყოფილიყა-
ვი, ჩემი ძმა არ მოკვდებოდა. 33
იხილა რა იესომ იგი მტირალი და
მასთან ერთად მოსული მტირალი
იუდეველები, ამოიოხრა სულით და
დაღონდა. 34 უთხრა: სად ჩაასვენეთ
იგი? უპასუხეს: უფალო, მოდი და
ნახე. 35 იესო აცრემლდა. 36 მაშინ
იუდეველებმა თქვეს: ნახე, როგორ
ჰყვარებია! 37 ზოგმა მათგანმა კი
თქვა: განა ბრმის თვალის ამხელს
არ შეეძლო ისე გაეკეთებინა, რომ ეს
არ მომკვდარიყო? 38 იესო კვლავ
აღელდა თავისთვის. მივიდა სამარხ-
თან, ეს იყო გამოქვაბული. ზედ
ლოდი ჰქონდა დადებული. 39 იე-
სომ თქვა: ასწიეთ ლოდი. მიცვალებუ-
ლის დამ, მართამ უთხრა: უფალო,
უკვე ყარს, რადგან მეოთხე დღეა.
40 იესომ უთხრა მას: განა არ გითხ-
არი, რომ, თუ ირწმუნებ, ღმერთის
დიდებას იხილავ? 41 ამრიგად ას-
წიეთ ლოდი.

იესომ თვალები აღაპყრო და
თქვა: მამაო, გმადლობ შენ რომ მის-
მინე. 42 მე ვიცოდი რომ ყოველთვ-
ის მისმენ. მე მხოლოდ გარშემოკრე-
ბილი ხალხის გასაგონად ვთქვი, რათა
ირწმუნონ, რომ შენ წარმომგზავნე.
43 და ეს რომ თქვა, დიდი ხმით
დაიძახა: ლაზარე გამოდი! 44 გამ-
ოვიდა მიცვალებული, ხელ-ფეხი
სახვევებით ჰქონდა შეკრული და
სახეც სუდარით ჰქონდა შეხვეული.
იესო ეუბნება მათ: გახსენით, გაუშ-
ვით იაროს. 45 მაშინ მარიამთან
მისულმა ბევრმა იუდეველმა, იხილა
რა, თუ რა მოახდინა, ირწმუნა იგი.
46 ზოგიერთნი კი წავიდნენ ფა-
რისევლებთან და უთხრეს რა მოახ-
დინა იესომ.

რაზე გვმართებს დაფიქრება

რა მშვენიერია იმის ცოდნა, რომ იესოს ასე ძლიერად უყვარს თავისი მეგობრები! თქვენც მისი მეგობარი ხართ, თუ ისე იქცევით, როგორც ის გეუბნებათ (იოან. 5 : 14). ნაამბობ ისტორიაში იესოს მეგობრები, მარიამი და მართა, აღმოჩნდნენ სევდიან სიტუაციაში. გარდაიცვალა მათი ძმა ლაზარე. თავდაპირველად იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ იესოსათვის ეს სულერთია. გაქვთ ხოლმე თქვენ შეგრძნება, რომ ღმერთისთვის სულერთია ის მძიმე სიტუაცია, რომელშიც თქვენ აღმოჩნდით? მაგრამ ღმერთს არასოდეს სძინავს. მას ყოველთვის აქვს გეგმა. ჩვენ გამუდმებით მასზე უნდა დავდოთ ჩვენი იმედი იმაში, თუ როგორ გადაწყვეტს ის ჩვენს პრობლემებს, და ამას მისთვის განუზომელი დიდება მოაქვს.

ღმერთს აქვს გეგმა თქვენთვისაც. მას უნდა, რომ თქვენც თავის ძე იესოს დაგამსგავსოთ. „**ჩვენ კი ვიცით, რომ ღმერთის მოყვარულებს, მისი განზრახვით მოწოდებულებს ყოველივე ეწევა სასიკეთოდ. ვინაიდან რომელნიც წინასწარ იცნო, მათ წინასწარვე განუმზადა თავისი ძის ხატების მსგავსად ყოფნა, რათა იყოს პირმშო მრავალ ძმას შორის**“ (რომ. 8 : 28, 29). აი, რატომ უნდა გავიაროთ ჩვენი მძიმე დროებანი. „**რათა აღმოჩნდეს თქვენი გამონაცადი რწმენა, ცეცხლში გამოცდილ დაღუპვად ოქროზე ბევრად ძვირფასი, ქების, პატივისა და დიდებისათვის იესო ქრისტეს გამოჩენისას**“ (1 პეტ. 1 : 7).

იესოს უნდოდა მარიამის, მართასა და ჩვენთვისაც ესწავლებინა, რომ მისი რწმენა ნიშნავს, ჩვენ არასოდეს მოვკვდებით. როცა იესოს მორწმუნენი კვდებიან, ისინი „**სხეულს განშორდებიან**“ და „**უფალში დაბინავდებიან**“ (2 კორ. 5 : 8).

იესომ დაამტკიცა, რომ მას შეუძლია დაუბრუნოს მკვდარი სიცოცხლეს უბრალოდ მისთვის სახელის დაძახებით. (ლაზარემ გაიგონა იესოს ხმა, რომელიც ეძახდა მას და გაცოცხლდა). როცა იესო კვლავ დაბრუნდება დედამიწაზე „**მკვდრები მოისმენენ ღმერთის ძის ხმას და მსმენელნი გაცოცხლდებიან**“ (იოან. 5 : 25).

ახლაც კი იესო აკაკუნებს თქვენი გულის კარზე. „**აი, ვდგავარ კართან და ვაკაკუნებ. თუ ვინმე მოისმენს ჩემს ხმას და გააღებს კარს, შევალ მასთან**“ (გამოც. 3 : 20). ის ვინც გაიგონებს მის ხმას და გაუღებს კარებს, გახდება ახალი ქმნილება. „**და თქვენც, მკვდრები რომ იყავით თქვენი დანაშაულით და ცოდვებით . . . გაგვაცხოველმყოფელა . . .**“ (ეფეს. 2 : 1, 5).

თქვენც ასევე ჩასთვალეთ თქვენი თავი ცოდვისათვის მკვდრებად და ღმერთისათვის ცოცხლებად ქრისტე იესოში. მაშ, ნუ იმეფებს ცოდვა თქვენს მოკვდავ სხეულში მის გულისთქმათა დასამორჩილებლად. ნურც მისცემთ თქვენს ასოებს ცოდვას უმართლობის იარაღად. არამედ მიართვით ღმერთს თქვენი თავი, როგორც მკვდრეთით გაცოცხლებულნი, და თქვენი ასოები სიმართლის იარაღად ღმერთს" (რომ. 6 : 11–13).

სასწაული, რომელიც ითხოვდა მორჩილებას

შეგხვედრიათ თქვენ უიმედო სიტუაცია, რომელიც მოითხოვს სასწაულს? იესოს შეუძლია, „ღმერთის დიდებისათვის" დაუშვას თქვენს ცხოვრებაში მრავალი მძიმე გამოცდა. მაგრამ არასოდეს დაივიწყოთ, რომ მას თქვენ უყვარხართ ისევე, როგორც მარიამი და მართა. შესაძლოა ის გეგმავს სასწაულს, რომელსაც თქვენ არც ელით. აღნიშნეთ, რომ ახალი სიცოცხლის სასწაულისათვის აუცილებელია მორჩილება. იესომ თქვა: „ასწიეთ ლოდი", და თუმცა ხალხი ფიქრობდა, რომ ეს უაზრობაა, ისინი დაემორჩილნენ. ამის შემდეგ ლაზარე გამოვიდა და იესომ თქვა: „გახსენით, გაუშვით იაროს."

რომ ვიხილეთ ღმერთის დიდების ძალაუფლება, ჩვენც უნდა ვიყოთ მორჩილნი წვრილმანებშიც კი, რაზეც სულიწმიდა გვეუბნება, რომ საჭიროა მათი შესრულება. თუ ჩვენ გვმართებს ვინმეს ვთხოვოთ პატიება, მაშინაც კი თუ ჩვენ ნახევრად დამნაშავენი ვართ, ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ. შეიძლება ეს იყოს ლოდი, რომელიც უნდა გადავწიოთ, რომ იესომ შეძლოს სასწაულის მოხდენა სხვა ადამიანის გულში. და როცა იესო მოახდენს სასწაულს, მოდით სიყვარულით დავეხმაროთ ამ ადამიანს განთავისუფლდეს იმისაგან, რაც ხელს შეუშლის სრულ თავისუფლებაში. რა დიდებულია, რომ იესომ მისცა საშუალება თავის მეგობრებს დახმარებოდნენ მას სასწაულის ქმნაში!

ისტორია 17. სინედრიონი წყვეტს იესოს მოკვლას

იოანე 11 : 47–53

47 მაშინ მღვდელმთავრებმა და ფარისევლებმა შეკრიბეს სინედრიონი და თქვეს: რა ვქნათ, რამეთუ ეს კაცი ბევრ სასწაულებს ახდენს? 48 თუ მივუშვებთ თავისთვის, ყველა ირწმუნებს მას. მოვლენ რომაელები და დაიპყრობენ ჩვენს ადგილსაც და ერსაც. 49 ერთმა მათგანმა, კაიაფამ, რომელიც იმ წლის მღვდელმთავარი იყო, უთხრა მათ: თქვენ არაფერი გაგეგებათ, 50 ვერ მოგიფიქრებიათ, რომ ჩვენთვის უმჯობესია მოკვდეს ერთი ადამიანი ხალხისათვის, ვიდრე მთელი ერი დაიღუპოს. 51 ეს თავისით არ უთქვამს, არამედ მღვდელმთავარი იყო იმ წლისა და იწინასწარმეტყველა, რომ იესო ერისათვის მოკვდებოდა. 52 და არა მარტო ერისათვის, არამედ იმისთვის, რომ ღმერთის შვილები, გაფანტულნი, შეეკრიბა ერთად. 53 იმ დღიდან გადაწყვიტეს მოეკლათ იგი.

იესოს მეფედ მიღების უარყოფა

მღვდელმთავართა და ფარისეველთა საბჭომ იცოდა იესოს სასწაულების შესახებ. მათ ესმოდათ, როგორ ასწავლიდა ის, რომ ერთია მამასთან და რომ ის აბრაამამდეც იყო (იოან. 8 : 58), მაგრამ არ შეეძლოთ ერწმუნათ, რომ იესო ისრაელისათვის შეპირებული მეფე იყო.

ამ ისტორიაში საუბარია იმაზე, რომ იუდეველი ლიდერები არ იყვნენ მზად იმისათვის, რომ უარი ეთქვათ თავიანთ მდგომარეობაზე. ისინი ჰგავდნენ უმართლო მონებს იგავისა, რომელსაც მოჰყვა იესო. მონებმა თქვეს: „არ გვინდა, რომ მან იმეფოს ჩვენზე“ (ლუკა. 19 : 14). ასევე იუდეველმა ლიდერებმა გადაწყვიტეს მოემზადებინათ ერთი ადამიანი — იესო — სიკვდილისათვის, რომ გადაერჩინათ მთელი ერი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ისინი ვერაფრის გაკეთებას შეძლებდნენ, იესო რომ არ ყოფილიყო მზად გაეწირა თავისი სიცოცხლე.

ჯერ კიდევ მანამ, სანამ ქვეყნიერება შეიქმნებოდა, ღმერთის მიზანი იესოსათვის იყო არა მარტო ისრაელის გადარჩენა, არამედ მთელი მსოფლიოსი! **„უფალმა ინება მისი ტანჯვა და სნება შეჰყარა. როცა გასწირავს მის სიცოცხლეს ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად, იხილავს იგი თვის ნაგრამს, გაუხანგრძლივდება დღეები, უფლის ნება მისი ხელით წაიმართება“** (ეს. 53 : 10).

ისტორია 18. ამბავი ძვირფას საჩუქარზე

იოანე 12 : 1–8

1 პასექამდე ექვსი დღით ადრე მოვიდა იესო ბეთანიაში, სადაც იყო ლაზარე, რომელიც იესომ აღადგინა მკვდრეთით. 2 მას სერი მოუმზადეს იქ. მართა ემსახურებოდა, ლაზარე კი მისი ერთ-ერთი მეინახე იყო. 3 მარიამმა აიღო ერთი ლიტრა სუფთა, ძვირფასი ნარდის ნელსაცხებელი, იესოს ფეხებზე სცხო და საკუთარი თმით შეუმშრალა ფეხები. სახლი ნელსაცხებლის სუნით აივსო. 4 და თქვა იუდა ისკარიოტელმა, ერთმა მის მოწაფეთაგან, რომელსაც მოუწევდა მისი გაცემა. 5 რატომ არ გაიყიდოს ეს ნელსაცხებელი სამას დინარად და არ დაურიგდეს ღარიბებს? 6 ეს ღარიბებისადმი ზრუნვის გამო კი არ თქვა, არამედ იმიტომ, რომ ქურდი იყო. ყულაბა მას ჰქონდა — რასაც ჩადებდნენ, ის იღებდა.

7. იესომ უთხრა: დაანებე თავი, ჩემი დამარხვის დღისთვის გადაინახა იგი. 8 რადგან ღარიბნი ყოველთვის თქვენთანა გყავთ, მე კი არა გყავართ ყოველთვის.

იესო ღირსია ნებისმიერი პატივისცემისა

როცა იესომ აღადგინა ლაზარე, იუდეურმა სინედრიონმა გადაწყვიტა, რომ ის უნდა მომკვდარიყო. იესოს მეგობრები ისეთი ბედნიერნი იყვნენ და ისე ძლიერ სურდათ შეექოთ იგი, რომ მოაწყვეს სპეციალური სერობა მის საპატივცემოდ. ახლა მარიამმა იცოდა, სინამდვილეში ვინც იყო იესო. თავისი სიყვარულის გამო მის მიმართ მან შესწირა ძვირფასი ნელსაცხებელი, რომელიც 300 დღის სამუშაოს ანაზღაურების ტოლფასი იყო. მარიამმა გაიგო იესოს სიტყვები, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ის ჯვარცმული იქნება (მათ. 26 : 2).

„შენ ღირსი ხარ, უფალო და ღმერთო ჩვენო, რომ მიიღო დიდება, პატივი და ძალა, ვინაიდან შენ შექმენი ყოველივე და შენი ნებით იყვნენ და იქმნენ“ (გამოც. 4 : 11).

იოანე ჩვენ გვაძლევს საშუალებას დავინახოთ რა ხდება ზეცაში, როცა

ყველა გამოსყიდული ყოველი შტოდან, ერიდან და ხალხიდან შეუერთდებიან ანგელოზებს, რომ განადიდონ იესო: „**ღირსია დაკლული კრავი მიიღოს ძალა და სიმდიდრე, სიბრძნე და სიმაგრე, დიდება, პატივი და კურთხევა**“ (გამოც. 5 : 12). იესო ღირსია ყოველგვარი ქებისა და პატივისა, რომლის აღვლენაც მისთვის ძალგვიძს ჩვენ!

საჩუქრები, რომლების მიცემაც შეგვიძლია იესოსათვის

რისი მიცემა შეგვიძლია ჩვენ იესოსათვის, რომ გამოვხატოთ საკუთარი სამადლობელი თაყვანისცემა? მოციქული პავლე ამბობს: „**ამრიგად, შეგაგონებთ, ძმებო, ღმერთის მოწყალებით, რომ უძღვნათ თქვენი სხეულები ცოცხალ და წმინდა, ღმერთისათვის სასურველ მსხვერპლად, — თქვენი გონივრული მსახურება და ნუ დაემსგავსებით ამ წუთისოფელს, არამედ შეიცვალეთ თქვენი გონების განახლებით, რათა შეიცნოთ რა არის ღმერთის ნება — კეთილი, სასურველი და სრულყოფილი**“ (რომ. 12 : 1, 2). მოდით, გადავცეთ ჩვენი სხეულები იესოს, რომ იმისათვის ვიცხოვროთ, რათა ვასიამოვნოთ მას, მოდით, გადავცეთ მას ჩვენი გონება, რომ ვიფიქროთ მისი აზრებით, მისი სიტყვით და მისი საქმით, იმის მაგივრად, რომ ვიფიქროთ ამქვეყნიურზე.

რა თქმა უნდა, გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც იფიქრებენ, რომ ფუჭად ხარჯავენ თავიანთ ცხოვრებასა და ნიჭებს, როცა ემსახურებიან ღმერთს. ხომ ფიქრობდა იუდა, რომ მარიამის შეწირული საჩუქარი ფუჭი იყო? მაგრამ სად არის ახლა იუდა? „**კურთხეულია მართლის მოსაგონარი, ხოლო ბოროტეულთა სახელი დალპება**“ (იგავ. 10 : 7), „**საუკუნოდ გასახსენებლად იქნება მართალი**“ (ფს. 111 : 6).

როცა ჩვენ ვიჩენთ ჩვენს სიყვარულს ქრისტიანი ძმების მიმართ, ჩვენ პატივს მივაგებთ მათში მცხოვრებ ქრისტეს. მოექცევით თქვენ თქვენს ქრისტიან მშობლებს, ქმარს, ცოლს, ან ბავშვებს ისევე, როგორც იესოს მოექცეოდით? ჩვენ პატივს მივაგებთ იესოს მაშინაც, როცა გვიყვარს ჩვენი მტრები, იმიტომ რომ მან გვთხოვა ასე მოვქცეულიყავით (მათ. 5 : 44).

ქრისტეს ისე ძლიერად ვუყვარვართ ჩვენ, რომ შესწირა სიცოცხლე *ჩვენთვის* „**შესაწირავად და მსხვერპლად, სასიამოვნო კეთილსურნელებად**“ (ეფეს. 5 : 2). „**მაშ, მუდამ შევწიროთ მისი საშუალებით ღმერთს ქების მსხვერპლი, ესე იგი, მისი სახელის აღმსარებელ ბაგეთა ნაყოფი**“ (ებრ. 13 : 15).

იოანე 12 : 12–16

12 მეორე დღეს სადღესასწაულოდ მოსულმა დიდძალმა ხალხმა გაიგო, რომ იესო მოდის იერუსალიმშიო. 13 აიღეს პალმის ტოტები, მის შესაგებებლად გავიდნენ და იძახოდნენ: ოსანა! კურთხეული არს უფლის სახელით მომავალი. 14 იესომ ერთი ჩოჩორი იპოვა და ამხედრდა ზედ, როგორც დაწერილია: 15 ნუ გეშინია, სიონის ასულო. აი, შენი მეფე მოდის ჩოჩორზე ამხედრებული. 16 პირველად ვერ გაუგეს მოწაფეებმა, მაგრამ როცა იესო განდიდდა, მაშინ გაიხსენეს, რომ ესენი მასზე იყო დაწერილი და ეს გაუკეთეს მას.

იესო დაბრუნდა როგორც განდიდებული მეფე

ძველი აღთქმის წინასწარმეტყველმა თქვა: „**იხარე დიდად, სიონის ასულო! დაეცი ყიჟინა, იერუსალიმის ასულო! აჰა, შენი მეფე მოდის შენთან, მართალი და გამარჯვებული. თვინიერია ის და ამხედრებულია სახედარზე და ჩოჩორზე, ხრდალი ვირის ნაშიერზე**“ (ზაქ. 9 : 9). დიახ, იესოს მოვლინება როგორც ადამიანისა, მხსნელისა, მონისა ნათლად იყო ნაწინასწარმეტყველები წინასწარმეტყველების მიერ. 300 წინასწარმეტყველებაზე მეტი აღსრულდა იესოს ცხოვრებაში, მის სიკვდილში და აღდგომაში. მაგრამ სამჯერ მეტი წინასწარმეტყველება უნდა შესრულდეს, როცა იესო დაბრუნდება, როგორც განდიდებული მეფე, რომ მართოს მსოფლიო 1000 წელი (გამოც. 20 : 4).

„**იმიტომ, რომ თვითონ უფალი გამოვა ციდან ბრძანების სიტყვით, მთავარანგელოზის ხმით და ღმერთის ბუკით და უწინ ქრისტეში განსვენებულები აღდგებიან; შემდეგ ჩვენ, ცოცხლად დარჩენილები, მათთან ერთად ვიქნებით ზეატაცებულნი ღრუბლებში, რათა ჰაერში შევეგებოთ უფალს და ამგვარად უფალთან ვიქნებით მარადის**“ (1 თეს. 4 : 16, 17). „ . . . **უფალ იესოს გამოცხადებაში ციდან, მისი ძალის ანგელოზებითურთ, რომელიც ცეცხლის ალით იძიებს შურს მათზე,**

ვინც არ შეიცნო ღმერთი და არ ემორჩილება უფლის იესოს სახარებას“ (2 თეს. 1 : 7, 8).

მზად ხართ მისი მოსვლისათვის

ღმერთი ყოველთვის ასრულებს თავის დანაპირებს. მან გადადო თავისი მოსვლა, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი გადარჩენილიყო. „**ის სულგრძელია თქვენდამი და არ უნდა რომ ვინმე დაიღუპოს, არამედ, რომ ყველა მივიდეს მოსანანიებლად**“ (2 პეტ. 3 : 9). ის მალე მოვა! მზად ხართ თქვენ იცხოვროთ წმინდა ცხოვრებით და მოიყვანოთ მასთან სხვა ხალხიც? „**ხოლო მოვა უფლის დღე ქურდივით და მაშინ ზეცანი გრგვინვით გადაივლიან, გავარვარებული საწყისები დაიშლებიან, დედამიწა და მისი საქმენი, რაც მასზეა, დაიწვებიან. და თუ ყოველივე ასე დაინგრევა, როგორიღა უნდა იყოთ წმინდა ქცევით და ღვთისმოსაობით თქვენ**“ (2 პეტ. 3 : 10, 11).

ისტორია 20. ამბავი ხორბლის მარცვალზე

იოანე 12 : 24–26



24 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ მიწაში ჩავარდნილი ხორბლის მარცვალი არ მოკვდა, მარტო დარჩება და თუ მოკვდა ბევრ ნაყოფს გამოიღებს. 25 ვისაც თავისი სიცოცხლე უყვარს, კარგავს მას. ხოლო ვისაც თავისი სიცოცხლე სძულს ამ ქვეყნიერებაზე, შეინახავს საუკუნო სიცოცხლისათვის. 26 ვინც მე მემსახურება, დაე, მომყვეს მე და სადაც მე ვარ, ჩემი მსახურიც იქ იქნება. ვინც მე მემსახურება, მას პატივს სცემს მამა.

რას ნიშნავს მოკვდე

აღდგომის ძალის მოსვლამდე მოდის სიკვდილი. ასე მოხდა ქრისტესთან, ასე ხდება ჩვენს შემთხვევაშიც. მოციქულმა პავლემ აგვიხსნა ჩვენ, რას ნიშნავს საკუთარი თავისათვის სიკვდილი ქრისტეს გამო. „**მაგრამ, რაც ჩემთვის მოგება იყო, ის წაგებად ჩავთვალე ქრისტეს გულისათვის. რათა შევიცნო იგი და მისი აღდგომის ძალა**“ (ფილ. 3 : 7, 10).

ძალიან ხშირად ქრისტესადმი მორჩილება ნიშნავს, რომ უნდა დაიმარხონ რომელიღაც პირადი სურვილები. მაგრამ როცა საკუთარი „მე“ კვდება, ჩვენში იწყებს მოქმედებას ქრისტეს ძალა. ჩვენ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ჩვენი ძველი „მე“ ჯვარცმულია ქრისტესთან ერთად; ჩვენი ახალი „მე“ იწყებს სიცოცხლეს რწმენით, როგორც კი დავადგებით მორჩილების გზას. **„მე ქრისტესთან ერთად ჯვარცმული ვარ. მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში, და რომ ახლა ხორციელად ცოცხალი ვარ, ვცოცხლობ რწმენით, ღმერთის ძეში, რომელმაც მე შემიყვარა და თავი მისცა ჩემთვის“** (გალ. 3 : 19, 20). **„ვინაიდან, თუ ხორციელად ცხოვრობთ, სიკვდილი არ აგცდებათ, ხოლო თუ სულით აკვდინებთ ხორციელ საქმეებს (უსჯით სიკვდილს), იცოცხლებთ** (რომ. 8 : 13). მიეცით საშუალება სულიწმიდას, რომ წაგმართოთ თქვენ იქითკენ, რომ თქვენ სიკვდილისათვის უნდა გაამზადოთ თქვენი ცხოვრების მავნე ჩვევები და არასწორი შეხედულებანი. თუ თქვენ ამოირჩევთ ყველაფერ ამის მკვდრად ჩათვლას და დაადგებით მორჩილების გზას, თქვენ აღმოაჩენთ, რომ ღმერთის ძლიერება წაგმართავთ განახლებული ცხოვრებისაკენ, აღგჭურვავთ რა თქვენ ძალით ახალი ჩვევების და შეხედულებების შეძენისათვის. ეს მოგცემთ საშუალებას იხილოთ გამარჯვება თქვენს ცხოვრებაში. **„იმიტომ, რომ ღმერთი იქმს თქვენში სურვილსაც და მოქმედებასაც თავისი სათნოებით“** (ფილ. 2 : 13).

ისტორია 21. იესო ასწავლის თავის მოწაფეებს საკუთარ მაგალითზე და მათთვის ალთქმების მიცემით

იოანე 13 : 3–17, 34–35

3 იესომ, იცოდა რა, რომ მამამ ყველაფერი მისცა მას ხელთ, და ღმერთისაგან მოვიდა და ღმერთთან მიდის. 4 წამოდგა სერობიდან, გადადო ზემო სამოსელი, აიღო პირსახოცი და წელზე შემოირტყა. 5 შემდეგ ჩაასხა წყალი საბანებელში და დაიწყო მოწაფეების ფეხის ბანა და შემშრალება პირსახოცით, რომელიც წელზე ჰქონდა შემორტყმული.

6 მივიდა სიმონ-პეტრესთან, მან კი უთხრა: უფალო, შენ უნდა დამბანო

ფეხები? 7 იესომ უთხრა პასუხად: რასაც ვაკეთებ ახლა არ იცი, შემდეგ გაიგებ. 8 პეტრემ უთხრა: არასოდეს არ დამბან ფეხებს. იესომ უთხრა: თუ არ დაგბან, ჩემთან არ გექნება წილი. 9 სიმონ-პეტრემ უთხრა: უფალო, ჩემი მარტო ფეხები კი არა, არამედ ხელებიც და თავიც. 10 იესომ უთხრა: განბანილს აღარ სჭირდება დაბანა, გარდა ფეხებისა, რადგან ის მთლად წმინდაა და თქვენც წმინდა ხართ, მხოლოდ ყველა არა. 11 რადგან იცოდა ვინ გასცემდა. ამიტომ თქვა: ყველანი არა ხართ წმინდანი. 12 ფეხები რომ დაბანა მათ და თავისი სამოსელი აიღო და კვლავ დაჯდა, უთხრა მათ, იცით რა გაგიკეთეთ? 13 თქვენ მე მიწოდებთ მოძღვარს და უფალს, სწორად ამბობთ, რადგან ვარ მე. 14 ამიტომ, თუკი მე, მოძღვარმა და უფალმა დაგბანეთ ფეხები, თქვენც ერთმანეთს უნდა დაბანოთ ფეხები; 15 რადგან მაგალითი მოგეცით, რათა, როგორც მე გაგიკეთეთ, თქვენც გააკეთოთ. 16 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მონა არაა თავის ბატონზე დიდი და წარმოგზავნილი არაა დიდი იმაზე, ვინც ის წარმოგზავნა. 17 თუ ეს იცით, ნეტარ ხართ თქვენ, თუ ამას გააკეთებთ.

34 ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ: რათა გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი. 35 ჩემი მოწაფეები რომ ხართ, იმით გაიგებენ ყველანი, თუ სიყვარული გექნებათ ურთიერთშორის.

შეასრულეთ დავალება

რა ორ რამეს ასწავლიდა იესო მოწაფეებს თავისი პირადი მაგალითით?

1. მან თქვა: „თუკი მე მოძღვარმა და უფალმა, _____ _____ თქვენ, თქვენც ერთმანეთს უნდა _____ “ (14).

2. მან აგრეთვე უთხრა: „როგორც მე _____ თქვენ, თქვენც ასე _____ ერთმანეთი“ (34).

ბედნიერების საიდუმლო

იესომ თქვა, რომ ჩვენ ბედნიერნი ვიქნებით, თუ მივბაძავთ მის მაგალითს და მოვემსახურებით სხვებს. რა სურათია! ხედავდე წელში მოხრილ შემოქმედს, რომელიც მონის სამუშაოს ასრულებს, აშორებს მტვერს თავისი მოწაფეების ფეხებიდან! **„რამეთუ აზრები, რაც ქრისტეშია, იყოს თქვენ შორისაც. ის, თუმცა ღმერთის ხატება იყო, მტაცებლობად არ თვლიდა ღმერთის თანასწორად ყოფნას. არამედ დაიმაბუნა თავი და მიიღო მონის**

ხატება, გახდა კაცის მსგავსი და შესახედაობით კაცს დაემსგავსა. დაიმდაბლა თავი და მორჩილი გახდა თვით სიკვდილამდე, და ჯვარცმით სიკვდილამდე. ამიტომ ღმერთმაც აღამაღლა იგი . . .“ (ფილ. 2 : 5–9).

მოდით ველოდოთ მოსახერხებელ მომენტს, რომ ვემსახუროთ სხვებს, ვუპასუხებთ რა მათ საჭიროებებს. თუ ჩვენ ამას გავაკეთებთ, ჩვენ ბედნიერნი ვიქნებით. მსახურება და სიყვარული სხვებისადმი უჩვენებენ, რომ ჩვენ სინამდვილეში ქრისტეს მიმდევარნი ვართ, იმიტომ რომ ეს სწორედ ისაა, რაც მას ჩვენგან უნდოდა.

ისტორია 22. ხუთი საოცარი აღთქმა

1) იოანე 14 : 1–3, 6

1 ნუ შეკრთება თქვენი გული. იწამეთ ღმერთი და მიწამეთ მე. 2 მამაჩემის სახლში ბევრი სავანეა. ეს რომ ასე არ იყოს გეტყოდით: მე მივდივარ, რათა ადგილი მოგიმზადოთ. 3 როდესაც წავალ და ადგილს მოგიმზადებთ, ისევ მოვალ და ჩემთან წაგიყვანთ, რათა, სადაც მე ვარ, იყოთ თქვენც. 6 იესომ უთხრა: მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე. მამასთან ვერავინ მივა, თუ არა ჩემს მიერ.

2) იოანე 14 : 12

12 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვისაც მე ვწამვარ, საქმეებს, რასაც მე ვაკეთებ, ისიც გააკეთებს და იმაზე დიდსაც გააკეთებს, რადგან მე მამასთან მივდივარ.

3) იოანე 14 : 13–14

13 რასაც სთხოვთ ჩემი სახელით, ამას გავაკეთებ, რათა განდიდდეს მამა ძეში. 14 თუ რამეს მთხოვთ ჩემი სახელით, გავაკეთებ.

4) იოანე 14 : 15–17

15 თუ მე გიყვარვართ, ჩემი მცნებანი დაიცავით. 16 და მე მამას შევევედრები და ის სხვა ნუგეშისმცემელს მოგცემთ, რათა თქვენთან იყოს საუკუნოდ – 17 ჭეშმარიტების სულს, რის მიღებაც არ შეუძლია ქვეყნიერებას, რადგან არ ხედავს და არ იცნობს მას; თქვენ კი იცნობთ მას, რადგან თქვენთან რჩება და თქვენში იქნება.

5) იოანე 14 : 27

27 მშვიდობას გიტოვებთ თქვენ. ჩემს მშვიდობას გაძლევთ თქვენ. ქვეყნიერება რომ იძლევა, ისე კი არ გაძლევთ. და ნუ შეკრთება თქვენი გული და ნურც შეშინდება.

1. იესო შეგვპირდა მოგვიმზადოს ადგილი მათ, ვინც მიგყვებით მას (იოან. 14 : 1–3, 6).

2. იესო შეპირდა თავის მორწმუნეთ, რომ ისინი მოიმოქმედებენ დიდ საქმეებს, იმიტომ რომ ის დატოვებს მათ და წავა მამასთან. მისი სული, რომელიც მორწმუნეებშია აღასრულებს საქმეებს უფრო დიდს, ვიდრე მოიმოქმედა იესომ, როცა დედამიწაზე მცხოვრები ადამიანი იყო (იოან. 14 : 12).

3. იესო შეგვპირდა მოგვცეს მისი კუთვნილი **საოცარი ძალა ლოცვისა** (იოან. 14 : 13, 14).

4. იესო შეპირდა თავის მოწაფეებს ჭეშმარიტების სულს. როცა სულიწმიდა გადმოვა, იესო ქრისტე იქნება ყოველ მორწმუნეში და არა უბრალოდ მათთან (იოან. 14 : 15–17).

5. იესო დაგვპირდა მშვიდობას **უფრო აღმატებულს,** ვიდრე ქვეყნიერება შეუძლია მოგვცეს (იოან. 14 : 27). ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს, რადგან **„ის ვინც თქვენშია, უფრო მეტია იმაზე, ვინც ქვეყნიერებაზეა“** (1 იოან. 4 : 4).

შეასრულეთ დავალება

ა) ყურადღებით გადაიკითხეთ ეს მუხლები კიდევ ერთხელ, წარმოიდგინეთ რა, რომ იესო გეუბნებათ მათ სწორედ თქვენ. ქაღალდის ფურცელზე ჩაიწერეთ ყველაფერი, რასაც ის ან სულიწმიდა გააკეთებენ თქვენთვის.

ბ) ამოირჩიეთ სამი, თქვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მუხლი იოანეს მე–14 თავიდან და შეისწავლეთ ისინი ზეპირად. ქვემოთ ჩამოწერეთ ამ მუხლების ნომრები.

ისტორია 23. ამბავი ვაზზე

იოანე 15 : 1–11

1 მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, მამა-
ჩემი კი — მევენახე. 2 ყოველ უნაყ-
ოფო ლერწს ჩემზე ის მოაშორებს,
და ყოველ მომტანს კი განწმენდს,
რათა მეტი ნაყოფი გამოიღოს. 3
თქვენ უკვე წმინდანნი ხართ იმ
სიტყვით, რაც გითხარით. 4 თქვენ
ჩემში დარჩით, მე კი — თქვენში,
როგორც ლერწი ვერ მოისხამს ნაყ-
ოფს თავისით, თუ ვაზზე არ დარჩება,
ისე თქვენ, თუ ჩემში არ დარჩებით.
5 მე ვაზი ვარ, თქვენ კი — ლერწე-
ბი. ვინც ჩემში რჩება და მე მასში,
იგი ბევრ ნაყოფს გამოიღებს, რადგან

უჩემოდ არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ. 6 ვინც ჩემში არ დარჩება, გარეთ გადაიგდება, როგორც ლერწი, და დაჭკნება და მოაგროვებენ მათ, ცეცხლში ჩაყრიან და დაიწვებიან. 7 თუ ჩემში დარჩებით და ჩემი სიტყვები თქვენში დარჩებიან, რასაც კი ისურვებთ, ითხოვეთ და გექნებათ. 8 ამით განდიდდება მამაჩემი, თუ ბევრ ნაყოფს გამოიღებთ და ჩემი მოწაფეები იქნებით. 9 როგორც მამამ მე შემიყვარა, და მე შეგიყვარეთ თქვენ. დარჩით ჩემს სიყვარულში! 10 თუ ჩემს მცნებებს დაიცავთ, ჩემს სიყვარულში დარჩებით, როგორც მე დავიცავი მამაჩემის მცნებები და დავრჩი მის სიყვარულში. 11 ეს ყველაფერი იმიტომ გითხარით, რომ ჩემი სიხარული იყოს თქვენში და იყოს თქვენი სიხარული სრულყოფილი.

ქრისტეში ყოფნა

თუ თავდაპირველად, ვირწმუნეთ რა იესო, ჩვენ მივიღეთ მისგან პატიება, განწმენდა და ახალი სიცოცხლე, ჩვენ მისი სულით ცხოვრება უნდა *გავაგრძელოთ* მთელი ჩვენი ქრისტიანობის მანძილზე. ჩვენ არასოდეს არ უნდა ვიფიქროთ, რომ შევძლებთ ცხოვრებას საკუთარ ძალებზე და შესაძლებლობებზე დაყრდნობით. პავლემ თქვა: „**ნუთუ იმდენად უგუნურნი ხართ, რომ სულით დაიწყეთ და ახლა ხორციელად ამთავრებთ**“ (გალ. 3 : 3).

ზოგჯერ იესოს უხდება გაგვწმინდოს ანუ „შეგვაჭრას“ ჩვენ. ეს შესაძლოა ნიშნავდეს, რომ ჩვენ გვიწევს გავლა გასაჭირსა და გამოცდაში. მაგრამ მას მხოლოდ ერთი სურს — გაგვხადოს ჩვენ უფრო *ნაყოფიერნი*. „**ყოველი წვრთნა ამჟამად სიხარულად კი არ გვეჩვენება, არამედ მწუხარებად, მაგრამ შემდგომში სიმართლის მშვიდობიან ნაყოფს აძლევს, ვინც მისგან განისწავლა**“ (ებრ. 12 : 11).

რა არის სულის ნაყოფი

პავლე გვეუბნება ჩვენ, რომ „**სულის ნაყოფებია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სახიერება, სიკეთე, ერთგულება, რწმენა, სიმშვიდე, თვინიერება, თავშეკავება** (თვითკონტროლი)“ (გალ. 5 : 22, 23). თუ თქვენ ყოველდღიურად სთხოვთ იესოს განწმენდას, ხოლო სულიწმიდას — აგავსოთ თქვენ, თქვენი ცხოვრება სულ უფრო მეტ და მეტ ამ მშვენიერ ნაყოფებს მოიტანს. სიწმინდის ნაყოფი ითვისებს თავისში მადლიერებისა და სიხარულით სავსე გულს, მორჩილ სულს და აგრეთვე იმასაც, რომ ჩვენ იესოს ვაცნობთ სხვებს, ვაკეთებთ შესაწირავებს, სარგებლიანად ვხარჯავთ დროს, თამამად ვსაუბრობთ ღმერთის სიტყვაზე და ვხედავთ პასუხებს ჩვენს ლოცვებზე.

სერიოზული გაფრთხილება

იესო გვაფრთხილებს ჩვენ, რომ თუ ჩვენ *არ ვიმყოფებით* ქრისტეში, გარესკნელში გადაგდებულ ვიქნებით, როგორც ლერწები, დავჭკნებით, შეგვაგროვებენ და დაგვწვავენ. მხოლოდ ის, ვისაც მოაქვს ნაყოფები, იმყოფება რა ქრისტეში, არის მისი მოწაფე (მუხლი 6 და 8). მოციქული იუდა შეგვახსენებს ჩვენ: „**მინდა შეგახსენოთ, უკვე ყველაფრის მცოდნეთ, რომ უფალმა იხსნა ხალხი ეგვიპტის მიწიდან და შემდეგ დაღუპა ურწმუნონი**“ (იუდა 5).

თუმცა თავისთავად ნაყოფების მოცემა ჩვენ არ შეგვიძლია, ძალიან სასარგებლოა ვიხედებოდეთ ღმერთის სიტყვაში ისე, როგორც ვიხედებით სარკეში: „**საკუთარი თავი გამოსცადეთ, თუ ხართ რწმენაში? საკუთარი თავი გამოარკვიეთ. ნუთუ არ იცნობთ საკუთარ თავს, რომ იესო ქრისტე თქვენშია? თუ არა, მაშ, გამოცდას ვერ უძლებთ**“ (2 კორ. 13 : 5). თუ იესოს სიტყვა იმყოფება ჩვენში და ჩვენც ვემორჩილებით მას, რასაც ის გვეუბნება, ჩვენ დავრჩებით მის სიყვარულში (იოან. 15 : 10). თუ ჩვენ ვიცით, რომ სულიწმიდა იმყოფება ჩვენში, ჩვენ არაფრის არ უნდა გვეშინოდეს, იმიტომ რომ სულიწმიდა არის *გარანტია* და *დარწმუნება* იმაში, რომ ჩვენ უფლისანი ვართ. გახსოვდეთ, რომ სიყვარული ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია: „**ღმერთი — სიყვარულია, ხოლო სიყვარულში დარჩენილი ღმერთში რჩება და ღმერთი რჩება — მასში**“ (1 იოან. 4 : 16). ღმერთს უყვარხართ თქვენ. იცხოვრეთ ამ სიყვარულში!

ისტორია 24. ამორჩეულნი, რომ იყოთ მეგობრები

იოანე 15 : 12–17

12 ესაა ჩემი მცნება: რათა გიყ-
ვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგ-
იყვარეთ თქვენ. 13 იმაზე მეტი სიყ-
ვარული არავის გააჩნია, ვიდრე ვინც
თავის სულს დასდებს თავის მეგო-
ბრებისათვის. 14 თქვენ ჩემი მეგო-
ბრები ხართ, თუ გააკეთებთ რასაც
მცნებად გიდებთ. 15 მე აღარ გი-
წოდებთ მონებს, ვინაიდან მონამ არ
იცის რას აკეთებს მისი ბატონი.
არამედ მეგობრები გიწოდეთ, რადგან
ყველაფერი გამცნეთ, რაც მამაჩემის-
გან მოვისმინე. 16 თქვენ არ აგირჩე-
ვივართ, არამედ მე აგირჩიეთ თქვენ
და დაგადგინეთ, რათა წახვიდეთ და
ნაყოფი გამოიღოთ, და თქვენი ნაყ-
ოფი დარჩეს, რათა, რასაც კი სთხ-
ოვთ მამას ჩემი სახელით, მან მოგცეთ
თქვენ. 17 ამას გიდებთ მცნებად თქვენ,
რათა გიყვარდეთ ერთმანეთი.

ისტორია 25. იესო გვასწავლის ველოდოთ დევნებს

იოანე 15 : 18–25

18 თუ ქვეყნიერებას სძულხ-
ართ თქვენ, იცოდეთ, რომ თქვენზე
უწინ მე შემიძულა. 19 თქვენ რომ
ქვეყნიერებისაგან იყოთ, ქვეყნიერებას
ეყვარებოდა თავისი. და რაკი არ
ხართ ქვეყნიერებისაგან, არამედ მე
გამოგარჩიეთ ქვეყნიერებისაგან, ამი-
ტომ სძულხართ ქვეყნიერებას. 20
გაიხსენეთ სიტყვა, რომელიც გითხ-
არით: მონა არაა თავის ბატონზე
დიდი. მე თუ მდევნიდნენ, თქვენც
გაგდევნიან, თუ ჩემი სიტყვა დაი-
ცვეს, თქვენსასაც დაიცავენ. 21 მა-
გრამ ყველაფერ ამას გაგიკეთებენ
თქვენ ჩემი სახელის გულისთვის,
რადგან არ იცნობენ მას, ვინც მე
წარმომგზავნა. 22 მე რომ არ
მოვსულიყავი და არ მელაპარაკა
მათთან, არ ექნებოდათ ცოდვა. ახლა
კი არ აქვთ საბოდიშო თავისი ცოდ-
ვისათვის. 23 ჩემს მოძულეს მამა-
ჩემიც სძულს. 24 მე რომ არ მე-
კეთებინა მათ შორის საქმეები, რას-
აც სხვა ვერავინ აკეთებდა, ცოდვა
არც ექნებოდათ. ახლა კი იხილეს
და შეგვიძულეს მეც და მამაჩემიც.
25. მაგრამ, დაე, აღსრულდეს მათ
სჯულში დაწერილი სიტყვა: ტყ-
უილუბრალოდ შემიძულეს.

იოანე 16 : 1–3, 33

1 ეს ყველაფერი გითხარით, რათა
თქვენ არ ცდუნდეთ.
2 სინაგოგიდან მოგკვეთენ; მოდის
ჟამი, როცა თქვენ ყველა მკვლელს
ეგონება, რომ ამით ღმერთს ემსახუ-
რება.
3 ასე მოგექცევიან, რადგან არ
იცნეს არც მამა, არც მე.
33 ეს იმიტომ გითხარით, რათა
მშვიდობა იქონიოთ ჩემში. ქვეყნიერ-
ებაზე ჭირი გექნებათ, მაგრამ გამა-
გრდით, მე ვძლიე ქვეყნიერებას.

შეასრულეთ დავალება

1. ქვეყნიერებას სძულს ქრისტიანები, იმიტომ რომ ისინი არ _____ (15 : 19).

2. იესომ თქვა: „ჩემს მოძულეს _____ სძულს“ (15 : 23).

3. იმისდა მიუხედავად, რომ იესომ მოიმოქმედა მრავალი სასწაული დედამიწაზე ყოფნის პერიოდში, ურწმუნო ქვეყნიერებამ _____ და _____ იესოც და მამამისიც (15 : 24).

4. სინამდვილეში ქვეყნიერებამ შეიძულა იესო _____ (15 : 25).

5. დადგება დრო, რომ ყოველი _____ ქრისტიანისა იფიქრებს, რომ ამით ემსახურება _____ (16 : 2).

6. ადამიანები მოიქცევიან ასე, რადგან მათ არ _____ არც მამა და არც იესო (16 : 3).

7. და თუმცა ქვეყნიერებაზე ცხოვრებისას ჩვენ გვექნება ჭირი, ჩვენ არ უნდა დავღონდეთ, იმიტომ, რომ იესომ _____ ქვეყნიერებას (16 : 33).

ისტორია 26. იესო ლოცულობს ჩვენზე

იოანე 17 : 1–8, 15–26

1 ამის თქმის შემდეგ, იესომ
ცას მიაპყრო თვალები და თქვა: მამაო,
დადგა ჟამი, განადიდე შენი ძე, რათა
ძემ განგადიდოს შენ. 2 ისევე,
როგორც მიეცი მას ძალაუფლება
ყველა ხორციელზე, რათა ყველას,
რომლებიც მას მიეცი, ჰქონდეს საუკუ-
ნო სიცოცხლე. 3 ესაა საუკუნო
სიცოცხლე, რომ გიცნობდნენ შენ,
ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთს და
ვინც შენ წარმოგზავნე – იესო
ქრისტეს. 4 მე განგადიდე დედამი-
წაზე, შევასრულე შენი საქმე, რაც
მომეცი, რომ გამეკეთებინა. 5 ახლა
კი, შენ მამაო, განადიდე იმავე დიდებით,
რაც გამაჩნდა შენთან ქვეყნიერების
გამოჩენის წინ. 6 შენი სახელი ვაც-
ნობე ადამიანებს, რომლებიც შენ
მომეცი ქვეყნიერებისაგან. შენი იყ-

ვნენ ისინი და მე მომეცი და შენი სიტყვა დაიცვეს მათ. 7 ახლა შეიცნეს, რომ ყველაფერი, რაც მომეცი, შენგანაა; 8 რამეთუ სიტყვები, რომლებიც შენ მომეცი, მათ გადავეცი, მიიღეს მათ და სცნეს ჭეშმარიტად, რომ მე შენგან გამოვედი და ირწმუნეს, რომ წარმომგზავნე.

15 არ გევედრები, რომ ქვეყნიერებიდან წაიყვანო ისინი, არამედ რომ დაიცვა ბოროტისაგან. 16 ისინი არაამქვეყნიურნი არიან, როგორც მე ვარ არაამქვეყნიური. 17 განწმინდე ისინი ჭეშმარიტებით, შენი სიტყვა ჭეშმარიტებაა. 18 როგორც შენ წარმომგზავნე ქვეყნიერებაზე, ისე მე წარვგზავნე ისინი ქვეყნიერებაზე. 19 ჩემ თავს განვწმენდ მათთვის, რათა ისინიც წმინდა იყვნენ ჭეშმარიტებით. 20 მე მხოლოდ ამათზე არ გევედრები, არამედ იმათზე, ვისაც ჩემი სწამთ მათი სიტყვებით. 21 რათა ყველა ერთი იყოს, როგორც შენ ჩემში, მამაო, და მე — შენში, რათა ისინიც იყვნენ ჩვენში, რათა ირწმუნოს ქვეყნიერებამ, რომ შენ წარმომგზავნე. 22 და მე დიდება, რომელიც შენ მომეცი, მათ მივეცი, რათა ერთნი იყვნენ, როგორც ჩვენ ვართ ერთნი. 23 მე მათში და შენ ჩემში, რათა იყვნენ სრულყოფილნი ერთში და რათა

იცოდეს ქვეყნიერებამ, რომ შენ წარმომგზავნე და შეიყვარე ისინი ისე, როგორც მე შემიყვარე. 24 მამაო, მსურს, რომ სადაც მე ვარ, იქ იყვნენ ჩემთან ისინი, რომლებიც შენ მომეცი, რათა ნახონ ჩემი დიდება, რომელიც შენ მომეცი, იმიტომ რომ შემიყვარე ქვეყნიერების დაარსების წინ. 25 მამაო მართალო, და ქვეყნიერებამ არ შეგიცნო, მე კი შეგიცან, და ამათაც შეიცნეს, რომ შენ წარმომგზავნე. 26 და მე ვამცნე მათ შენი სახელი და ვამცნობ, რათა სიყვარული, რომლითაც შემიყვარე, იყოს მათში და მე მათში.

იესო ლოცულობს ჩვენთვის

ესაია წინასწარმეტყველმა თქვა, რომ მესია **„ავაზაკთათვის შუამდგომელი გახდება“** (ეს. 53 : 12). იესოს სურს საუკუნო სიცოცხლე მისცეს ყველას, ვინც მას მიიღებს (იოან. 17 : 2).

იესო ლოცულობს თავის მოწაფეებზე. ერთხელ მან უთხრა პეტრეს: **„სიმონ, სიმონ! აი, სატანამ ითხოვა, რომ ხორბალივით გაგცხრილონ. მაგრამ მე ვილოცე შენთვის. რომ არ გამოილიოს შენი რწმენა; და შენ როცა მოიქცევი გაამაგრე შენი ძმანი“** (ლუკ. 22 : 31, 32). და ახლა ისევ, სიკვდილის წინ, იესო ლოცულობს თავის მოწაფეებზე, რომ დაიცვას ისინი სატანისაგან. ამის გარდა, ის ლოცულობს ყველა იმათზე, ვინც მომავალ თაობებში ირწმუნებს მას, მისი ერთგული მოწაფეების დამოწმების წყალობით. ის ლოცულობს თქვენთვის!

ის ლოცულობს თქვენზე გამუდმებით. **„ამიტომაც ძალუძს სრულად გადაარჩინოს ყველა, ვინც მისი შუამდგომლობით მიუახლოვდება ღმერთს, ვინაიდან ცოცხალია მუდამ, რათა უშუამდგომლოს მათ“** (ებრ. 7 : 25). რა დიდებულია ჩვენი მხსნელი! როგორ ლოცულობს ის, რომ ჩვენ გვიყვარდეს ის და ერთმანეთი! დაე, დღესვე, მიიღეთ პასუხი ლოცვაზე თქვენს სახლებში, თქვენს ცხოვრებაში.

მოგვიანებით, როცა იესო ლოცულობდა გეთსამანიის ბაღში, ის სთხოვდა თავის მოწაფეებს: **„ნუთუ ვერ შესძელით, ერთი საათი გეფხიზლათ ჩემთან“** (მათ. 26 : 40). ატარებთ თქვენ ყოველდღიურად დროს იესოსთან განმარტოებით, ლოცულობთ რა დაკარგულებზე და მის სხეულზე — ეკლესიაზე? რა ბედნიერებაა ყოველდღიურად შეხვდე მას მადლის ტახტთან! **„მაშასადამე გაბედულად მიუახლოვდეთ მადლის ტახტს, რომ მივიღოთ წყალობა და ვპოვოთ მადლი დროული დახმარებისათვის“** (ებრ. 4 : 16).

ისტორია 27. იესოს აქვს ძალაუფლება თავის სიცოცხლეზეც და სიკვდილზეც

იოანე 10 : 17–18

17 იმიტომ ვუყვარვარ მამას, რომ მე ჩემს სიცოცხლეს ვდებ, რათა ისევ მივიღოთ იგი. 18 ვერავინ წამართმევს მას, მაგრამ მე თვით ვდებ მას. მე მაქვს ძალაუფლება, დავდო იგი და მაქვს ძალაუფლება, კვლავ მივიღოთ იგი. ეს მცნება მამაჩემისაგან მივიღე.

იოანე 19 : 4–11

4 კვლავ გამოვიდა პილატე გარეთ და უთხრა მათ: აი, მე გამომყავს იგი თქვენთან, რათა იცოდეთ, რომ ვერავითარ დანაშაულს ვერ ვპოულობ მასში. 5 მაშინ იესო გამოვიდა გარეთ ეკლის გვირგვინით და ძოწეულით შემოსილი. და პილატემ უთხრა მათ: აი, ადამიანი! 6 როდესაც იხილეს იგი მღვდელმთავრებმა და მსახურებმა, დაიყვირეს: ჯვარს აცვი! ჯვარს აცვი! პილატემ უთხრა: თქვენ წაიყვანეთ ის და ჯვარს აცვით, ვინაიდან მე ვერ ვპოულობ მასში დანაშაულს. 7 იუდეველებმა უპასუხეს: ჩვენ გვაქვს სჯული და ჩვენი სჯულის მიხედვით იგი უნდა მოკვდეს, ვინაიდან თავი ძე ღმერთისად გაიხადა. 8 პილატემ რომ ეს სიტყვა მოისმინა, უფრო შეეშინდა, 9 და კვლავ შევიდა პრეტორიაში და ეუბნება იესოს: საიდან ხარ? მაგრამ იესომ პასუხი არ მისცა. 10 პილატემ უთხრა მას: მე არ მელაპარაკები? განა არ იცი, რომ ძალაუფლება მაქვს გაგანთავისუფლო და ძალაუფლება მაქვს ჯვარს გაცვა. 11 იესომ უპასუხა: შენ არ გექნებოდა ჩემზე არავითარი ძალაუფლება, მაღლიდან რომ არ მოგცემოდა. ამიტომ მას, ვინც ჩემი თავი გადმოგცა შენ, უფრო დიდი ცოდვა აქვს.

შეეძლო კი იესოს მომკვდარიყო?

ვინაიდან იესო ღმერთის ჭეშმარიტი ძე იყო, შესაძლებელი იქნებოდა ადამიანებს მოეკლათ იგი? არც ერთ ადამიანს არ ჰქონდა მასზე ძალაუფლება. მხოლოდ მას შეეძლო აერჩია სიკვდილი და შემდეგ კვლავ გაცოცხლებულიყო.

იესომ უთხრა პეტრეს: **„ჩემი სამეფო არაამქვეყნიურია. ჩემი სამეფო**

რომ ამქვეყნიური ყოფილიყო, მაშინ ჩემი მსახურნი იბრძოლებდნენ, რომ იუდეველებს არ გადავცემოდი. ახლა ჩემი სამეფო არაა აქედან“ (იოან. 18 : 36). იესომ ნება დართო ადამიანებს დაეპატიმრებინათ იგი. როცა ის დააპატიმრეს, მან სთქვა: **„იქნებ გგონიათ, რომ არ შემიძლია შევევედრო ჩემს მამას და მან წარმოგზავნოს ახლა თორმეტზე მეტი ანგელოზთა ლეგიონი? მაშინ როგორ აღსრულდება წერილი, რომ ასე უნდა მოხდეს?“** (მათ. 26 : 53, 54). ანგელოზები, რომლებიც ემსახურებოდნენ იესოს მისი ბაღში ლოცვის დროს, შეეძლოთ ჯარისკაცების მოსპობა, რომლებმაც ის შეიპყრეს. მაგრამ იესომ იცოდა ღმერთის მიზანი, გაცხადებულიყო წმინდა წერილებში.

თვითონ იესომ თქვა, რომ **„ძე კაცისას ხვედრია მრავალი ტანჯვა აიტანოს და უარყოფილ იქნას უხუცესების, მღვდელმთავრებისა და მწიგნობრების მიერ და მოკლულ იქნას და მესამე დღეს აღდგეს“** (ლუკ. 9 : 22). თქვენ დაინახეთ, რომ იესო მოკვდა იმისათვის, რომ ქვეყნიერების დასაბამიდანვე ღმერთმა ეს დაგეგმა (გამოც. 13 : 8).

საოცარი ღმერთის გეგმა მდგომარეობდა იმაში, რომ იესო დაამარცხებდა ქვეყნიერებას! **„რამდენადაც ბავშვები სისხლისა და ხორცის მოზიარენი არიან, მანაც მიიღო იგივე, რათა სიკვდილით გააქროს, ვისაც სიკვდილის ძლიერება აქვს, ესე იგი ეშმაკი. და გაათავისუფლოს ისინი, რომლებიც სიკვდილის შიშით მთელი სიცოცხლე მონობაში იყვნენ“** (ებრ. 2 : 14, 15). გეშინიათ თქვენ სიკვდილის? იესო მოკვდა, რომ გაენთავისუფლებინეთ თქვენ! დიახ, იესომ აირჩია მსხვერპლად შეეწირა თქვენთვის თავისი სიცოცხლე!

ისტორია 28. იესო ჯვარს აცვეს და დაასაფლავეს

იოანე 19 : 17–18, 30–37

17 და მიჰქონდა თავისი ჯვარი, იგი გავიდა ადგილზე, რომელსაც ეწოდება თხემი. 18 იგი ჯვარს აცვეს იქ და მასთან ერთად იქით-აქეთ ორი სხვა, შუაში კი — იესო. 30 როცა იესომ მიიღო ძმარი, თქვა: აღსრულდა! დახარა თავი და განუტევა სული. 31 შაბათს რომ გვამები ჯვარზე არ დარჩენილიყო, რადგან პარასკევი იყო და ის შაბათი დიდი დღე იყო, იუდეველებმა სთხოვეს პილატეს მათთვის წვივები დაემტვრიათ და ჩამოეღოთ. 32 ამრიგად, მოვიდნენ ჯარისკაცები და მათთან ჯვარცმულებს წვივები დაუმტვრიეს, ერთსაც და მეორესაც. 33 მაგრამ მივიდნენ იესოსთან და

დაინახეს რა, რომ უკვე მომკვდარიყო. არ დაუმტვრიეს წვივები. 34 მაგრამ ერთმა ჯარისკაცმა შუბით გაუგმირა მას ფერდი და მაშინვე წამოუვიდა სისხლი და წყალი. 35 და მხილველმა დაადასტურა ეს, და მისი მოწმობა ჭეშმარიტია, მან იცის, რომ ჭეშმარიტებას ამბობს, რათა თქვენ ირწმუნოთ. 36 რადგან ეს მოხდა, რათა აღსრულებულიყო წერილი: მისი ძვალი არ დაიმტვრევა. 37 და

ასევე სხვა წერილიც ამბობს: შეხედავენ მას, რომელიც განგმირეს.

იესოს სიკვდილი შემთხვევითი არ იყო

ბიბლიის გაგების გასაღები დევს იმის გაცნობიერებაში, რომ წერილების ცენტრში იმყოფება ქრისტეს პიროვნება. ,,**და დაიწყო მოსედან, ყველა წინასწარმეტყველიდან და განუმარტავდა მათ ყველა წერილში მის შესახებ ნათქვამს**" (ლუკ. 24 : 27). იესომ იცოდა, რომ ,,**უნდა შესრულდეს ყოველივე, რაც ჩემს შესახებ დაწერილია მოსეს სჯულში, წინასწარმეტყველებაში და ფსალმუნში**" (ლუკ. 24 : 44). ,,**მაშინ გაუხსნა მათ გონება წერილების გასაგებად და უთხრა მათ: ასე წერია, რომ ქრისტე უნდა ტანჯულიყო და მკვდრეთით აღმდგარიყო მესამე დღეს და ექადაგათ მისი სახელით მონანიება ცოდვათა მისატევებლად ყველა ერში, დაწყებული იერუსალიმიდან**" (ლუკ. 24 : 45–47).

რა დიდებულია ღმერთის გეგმა! თუ თქვენ გაქვთ ბიბლია, შეისწავლეთ ქვემოთ ჩამოთვლილი წმინდა წერილის ადგილები, რომ დაინახოთ, რა თქვა ღმერთმა თავის გეგმაზე ძველ აღთქმაში, და როგორ აასრულა იესომ მთლიანობაში ეს გეგმა (ქვემოთ ჩამოთვლილია რამოდენიმე 300 წინასწარმეტყველებიდან, რომელიც ეხებოდა იესოს მოვლინებას).

სატანამ მძევლად აიყვანა ღმერთის ქმნილება, მაგრამ ღმერთს ჰქონდა ხსნის გეგმა, და ამ გეგმამ გაამართლა? ყოველი, ვისაც სურს იყოს გადარჩენილი, შეუძლია განთავისუფლდეს სატანის ტყვეობიდან ეხლავე!

ღმერთის გეგმა იესოსათვის	**წინასწარმეტყველება**	**აღსრულება**
„ქალის თესლის“ შეპირება	დაბად. 3 : 15	გალ. 4 : 4
„აბრაამის თესლის“ შეპირება	დაბად. 18 : 18	საქ. 3 : 25
ბეთლემში დაბადება	მიქ. 5 : 2	მათ. 2 : 1
შობა ქალწულისაგან	ეს. 7 : 14	მათ. 1 : 18
მსახურება გალილეაში	ეს. 9 : 1, 2	მათ. 4 : 12–16
წინასწარმეტყველი	რჯლ. 18 : 15	იოან. 6 : 14
მღვდელი	ფს. 109 : 4	ებრ. 6 : 20
მეფე	ეს. 9 : 7	იოან. 18 : 36, 37
იუდეველებისაგან უარყოფა	ეს. 53 : 3	იოან. 1 : 11, 5 : 43
ტრიუმფალური შემოსვლა	ზაქ. 9 : 9	იოან. 12 : 13–15
გაიცა მეგობრისაგან	ფს. 40 : 10	მარკ. 14 : 10
გაიცა 30 ვერცხლად	ზაქ. 11 : 12	მათ. 26 : 15
ცრუმოწმობა	ფს. 26 : 12	მათ. 26 : 60, 61
დუმილი წამების დროს	ეს. 53 : 7	მათ. 26 : 62, 63
ნაცემი და დამცირებული	ეს. 50 : 6	მარკ. 14 : 65
ჯვარცმულია ავაზაკებთან ერთად	ეს. 53 : 12	მათ. 27 : 38
ხელები და ფეხები გახვრეტილი აქვს	ფს. 21 : 16	იოან. 20 : 27
დამცირებული და შეურაცხყოფილი	ფს. 21 : 6–8	მათ. 27 : 39, 40
დაალევინეს ძმარი	ფს. 68 : 22	იოან. 19 : 29
ლოცულობდა თავის მტრებზე	ეს. 53 : 12	ლუკ. 23 : 34
განგმირული აქვს ფერდი	ზაქ. 12 : 10	იოან. 19 : 34
წვივები არ დაემტვრა	ფს. 33 : 21	იოან. 19 : 33
დაკრძალულია მდიდართან	ეს. 53 : 9	მათ. 27 : 57–60
აღდგომა	ფს. 15 : 10	მათ. 28 : 9
ამაღლება	ფს. 67 : 19	ლუკ. 24 : 50, 51

(იესოს სიკვდილის სრული გაცნობის მიზნით წაიკითხეთ მათეს 26 და 27; მარკოზის 14 და 15; ლუკას 22 და 23; იოანეს 18 და 19; ესაია 53; ფსალმუნი 21).

ისტორია 29. იესო აღდგა მკვდრეთით

იოანე 20 : 1–9

1 კვირის პირველ დღეს, გარიჟრაჟზე, ჯერ ისევ ბნელოდა, მოდის მარიამი მაგდალინელი სამარხთან და ხედავს, რომ ლოდი გადაგორებულია სამარხიდან. 2 მირბის და მიდის სიმონ-პეტრესთან და სხვა მოწაფეებთან, რომელიც იესოს უყვარდა და ეუბნება მათ: უფალი წაუღიათ სამარხიდან და არ ვიცით სად დაასვენეს. 3 მაშინვე გავიდა პეტრე და სხვა მოწაფე და მივიდნენ სამარხთან. 4 ორივენი ერთად გარბოდნენ, მაგრამ მეორე მოწაფე პეტრეზე სწრაფად გაიქცა და პირველი მივიდა სამარხთან. 5 დაიხარა და დაინახა დადებული ტილოები, მაგრამ არ შევიდა. 6 მის შემდეგ მოვიდა სიმონ-პეტრეც. შევიდა სამარხშიც და დაინახა დადებული ტილოები. 7 სუდარა, თავზე რომ ჰქონდა შემოხვეული, იმ ტილოებთან კი არ იდო, არამედ ცალკე იდო ერთ ადგილას დახვეული. 8 მაშინ შევიდა სხვა მოწაფეც, სამარხთან პირველად მისული, და იხილა და იწამა. 9 რადგან აქამდე არ იცოდნენ წერილიდან, რომ იგი მკვდრეთით უნდა აღმდგარიყო.

რატომ არის ასე მნიშვნელოვანი აღდგომა

გაცილებით ადრე აღწერილ მოვლენებამდე, იობმა დასვა შეკითხვა: **„როცა მოკვდება ადამიანი, ის გააგრძელებს სიცოცხლეს?“** (იობ. 14 : 14). და თვითონვე ხალისით უპასუხა: **„მაგრამ ვიცი, ცოცხალია ჩემი გამომხსნელი და საბოლოოდ აღიმართება მიწაზე! და როცა დაიშლება ეს ჩემი კანი, სხეულმყოფელიც ვიხილავ ღმერთს;“** (იობ. 19 : 25, 26). დიახ, ის ცოცხალია, ამიტომაც ჩვენც ვიცოცხლებთ (იოან. 14 : 19).

„ვინაიდან თუმცა უძლურების გამო იყო ჯვარცმული, მაგრამ ცოცხალია ღმერთის ძლიერებით; და ჩვენც უძლურნი ვართ მასში, მაგრამ ვიცოცხლებთ მასთან ერთად ღმერთის ძლიერებით თქვენში“ (2 კორ. 13 : 4).

მთელი ახალი აღთქმის აზრი პავლეს მიერ შეჯამებული იყო სულ ორ

მუხლში: „**ვინაიდან თავდაპირველად გადმოგეცით ის, რაც თვითონვე მივიღე, რომ ქრისტე მოკვდა ჩვენი ცოდვებისათვის, როგორც წერილებშია. და რომ დაკრძალულ იქნა იგი და რომ აღდგა მესამე დღეს, როგორც წერილებშია**“ (1კორ. 15 : 3, 4). იესო ქრისტეს აღდგომა რომ არ ყოფილიყო, ჩვენ არაფერზე გვექნებოდა საქადაგო. ჩვენ არ გვექნებოდა იმედი. ჩვენ გავაგრძელებდით ცხოვრებას ცოდვებში და განწირული ვიქნებოდით სასიკვდილოდ. მაგრამ, ქება ღმერთს, იესო ცოცხალია და მას შეუძლია იცხოვროს ჩვენში, „**ხოლო თუ თქვენში იმყოფება მისი სული, ვინც მკვდრეთით აღადგინა იესო, მაშინ ის, ვინც ქრისტე იესო აღადგინა მკვდრეთით, თქვენს მოკვდავ სხეულებსაც გააცოცხლებს თავისი სულით, რომელიც თქვენშია დამკვიდრებული**“ (რომ. 8 : 11).

ახლა ჩვენ მისთვის უნდა ვიცხოვროთ

„**ვინაიდან ქრისტეს სიყვარულით ვართ მოცულნი, როცა ასე ვმსჯელობთ: თუ ერთი მოკვდა ყველასთვის მოკვდა, რათა ცოცხლებმა თავიანთთვის კი აღარ იცოცხლონ, არამედ იმისათვის, ვინც მათთვის მოკვდა და აღდგა**“ (2 კორ. 5 : 14, 15). ჩვენ მკვდრები ვიყავით ჩვენს ცოდვებში, როცა იესო მოკვდა ჩვენთვის; ახლა ჩვენ ვცოცხლობთ ღმერთში. ჩვენ მასში ახალი ქმნილება ვართ. ჩვენ არ უნდა ვიცხოვროთ ამ ახალი სიცოცხლით ჩვენთვის. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ *მისთვის*. ახლა თქვენ არ ეკუთვნით საკუთარ თავებს: „**ვინაიდან ფასით ხართ ნაყიდნი, ამიტომ ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით (და თქვენი სულებით, რომლებიც ღმერთისა არიან)** (1 კორ. 6 : 20).

ისტორია 30. იესოს გამოცხადება მარიამ მაგდალინელისათვის

იოანე 20 : 11–17

11 მარიამი კი იდგა სამარხის გარეთ და ტიროდა. როცა ტიროდა სამარხთან დაიხარა. 12 და ხედავს თეთრებში შემოსილ ორ ანგელოზს, მსხდომარეს ერთს თავთან და მეორეს ფეხთით, სადაც იესოს გვამი ესვენა. 13 უთხრეს მას: დედაკაცო, რატომ სტირი? მან მიუგო: ჩემი უფალი წაიღეს და არ ვიცი სად დაასვენეს. 14 ამის თქმისას მობრუნდა უკან და იხილა მდგომარე იესო. მაგრამ ვერ იცნო, რომ ის იესო იყო. 15 უთხრა მას იესომ: დედაკაცო, რატომ სტირი, ვის ეძებ? მას მებაღე ეგონა ის და უთხრა:

ბატონო, თუ შენ წაიღე იგი, მითხარი, სად დაასვენე და მე წავიღებ. 16 იესო ეუბნება მას: მარიამ! მობრუნდა და ებრაულად ეუბნება: რაბუნი! რაც ნიშნავს: მოძღვარო! 17 იესომ უთხრა მას: არ შემეხო, რადგან ჯერ არ ავსულვარ მამასთან. წადი ჩემს ძმებთან და უთხარი: მე ავდივარ მამაჩემთან და მამათქვენთან, ჩემს ღმერთთან და თქვენს ღმერთთან.

როგორ პატივს სცემს იესო ქალებს

უდიდესი ტრაგედიების თუ უდიდესი სიხარულის პერიოდში რა პატივისცემას იჩენდა იესო ქალებისადმი. ჯვარზე აგონიის დროს იესო ნაზად ესაუბრებოდა თავის დედას და მასზე მზრუნველობა თავის საყვარელ მოწაფე იოანეს დაავალა (იოან. 19 : 26, 27). ახლა, თავისი აღდგომის ტრიუმფში ის პირველად სწორედ ქალს ეცხადება — სხვა მარიამს.

ღვთისმოსავი ქალები, რომლებსაც სწამთ ღმერთი და რომელთა სამკაულად არის თვინიერი და მშვიდი სული, წარმოადგენენ იმას, რაც „ძვირფასია ღმერთის თვალში“ (1 პეტ. 3 : 4). როცა ღმერთმა შექმნა ადამიანი თავის ხატად, მან შექმნა ქალი და კაცი, როგორც ერთი მთლიანი, რომ აერეკლა მასთან მსგავსება (დაბ. 1 : 27). სულიერი გაგებით ღმერთი ქალებსაც და კაცებსაც აძლევს ერთნაირ შესაძლებლობას მოვიდნენ ქრისტესთან და მიიღონ ერთნაირი მემკვიდრეობა. „**რომელთა მეშვეობით მოგვენიჭა უაღრესად დიდი და ძვირფასი აღთქმანი, რათა მათ მიერ გახდეთ ღმერთის ბუნების ზიარნი . . .** “ (2 პეტ. 1 : 4). „**აღარ არსებობს . . . არც მამრი, არც მდედრი, ვინაიდან თქვენ ყველანი ერთნი ხართ ქრისტე იესოში**“ (გალ. 3 : 28). ღმერთი აფასებს ქალებს ისე დიდად, რომ მან უბრძანა კაცებს უყვარდეთ ცოლები ისე, როგორც ქრისტეს უყვარს ეკლესია, რომლისთვისაც მან სიცოცხლე გაიღო. (ეფეს. 5 : 25). „**ისე უნდა უყვარდეთ მამაკაცებს თავიანთი ცოლები, როგორც საკუთარი სხეულები. ვისაც თავისი ცოლი უყვარს მას საკუთარი თავი უყვარს**“ (ეფეს. 5 : 28). ღმერთს უყვარს სრული ერთიანობის დანახვა და ჰარმონი-

ისა ცოლსა და ქმარს შორის. მას სძულს გაყრები. „თუკი შენ გძულს იგი, გაუშვი, ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი . . .“ (მალ. 2 : 16). „შეავსეთ ჩემი სიხარული, რათა იგივეს ზრახავდეთ, გქონდეთ იგივე სიყვარული, იყოთ ერთსულოვანნი და ერთნაირი მოსაზრებით. არაფერი გააკეთოთ ჯიბრით ან პატივმოყვარეობით, არამედ თავმდაბლობით, საკუთარ თავზე მეტად შერაცხეთ ერთმანეთი“ (ფილ. 2 : 2, 3).

ისტორია 31. იესო ეცხადება მოწაფეებს

იოანე 20 : 19–22

19 იმავე დღის საღამო ჟამს, კვირის პირველ დღეს, როდესაც იუდეველთა შიშის გამო დაკეტილი იყო კარები, სადაც მოწაფეები იყვნენ, მივიდა იესო და დადგა შუაში და უთხრა: მშვიდობა თქვენდა! 20 ეს რომ თქვა მათ აჩვენა ხელებიც და ფერდიც. მოწაფეებმა გაიხარეს უფლის ხილვით. 21 იესომ კვლავ უთხრა: მშვიდობა თქვენდა! როგორც მე წარმომგზავნა მამამ, მეც გგზავნით თქვენ. 22 ეს რომ თქვა, შთაბერა და უთხრა: მიიღეთ სულიწმიდა.

შეასრულეთ დავალება

რა თქვა იესომ? შეავსეთ გამოტოვებული ადგილები წინადადებაში ტექსტის სიტყვებით.

1. „ ———————————— თქვენდა“ (მუხლი 19).
2. „როგორც მამამ წარმომგზავნა მე, ასევე ————————“ (21).
3. „ ———————————— სულიწმიდა“ (22).

ისტორია 32. ურწმუნო მოწაფემ ირწმუნა



იოანე 20 : 24–29

24 თომა, ერთი თორმეტთაგანი, ტყუპად წოდებული არ იყო მათთან, როცა იესო მოვიდა. 25 სხვა მოწაფეებმა უთხრეს: ჩვენ ვიხილეთ უფალი. მაგრამ მან მიუგო: თუ მის ხელებზე ნალურსმევს არ ვიხილავ და ნალურსმევში ჩემს თითს არ ჩავდებ და მის ფერდში – ჩემს ხელს, არ ვიწამებ. 26 რვა დღის შემდეგ მისი მოწაფეები კვლავ შინ იყვნენ და თომაც მათთან. მოვიდა იესო, როდესაც კარები დაკეტილი იყო, დადგა შუაში და თქვა: მშვიდობა თქვენდა. 27 შემდეგ თომას ეუბნება: მოიტანე აქ შენი თითი და იხილე ჩემი ხელები. მოიტანე შენი ხელი და ჩადე ჩემს ფერდში. ურწმუნო კი არა, არამედ მორწმუნე იყავ. 28 თომამ უთხრა მას პასუხად: უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო! 29 იესომ უთხრა მას: შენ ირწმუნე, იმიტომ რომ მიხილე. ნეტარ არიან არამხილველნი და მორწმუნენი.

განსაკუთრებული კურთხევა

იესო ამბობს, რომ თქვენ მიიღებთ განსაკუთრებულ კურთხევას, თუ გწამთ მისი, თუმცა არ გიხილავთ ის საკუთარი თვალებით. დღეს ჩვენ ვიცით იესო სულიწმიდის საშუალებით, რომელიც ცხოვრობს ჩვენში. ამის გარდა, ჩვენ ვიცით ის სიტყვით, რომელსაც ის გველაპარაკება ბიბლიაში.

ერთხელაც ჩვენ *ვიხილავთ* მას. „ვიცით, რომ როცა გამოჩნდება, მისი მსგავსნი ვიქნებით, რამეთუ ვიხილავთ მას“ (1 იოან. 3 : 2). „ნეტარ არიან გულით სუფთანი, ვინაიდან ისინი ღმერთს იხილავენ“ (მათ. 5 : 8). „აი, ის მოდის ღრუბლებით და დაინახავს მას ყოველი თვალი, ისინიც, რომელთაც განგმირეს იგი; აქვითინდება მის წინაშე დედამიწის ყოველი ტომი“ (გამოც. 1 : 7). იქნებით თქვენ გახარებულნი თუ დამწუხრებულნი, როდესაც იხილავთ იესოს? თუ იესო თქვენთვის უფალია და თქვენი ღმერთია, რადაც ის იყო თომასათვის, მაშინ თქვენ გახარებულნი იქნებით!

ისტორია 33. იესოს აქვს ძალაუფლება მოგვცეს ჩვენ ყოველივე აუცილებელი

იოანე 21 : 2–6, 9–12, 15–17

2 ერთად იყვნენ სიმონ-პეტრე, ტყუპად წოდებული თომა, ნათანაელი გალილეის კანიდან, ძენი ზებედესნი, და ორი სხვა მისი მოწაფეთაგანი. 3 სიმონ-პეტრემ უთხრა მათ: მე სათევზაოდ მივდივარ. მიუგეს: ჩვენც შენთან მოვდივართ. გავიდნენ და ჩასხდნენ ნავში. იმ ღამეს ვერაფერი ვერ დაიჭირეს. 4 მაგრამ გათენებისას იესო იდგა ნაპირზე მოწაფეებმა კი არ იცოდნენ, რომ ეს იესო იყო. 5 იესომ უთხრა მათ: შვილებო, გაქვთ რაიმე საჭმელი? მიუგეს მას: არა. 6 უთხრა მათ: ისროლეთ ბადე ნავის მარჯვენა მხარეს და იპოვით. ისროლეს და ველარ გამოათრიეს თევზის სიმრავლის გამო. 9 ხმელეთზე რომ გამოვიდნენ, იხილეს დაწყობილი ნაკვერჩხლები და თევზი მასზე დადებული და პური. 10 იესო ეუბნება მათ: მოიტანეთ თევზთაგან, რომლებიც ახლა თქვენ დაიჭირეთ. 11 სიმონ-პეტრე წავიდა, და ხმელეთზე გამოათრია ბადე, სავსე ასორმოცდაცამეტი დიდი თევზით და, სიმრავლის მიუხედავად ბადე არ გახეულა. 12 იესო ეუბნება მათ: მოდით, ისაუზმეთ. ვერც ერთმა მოწაფეთაგანმა ვერ გაბედა შეკითხოდა: ვინ ხარო, რადგან იცოდნენ რომ ეს უფალი იყო.



15 ამის შემდეგ, რაც მათ ისაუზმეს, იესომ უთხრა სიმონ-პეტრეს: სიმონ იოანესავ, ამათზე მეტად გიყვარვარ? მან მიუგო: დიახ, უფალო. შენ იცი რომ მე მიყვარხარ. მან უთხრა: აძოვე ჩემი ცხვრები. 16 კვლავ უთხრა მეორედ: სიმონ იოანესავ, გიყვარვარ? მიუგო: დიახ, უფალო, შენ იცი, რომ მიყვარხარ. უთხრა მას: დამწყემსე ჩემი ცხვარი. 17 მესამედ უთხრა: სიმონ იოანესავ გიყვარვარ? პეტრე დანაღვლიანდა მესამედ რომ ჰკითხა: გიყვარვარ? და უთხრა მას: უფალო, შენ ყველაფერი იცი. იცი, რომ მიყვარხარ. იესომ უთხრა: აძოვე ჩემი ცხვრები.

მოდით, ისაუზმეთ

რა მშვენივრად ჟღერს იესოს მოპატიჟება სასაუზმოდ. იესომ მოწაფეებს

მიუთითა ადგილი, სადაც *საკვების სიუხვე* იყო. გრძნობთ თქვენ შიმშილსა და წყურვილს სიმართლეზე? იესომ თქვა: „**ნეტარ არიან მშიერ-მწყურვალნი სიმართლისათვის, ვინაიდან ისინი გაძღებიან**“ (მათ. 5 : 6).

ყოველ დილას მოდით მასთან სულიერ საუზმეზე, რომელიც გაძღებთ თქვენ მისი სიტყვით, ავსებს თქვენს სულებს. უფალი ღმერთი თქვენი, რომელმაც გამოგიყვანათ თქვენ ტყვეობიდან, გეუბნებათ თქვენ: „**გახსენი ბაგენი შენი და მე ავავსებ მას**“ (ფს. 80 : 11).

თუ თქვენ ეკუთვნით ქრისტეს, თქვენ გაქვთ სხვა დიდებული მოწვევაც: მოდით, ისადილეთ“ მანამ, სანამ იესო დაბრუნდება დედამიწაზე, როგორც **მეფეთა მეფე და უფალთა უფალი**. მისი მუდმივი გაერთიანება ყველა მორწმუნესთან ნაზეიმები იქნება საქორწილო სერობით.

იოანე წერს: „**ვიხაროთ და ვიმხიარულოთ და დიდება მივცეთ მას, ვინაიდან მოვიდა კრავის ქორწილი და მისმა ცოლმა თავი გაიმზადა. და მიეცა მას, რომ ჩაეცვა ნათელი და წმინდა ბისონი, ვინაიდან ბისონი წმინდანთა სამართლიანობაა**“ (გამოც. 19 : 7, 8). მზად ხართ სერობაზე მისაწვევად? გახსოვდეთ, რომ თქვენ არ შეიძლება გქონდეთ საკუთარი სიმართლე. ღმერთის წინაშე: „**მთელი ჩვენი სამართლიანობა – როგორც გასვრილი სამოსელი**“ (ეს. 64 : 6). იესო თავად ერთადერთი შესამოსელია სიმართლისა, რომელიც გვაქცევს ჩვენ მისაღებად ასეთი დიდებული საქორწილო ნადიმისათვის: „**ვინც ცოდვა არ იცოდა, ის გახდა ცოდვად ჩვენს გამო, რათა მასში გავხდეთ ღმერთის სამართლიანობა**“ (2 კორ. 5 : 21). რა დიდებული გაცვლაა: მან აიღო თავის თავზე ჩვენი ცოდვები და მოგვცა ჩვენ თავისი სიმართლე!

მწყემსეთ ჩემი ცხვრები

მას შემდეგ, რაც იესომ დაგანაყრათ თქვენ, მას სურს, რომ ახლა თქვენ გამოკვებოთ სხვები. დაანაყრეთ კი თქვენ თქვენი გული სახარების შესწავლით? ახლა თქვენ სხვებს უნდა გაუნაწილოთ ის, რაც ღმერთმა გასწავლათ თქვენ: „**მწყემსეთ ღმერთის სამწყსო, რომელიც თქვენს შორისაა . . . მაგალითი იყავით სამწყსოსათვის**“ (1 პეტ. 5 : 2, 3). ჩვენ შეგვიძლია ვაკურთხოთ სხვები, გაუზიარებთ რა მათ ღმერთის სიტყვას და მივცემთ რა მათ პირად მაგალითს. „**ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ. და, აი, მე თქვენთანა ვარ ყველა დღეს წუთისოფლის აღსასრულამდე. ამინ**“ (მათ. 28 : 20).

პასუხები კითხვებზე

ქვემოთ მოცემულია სწორი პასუხები იოანეს სახარებიდან კითხვებზე, რომელიც თქვენ შეისწავლეთ. თქვენ შეგიძლიათ შეამოწმოთ, როგორ შეასრულეთ დავალება და შეისწავლოთ სწორი პასუხები. შეადარეთ თქვენი პასუხები სწორს, მხოლოდ მას შემდეგ, როცა დამოუკიდებლად უპასუხებთ ყველა მოცემულ კითხვას.

გვერდი 4

1. ღმერთი; 2 ღმერთთან; 3. სიცოცხლე. 4. სიბნელე. 5. იოანე. 6. არ მიიღეს თავისიანებმა. 7. ღმერთის ჭურჭლები. 8. სისხლი, ხორცი, კაცი, ღმერთი. 9. ხორცი. 10. ჩვენთან. 11. სისავსე, მადლი, მადლი. 12. ძე.

გვერდი 8

1. ხმა, უდაბნო. 2. გზა. 3. შემდეგ, უწინ. 4. კრავი ღვთისა, ქვეყნიერების ცოდვა. 5. ისრაელი. 6. მტრედი, სულიწმიდა.

გვერდი 14

1. რასაც გეტყვით ის თქვენ, ის გააკეთეთ. 2 და აავსეს ისინი პირთამდე.

გვერდი 21,22

1. უფროსი, ღამე. 2. მოძღვარი. 3. იშვა ზეციდან. 4. წყალი, სული. 5. ხორცი. 6. სული. 7. გველები. 8. შეიყვარა, დაიღუპა, სიცოცხლე. 9. გაასამართლოს, გადაარჩინოს. 11. სიბნელე, სინათლე, ბოროტნი. 12. სიმართლით.

გვერდი 28,29

1. დაღლილობის გრძნობა. 2. მომეცი წყალი. 3. იმიტომ, რომ იუდეველებს არ ჰქონდათ ურთიერთობა სამარიტელებთან. 4. ცოცხალი წყალი. 5. ყოველი, ვინც ამ წყალს სვამს, კვლავ მოსწყურდება, ხოლო ვინც იმ წყალს შესვამს, რომელსაც მე ვაძლევ მას, მას საუკუნოდ არ მოსწყურდება. 6. რომ მას ჰყავდა ხუთი ქმარი და ადამიანი, რომელთანაც ამჟამად ცხოვრობდა, არ იყო მისი ქმარი. 7. თაყვანი სცე. 8. სულითა და ჭეშმარიტებით. 9. წავიდა ქალაქში და ხალხს მოუყვა იესოზე. 10. ქმნას ნება მისი წარმომგზავნელისა და აკეთოს მისი საქმენი. 11. მხსნელი ქვეყნიერებისა, ქრისტე.

გვერდი 34

1. 38 წლის. 2. ჯანმრთელი ხარ. 3. ადექი და იარე. 4. ნუღარ შესცოდავ. 5. (ა) დაარღვია შაბათი. 6. (ბ) ღმერთის სწორად.

გვერდი 42

1. დარჩით ჩემს დიდებაში. 2. ჭეშმარიტება. 3. მონა. 4. ძე. 5. გეყვარებოდათ. 6. ღმერთი. 7. ნება, იცნობს.

გვერდი 61

1. დაბანა ფეხები, დაბანოთ ფეხები. 2. შეიყვარა, გიყვარდეთ. 3. იხილეს, შეიძულეს. 4. ფუჭად. 5. მკვლელი, ღმერთი. 6. შეიცნეს. 7. გაიმარჯვა.

გვერდი 77

1. ქვეყნიერება. 2. მე გგზავნით თქვენ. 3. მიიღეთ.

Cover art by Andrew Beverly

(უფასო, არ ექვემდებარება გაყიდვას)